საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№254 (12 324)
27 ოქტომბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

# მილიონები, ბაზები, სტადიონები



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საგურამოს ბაზის გახსნაზე




ნოდარ ახალკაცი, კლაუს ტოპმიოლერი, რალფ მინგე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

გუშინ, ქართული ფეხბურთისა და რაგბისთვის უმნიშვნელოვანესი დღე იყო - სპორტკომპლექს "საგურამოს" ქვეყნის პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** ეწვია. ეს არ იყო სახელმწიფოს პირველი პირის უბრალო სტუმრობა, თუნდაც სპორტკომპლექსის დათვალიერების მიზნით... გუშინ ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პრეზენტაცია შედგა, რაც სპორტის ამ სახეობებისთვის ახალი ეპოქის დასაწყისად შეფასდა.

გემოვნებით შერჩეული ადგილი და მშვენებარე ბაზა... ერთი მოედნის საფარი უკვე დაგებულია. მოედანზე უამრავი ხალხი ირევა. ვის არ ნახავთ აქ, ფეხბურთის, რაგბის, ჭიდაობისა თუ სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლებს - **სერგო კოტრიკაძეს, თენგიზ სულაქველიძეს, ოთარ გაბელიას, გრიგოლ ცაავას, რევაზ და არჩილ არველაძეებს, ზურაბ ზვიადაურს, გიორგი ასანიძეს, ილია ზედგინიძეს, ილია მაისურაძეს, დავით კაჭარავას**... სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები და მწვრთნელებიც აქვე არიან - **კლაუს ტოპმიოლერი, რალფ მინგე, გიორგი გაბაშვილი, ნოდარ ახალკაცი, დავით ნამგალაური**...

15:05 საათზე მიხეილ სააკაშვილიც გამოჩნდა. ის ზემოხსენებულ პიროვნებებს მიესალმა, მერე ტრიბუნასთან მივიდა და დამსწრეთ მიმართა:

2

## ფეხბურთისა და რაგბის მხარდამჭერი პროგრამა

7 საფეხბურთო-სარაგბო სტადიონი საერთაშორისო სტანდარტებით + საფეხბურთო სტადიონი ბორჯომში




2 სარაგბო-საფეხბურთო ბაზა საერთაშორისო სტანდარტებით




5 სარაგბო ბაზა




13 სარაგბო სკოლა




10 სპეციალიზებული სარაგბო სექცია (მარტივი ტიპის მინდვრები) ყაზბეგი, დუშეთი, ხაშური, ზესტაფონი, საჩხერე, ლენტეხი, ამბროლაური, თამარაშენი, ქვიშხეთი, ზუგდიდი

## პროგრამის შედეგები

10 ფინანსურად მდგრადი სარაგბო კლუბი რაგბის ეროვნულ ჩემპიონატში

8 ფინანსურად მდგრადი საფეხბურთო კლუბი შეემატება საქართველოს ჩემპიონატს

საქართველოს საფეხბურთო და სარაგბო ჩემპიონატების სოლიდური პრემიალური საპრიზო ფონდი 10 წლის განმავლობაში

ფინანსური მხარდაჭერა ფეხბურთის ფედერაციას 2008-10 წლებში: 11 მილიონი დოლარი;

საქართველოს ჩემპიონატის მხარდაჭერა 10 წლის განმავლობაში: 500 000 ლარი წელიწადში

ფინანსური მხარდაჭერა საქართველოს რაგბის კავშირს 2008-11 წლებში: 7 მილიონი დოლარი

რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის ფინანსური მხარდაჭერა 10 წლის განმავლობაში: 1 050 000 ლარი წელიწადში

1 560 000 ლარი სარაგბო სკოლების ინფრასტრუქტურის შესაქმნელად

ხელბურთი. ჩელენჯ ტროფი

## ერთიც და ფინალში ვართ!

დღეს, სპორტის სასახლეში. 14:00. საქართველო-მოლდოვა



საქართველო-სომხეთი 35:17. სერგო დათუკაშვილის გოლი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

11

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# მილიონები, ბაზები და სტადიონები

პირველი გვერდიდან

"ყველას მოგესალმებით ქართული სპორტული სამყაროს ბრწყინვალე წარმომადგენლებს, ფეხბურთისა და რაგბის ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს, ჩვენ მიერ ნაციონალიზებულ კლაუს ტოპმიოლერს. საქართველოს ნაკრების ბოლო გამარჯვებამ ყველანი გაგვახარა. ჯერ კიდევ გლაზგოში, შოტლანდიელებთან მარცხისას ვიყავი დარწმუნებული, რომ თბილისში შევძლო შოტლანდიელების ძლევა. ამ მატჩით დაიბადა ახალი ქართული ფეხბურთი, ახალი ნაკრები, ჩვენი ძლიერი გუნდი. ამავე დროს გამახსენდა ახლო წარსულიც, როცა კლაუს ტოპმიოლერმა დაიწყო ნაკრებში წესრიგის დამყარება, მას აუჯანყდნენ და ათასგვარი პრობლემა შეუქმნეს. ძალიან მადლობელი ვარ გიორგი ნემსაძის, მან მიილო სწორი გადაწყვეტილება და ნოდარ ახალკაცსა და მის გუნდს, რომელშიც კლაუს ტოპმიოლერიც შედის, მიეცა მუშაობის გაგრძელების საშუალება. კარგად ვხედავ, რას აკეთებს ის თანაშემწეებთან ერთად დადის და სხვადასხვა ქალაქსა თუ რაიონში, ესწრება მატჩებს, ახალ ტალანტებს ეძებს როგორც ეროვნული, ასევე სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებისთვის.

მთავარი ის კი არაა, ვის როგორი სახელი აქვს და ვინ რა დონის ვარსკვლავია, მთავარია, ვინ როგორ იბრძვის გამარჯვებისთვის, ვინ რამდენად იხარჯება. ყველამ ნახა ჩვენი 16-17 წლის ფეხბურთელები, რომლებსაც არ ეშინიათ სახელიან და ძლიერ მოწინაალმდეგეებთან თამაშის. შოტლანდია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია, საფრანგეთს ორივე თამაში მოუგო... მე ვნახე შოტლანდიელთა ნაკრების თავკაცის კომენტარი BBC-იზე, ის გაოგნებული იყო, არ ვიცი რა მოხდა, ვერ ამიხსნია, რატომ წავაგეთ თბილისშიო. შოტლანდიას თბილისში ახალი ქართული ფეხბურთი დაუხვდა, რომელიც არველაძეების, შენგელიების, ყიფიანების, ჩივაძეების, დარასელიების საქმის გამგრძელებელია. მეშინოდა, ეს ტრადიცია არ შეწყვეტილიყო და როგორც ჩანს, არც შეწყდება, რადგან უამრავი ახალი სტადიონი შენდება საქართველოში. არ შეწყდება, რადგან ჩვენმა ბიჭებმა გვაჩვენეს, თუ რას ნიშნავს საკუთარი გარჯითა და შრომით მიღწეული წარმატება... მახსენდება, ამსტერდამში 1998 წლის სტუმრობა შოთა არველაძესთან. საკუთარი თვალით ვნახე თუ როგორ აფასებენ მას ჰოლანდიაში. მაშინ ერთმა ჰოლანდიელმა გულშემატკივარმა მკითხა, რა გვარია საქართველოს პრეზიდენტი, შარველაძე, ხომ?

ყველას გვახსოვს 70-80-იანი წლების "დინამო", თუ როგორ დაამყარა უფროსმა ნოდარ ახალკაცმა წესრიგი. გვახსოვს, თუ როგორ აუჯანყდნენ მას, გაუჭირდა, მაგრამ მაინც დაამყარა წესრიგი. სწორედ ამ წესრიგის შედეგი იყო 1981 წლის ტრიუმფი. დღეს კი განახლების პროცესს ვიწყებთ იმ უშიშარი ბიჭებით, რომლებმაც შოტლანდიასთან გამარჯვება მოგვიტანეს. თამაშის შემდეგ ბიჭებთან გასახდელში ჩავედი. ერთ ისტორიასაც გეტყვით, ჩვენი 16 წლის ფეხბურთელი სახელიან შოტლანდიელს თამაშის დროს დაეჯახა, თანაგუნდელმა მას ჰკითხა, არ შეგეშინდა ამხელა ფიგურას რომ დაეჯახეო. მან მიუგო – რისი უნდა შემშინებოდა 10 წელია ფეხბურთს ვთამაშობო.

განახლება იწყება არა მარტო ფეხბურთში, არამედ ქართულ რაგბიშიც. საფრანგეთი-საქართველოს მატჩს ნიკოლა სარკოზისთან ერთად ვადევნებდი თვალს. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო ჩვენთვის წარმატებული მატჩი და ბოლოში განწყობა წამიხდა, მთლიანობაში ჩვენ მორაგბეთა საამაყო ნაკრები გვყავს. ირლანდიელთა ძლევაც შეგვეძლო, მაგრამ... მთელი მსოფლიოს სპორტული სამყარო დღემდე საუბრობს საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ფენომენზე. ეს ძალიან დიდი რეკლამა იყო საქართველოსთვის. ფრანგულ გაზეთებში 500 პოლიტიკური სტატია რომ დაწერილიყო საქართველოზე, ამაზე მეტი იყო ჩვენი მორაგბეების წარმატებული ასპარეზობა. ეს იმ დროს, როცა საქართველოში დღემდე მხოლოდ ერთი რაგბის მოედანია, ისიც ბოლომდე ისეთი არაა, როგორიც უნდა იყოს. ეს მართლაც შიშველ ენთუზიაზმზე დაფუძნებულ პატრიოტთა დიდი ჯგუფია, რომელიც ქართული რაგბის ზეობისთვის იბრძვის.

ერთხელ ვთქვი, ჩვენი ფეხბურთელებისგან განსხვავებით მორაგბეები რა კარგად მღერიან ეროვნულ ჰიმნსთქო. შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ, ჩვენი ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა მითხრა, ახლა ხომ ძალიან მაგრად ვიმღერეთ ეროვნული ჰიმნიო... იცით, ამასაც თავისი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს.

გუშინ ზუგდიდში გახლდით. იქ ფეხბურთი მთლიანად მკვდარი იყო და ახლა უნდა ნახოთ თუ როგორ გააცოცხლა იქაურობა საფეხბურთო კლუბმა "მგლებმა" და ახალი სტადიონის მშენებლობამ. ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები სწორედ დასავლეთი საქართველოდან მოდიოდნენ და ამ რეგიონში ორი წლის წინათ ფეხბურთი ფაქტობრივად მკვდარი იყო. აფხაზეთშიც ავაღორძინებთ ფეხბურთს და დარწმუნებული ვარ, ეს განაპირობებს ახალი ტალანტების გამოჩენას.

დღეს ჩვენ ფეხბურთისა და რაგბის სახელმწიფო განვითარების პროგრამის პრეზენტაციას ვაწყობთ. უმაღლესი განათლებისთვის ახალი სტანდარტებით აღიჭურვება ჭავჭავაძის უნივერსიტეტი, სპორტის აკადემია, ასკ, "ქარიშხალა", ბათუმსა და ქუთაისში აშენდება თანამედროვე სარაგბო და საფეხბუთო ბაზები. თბილისში, რუსთავსა და ფოთში აშენდება 5 მრავალმოედნიანი საერთაშორისო სტანდარტის სარაგბო კომპლექსი, 13 რაიონში აშენდება სარაგბო სკოლა, 10 რაიონში კი სპორტულ სკოლებში მოეწყობა სარაგბო სექციები. 8 საფეხბურთო კლუბი გადავა კერძო ინვესტორების ხელში გარანტირებული 10-წლიანი ბიუჯეტით. ასევე მორაგბეთა 10 კლუბი გადავა კერძო ინვესტორების ხელში გარანტირებული 10-წლიანი ბიუჯეტით და ჩვენ ამას ბოლომდე გავაკონტროლებთ. 3 წლის განმავლობაში დაფინანსდება ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა 11 მილიონი დოლარის მოცულობით. რაგბიზე გაკეთდება იგივე პროგრამა. სპორტის არცერთი სახეობა არ გვავიწყდება, მაგრამ ფეხბურთსა და რაგბის განსაკუთრებით მიეხედება. კალათბურთიც არ გვავიწყდება და ესეც პრიორიტეტია. პეკინის ოლიმპიადაზე ჩვენი სპორტსმენების წარმატების დიდი იმედი გვაქვს. ძალიან მესიამოვნა, როცა ჩვენმა მოჭიდავეებმა ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობისა და ძიუდოს ჩემპიონატებზე სერიოზული ტიტულები მოიპოვეს.

უკვე შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამა უკვე დაწყებულია და დასახულ ვადებში უნდა შესრულდეს. ყველა ეს სტადიონი, მოედანი თუ სპორტული სკოლა დათქმულ ვადაში უნდა გაიხსნას. ჩვენ გვჭირდება თითოელი სპორტსმენის, ძველისა თუ მოქმედის ნიჭი, გამოცდილება, ენერგია, მხარდაჭერა. სახელმწიფოს მხრიდან კი ასპროცენტიან მხარდაჭერას გპირდებით".

მიხეილ სააკაშვილის შემდეგ საზოგადოებას კლაუს ტოპმიოლერმა მოკლე სამადლობელი სიტყვით მიმართა: "საქართველოს პრეზიდენტს დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქართული ფეხბურთის, რაგბისა და ზოგადად ქართული სპორტის მხარდაჭერისთვის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქართველი ხალხი ბევრჯერ გავახაროთ".

ეროვნული ნაკრების გერმანელი თავკაცი "ლელოსთან" საუბარშიც ვერ მალავდა ემოციებს: "ძალიან ბედნიერი ვარ. შოტლანდიასთან მატჩში გამარჯვებით ათასობით ქართველის გახარება შევძელით. საქართველოში ფეხბურთი ნომერ პირველი სპორტია და ფეხბურთი თქვენი ქვეყნისთვის ბევრად უფრო დიდია, ვიდრე თუნდაც სპორტის უპირველესი სახეობა. ეს კარგად ესმის ქვეყნის პრეზიდენტს, ბატონ სააკაშვილს და მან დღეს ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სახელმწიფო განვითარების პროგრამები წარმოადინა. ეს პროგრამები ფეხბურთსა და რაგბიში ინფრასტრუქტურის განვითარებას უზრუნველყოფს, რაც არაერთი გამარჯვების საფუძველი იქნება. თამამად შემიძლია ვთვა, რომ ეს დღე ქართული ფეხბურთისა და რაგბის ახალი ერის, ახალი ეპოქის დასაწყისია. უბედნიერესი ადამიანი ვარ სწორედ იმიტომ, რომ ამ პროცესის თანამონაწილე ვარ".

არანაკლებ კმაყოფილი გახლდათ რაგბის სამყარო, რაც მორაგბეთა ნაკრების ყოპილ კაპიტან **ილია ზედგინიძესაც** ეტყობოდა.

"დღეს ქართული ფეხბურთისა და რაგბისთვის მართლაც უმნიშვნელოვანესი დღეა. რაგბის კავშირის მიერ შემუშავებული 4-წლიანი პროგრამის განხორციელება ბაზების, მოედნების მშენებლობასა და საერთოდ სარაგბო ინფრასტრუქტურის განვითარებას მოიცავს. ვფიქრობ, ეს პროგრამა ქართულ სარაგბო კლუბებსაც ერთობ წაადგებათ. სამწუხაროდ, კლუბებს არ აქვთ სტრუქტურა, გუნდის მწვრთნელი მენეჯერიცაა და, საჭირო შემთხვევაში, ადმინისტრატორიც. ასე რომ, კლუბებში სტრუქტურებია მოსაწყობი. საერთოდ კი ეს პროექტი რაგბის განვითარებას სხვადასხვა ასპექტში შეუწყობს ხელს".

დაბოლოს, ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამების პრეზენტაცია გუშინ შედგა. პროგრამებს მალე საჯაროდ წარმოადგენენ და საზოგადოებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება.

**დავით ცაბაძე**




ქართველი მორაგბეები: ნოდარ ანდღულაძე, დავით კაჭარავა, ილია მაისურაძე, ილია ზედგინიძე

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

# კონტრაქტის გასაგრძელებლად ხელისშემშლელს ვერაფერს ვხედავ

## ასაკობრივ ნაკრებებზე ნოემბერში იმსჯელებენ

**გუშინ, საგურამოში ფეხბურთისა და რაგბის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პრეზენტაციის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს გავესაუბრეთ...**

- მისასალმებელია, როცა ქვეყნის ხელისუფლება, ფეხბურთის, რაგბისა და საერთოდ სპორტის განვითარებითაა დაინტერესებული. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ფეხბურთის განვითარებისათვის მომდევნო 3 წელიწადში 11 მილიონ დოლარს გაიღებს. ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ამ გრანდიოზული პროექტის წყალობით საერთაშორისო დონის 7 საფეხბურთო-სარაგბო სტადიონი და 2 საწვრთნელი ბაზა გვექნება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ საფეხბურთო კლუბები კერძო ინვესტორის საკუთრებაში გადავა, თანაც გარანტირებული ბიუჯეტით, რაც დიდად წაადგება ქართული საკლუბო ფეხბურთის განვითარებას. ფიფასა და უეფას პრეზიდენტები, იოზეფ ბლატერი და მიშელ პლატინი მოწონებით შეხვდნენ ჩვენი ხელისუფლების მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს.

**- იქნებ კონკრეტულად გვითხრათ, თუ რას მოიცავს ფეხბურთის განვითარების პროგრამა...**

- პროგრამა საფეხბურთო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ფეხბურთის ფედერაციის გრძელვადიანი ფინანსურ მხარდაჭერას და საუნივერსიტეტო სპორტული განათლებისთვის ადეკვატური პირობების შექმნას ითვალისწინებს. ფეხბურთის ფედერაციისთვის ფინანსური მხარდაჭერა 2008-2010 წლებში განხორციელდება. ეროვნული ჩემპიონატის პრემიალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერა კი 2008-2017 წლებში. ამ პროგრამით, ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატს ფინანსურად მდგრადი საფეხბურთო კლუბები შეემატება. ეროვნული ჩემპიონატის პრემიალური საპრიზო ფონდი, მომდევნო 10 წლის განმავლობაში, 2017 წლის ჩათვლით, წელიწადში 500 ათასი ლარით გაიზრდება.


ორის თანამშრომლობა ორი წლით გაგრძელდება

**- მშენებარე სპორტკომპლექს "საგურამოზე" რას გვეტყოდით?**

- ამ პროექტს ფეხბურთის ფედერაცია საფეხბურთო კლუბ თბილისის "ლოკომოტივთან", "სილქ როუდ ჯგუფთან" და კომპანია "აქსისთან" ერთად ახორციელებს. საგულისხმოა, რომ ამ მასშტაბის სპორტული ბაზა საქართველოში ბოლო 30 წლის განმავლობაში არ აშენებულა. ჩვენ გვინდა, რომ ტექნიკურ ცენტრ "საგურამოში" 4-5 სტანდარტული ზომის მოედანი მოვაწყოთ. ჩვენ ამ პროექტს ფიფას პროგრამა "გოლი 2-ის" ფარგლებში ვახორციელებთ.

**- ფეხბურთის განვითარების მთავარი ნაწილი ეროვნული ნაკრებია. კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტის გაგრძელების საკითხი გადაწყვეტილია?**

- გუშინ ძალიან პროდუქტიული სამუშაო შეხვედრა გვქონდა. ნოემბერში, როცა ეროვნული ნაკრები მატჩებს დაასრულებს, ყველანი ერთად კიდევ ერთხელ დავსხდებით და იმედი გვაქვს, რომ საბოლოო შეთანხმებას მივაღწევთ, რომელიც კონტრაქტე ხელმოწერით დასრულდება.

თანამშრომლობის გაგრძელებისთვის მხარეები ვერ ვხედავთ ხელისშემშლელ ფაქტორებს.

**- ასაკობრივი ნაკრებების თავკაცებთან დაკავშირებით როგორია თქვენი პოზიცია?**

- ამაზეც ვიმსჯელებთ. ჩვენ ყველას უკეთესი შედეგი რომ გვინდა, ეს ფაქტია. ამ ასაკობრივ ნაკრებებში ქართველი მწვრთნელები გვყავს ინტეგრირებული. ნოემბერში ერთობლივად ვიმსჯელებთ ამაზე და იმ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რაც ქართული ფეხბურთისთვის სასარგებლო იქნება. არ მინდა, რომ ნაკრებებთან მიმართებაში ყველამ ცალსახად შედეგზე გააკეთოს აქცენტი. სასიამოვნოა, როცა ასაკობრივ ნაკრებებში მუშაობა ქულებში აისახება, თუმცა დამერწმუნეთ, ბევრად უფრო სასიამოვნოა, როცა ხედავ თუ რამდენად ასაზრდოებენ ეს ნაკრებები ეროვნულ გუნდს ნიჭიერი ახალგაზრდებით. ეს რომ ხდება, ყველა ხედავს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასაკობრივ ნაკრებებში საქმიანობა მხოლოდ ამით შემოიფარგლოს.

**დავით ცაბაძე**

---

ინტერვიუ გიორგი ჭედიასთან

# ჭაბუკი ბომბარდირი სანაკრებო მიწვევას ამაოდ ელის


გიორგი ჭედია (18) ბომბარდირობისთვის იბრძვის

**გიორგი ჭედია მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენაა. 18 წლის ფორვარდს გასულ ცხრა ტურში ოთხი მატჩი გაუცდა, მაგრამ ხუთი გოლის გატანა მაინც შეძლო და ბომბარდირობისთვის იბრძვის. მოკლედ, აშკარად საინტერესო ფეხბურთელია და მასთან გასაუბრებაც ამიტომ გადავწყვიტეთ.**

**- გიორგი, მოდი, მკითხველს თავად წარუდგინე თავი. სად დაიწყე ფეხბურთის თამაში და როგორ მოხვდი უმაღლეს ლიგაში?**

- ხობში დავიბადე, ფეხბურთზე სიარულიც იქვე დავიწყე, ჩემი პირველი მწვრთნელი ფრიდონ გოცირიძე იყო. როცა წამოვიზარდე, რეგიონული და პირველი ლიგის რამდენიმე გუნდი მოვიარე, რის შემდეგაც რევაზ ძოძუაშვილმა შემამჩნია და ქუთაისის "ტორპედოში" წამიყვანა. ეს შარშანდელი სეზონის დასაწყისში მოხდა. თავიდან გუნდში დიდი კონკურენცია იყო და ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ვხვდებოდი, შემდეგ კი "ტორპედოში" გიორგი კიკნაძე მოვიდა და თავის გამოჩენის მეტი შანსი მომცა. ამ ორი მწვრთნელის დიდი მადლიერი ვარ. "მგლებში" კი ამ სეზონის დასაწყისში გადავედი და გაცილებით უკეთ ავთამაშდი.

**- შენი ასეთი სწრაფი პროგრესი რას უნდა მივაწეროთ?**

- როგორ გითხრათ, "მგლებში" ყველაფერი მომწონს, მწვრთნელებიც კვალიფიციური გვყავს, პირობებიც უკეთესია, ნდობასაც ვგრძნობ და თანაგუნდელებსაც უკეთ ვიცნობ. თითქმის ყველანი მეგრელები ვართ, ერთად გავიზარდეთ და ერთმანეთს იოლად ვუგებთ.

**- დებიუტანტის კვალობაზე "მგლები" ჩემპიონატში წარმატებით თამაშობს. ელოდი ასეთ შედეგს?**

- კი, რატომაც არა. მე და ჩემს თანაგუნდელებს საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შეგვპარვია, საკმაოდ შეკრული და ბრძოლისუნარიანი გუნდი გვყავს.

**- ხელმძღვანელობა რა მიზანს გისახავთ?**

- პროგრამა-მინიმუმი ექვსეულში შესვლაა, თუმცა ბრძოლა უფრო მაღალი მიზნებისთვისაც შეიძლება. თასზეც მაქსიმალურად ბევრი ეტაპის გავლას შევეცდებით.

**- საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებად რა მიგაჩნია?**

- ჩემი მთავარი კოზირი სისწრაფეა, ნაკლს რაც შეეხება, ვისურვებდი, რომ უფრო მეტი სიმაღლე და ჯანი მქონდეს.

**- რომელ თანაგუნდელებს უგებ ყველაზე კარგად?**

- აბსოლუტურად ყველასთან იოლად ვპოულობ საერთო ენას, თუმცა მაინც იმ მოთამაშეებს გამოვარჩევ, რომლებიც მეტოქის კარს ჩემთან ერთად უტევენ - ვართაგავას, ჯოჯუას, კრასოვსკის...

**- ოთხი მატჩი რა მიზეზით გამოტოვე?**

- კარგა ხანია, თირკმელი მაწუხებდა, საფუძვლიანად ვიმკურნალე და არ მგონია, მომავალში ამ პრობლემამ შემაწუხოს. ის ოთხი შეხვედრა რომ არ გამომეტოვებინა, ალბათ, ბომბარდირებს შორის პირველ ადგილზეც ვიქნებოდი. ფიზიკური ფორმა ბოლო პერიოდშიღა ავლიდგინე და მხოლოდ ბოლო ორ შეხვედრაში ვითამაშე შეუცვლელად.

**- ჩემპიონატში შენი ასაკის ცოტა ფეხბურთელი თუ გამოდის ასეთი წარმატებით. ვინმესგან ხომ არ გსმენია, რომ 19-წლამდელთა ან ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატად განიხილები?**

- არა, ჩემით არავინ დაინტერესებულა, რაც ძალიან მწყვეტს გულს. თავს არ ვიქებ, მაგრამ მგონი თამაშით ერთი შანსი მაინც დავიმსახურე. მაინცდამაინც "ზესტაფონის" ან "ამერის" ფეხბურთელი უნდა ვიყო, რომელიმე ნაკრებში გამოძახება რომ მაღირსონ? არადა, ახალგაზდრული ნაკრებების წევრთა უდიდესი ნაწილი დუბლებში თამაშობს, მაშინ როცა მე და "მგლების" სხვა ახალგაზრდა წევრები უმაღლეს ლიგაში ვამტკიცებთ ჩვენს შესაძლებლობებს. მოგვცენ თუნდაც ერთი შანსი მე, კაკაბაძეს, ქომეთიანს, მაჭავარიანს, კუტალიას, გაბედავას და წურწუმიას და ჩვენი ქვეყნისთვის თავს არ დავზოგავთ, მაგრამ სამწუხაროდ, მე და ჩემს მეგობრებს იმედი გვაქვს გადაწურული, "მგლების" ფეხბურთელები ნაკრებების მწვრთნელთა გეგმებში არ შედის.

**- ალბათ, სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელების მსგავსად, გული უცხოეთისკენ მიგიწევს.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ არსად მეჩქარება. ჯერჯერობით, საქართველოს ჩემპიონატშიც შემიძლია გაზრდა. "მგლებთან" კონტრაქტი პირველი წრის ბოლოს მეწურება, მაგრამ ხელშეკრულებას ალბათ, კიდევ ნახევარი წლით გავახანგრძლივებ. მომავალში კი ძლიერ უცხოურ ლიგაში მსურს თამაში. თუმცა არც ისაა გამორიცხული, საქართველო მალე დავტოვო. თუ ძოძუაშვილი ყარალანდის "შახტიორში" დარჩება, შესაძლოა, ზამთარში ამ კლუბს მივაშურო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ყაზბეგი
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

www.pfl.ge

უმაღლესი ლიგა. X ტური. წინათქმა

# დინამოს რთული ვოიაჟი და ექსჩემპიონთა დერბი



ოლიმპი-სიონი. წინა ჩემპიონატში, 23 თებერვალს

**სანამ "დინამო"-"ზესტაფონის" მოლოდინში ვართ, მეათე ტურს უნდა მივადევნოთ თვალი. სულაც არაა გამორიცხული, დღევანდელმა და ხვალინდელმა მატჩებმა სატურნირო ცხრილში საგრძნობი ცვლილებები შეიტანოს. შედარებით დიდ ინტერესს "დინამოს" ახალციხეში სტუმრობა უნდა იწვევდეს.**

### მესხეთი–დინამო

27 ოქტომბერი. ახალციხე.
მ. იაძე. 15:00
სავარაუდო შემადგენლობები

მესხეთი: სომხიშვილი, ძამსაშვილი, ჟვანია, ნადირაშვილი, ლეკიშვილი, მ. თაყაძე, გ. თურმანიძე, ინასარიძე, ზ. ჩხეტიანი, გვირჯიშვილი, კაიდარაშვილი

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი, სპასოევიჩი, ხუციშვილი, აკირემი

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

"ზესტაფონთან" ჭიდილამდე "დინამოს" საკმაოდ სერიოზული ამოცანის ჩაბარება მოუწევს. დებიუტანტმა "მესხეთმა" საკუთარ კედლებში თავისი რეალური ძალა ყველას უჩვენა და ჩემპიონობის მაძიებელს იოლად არაფერს დაუთმობს. **უჰრინის** გუნდისთვის წარმატებად მხოლოდ სამი ქულა ჩაითვლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, პირველი წრის მოსაგებად "ზესტაფონის" ძლევაც კი არ ეყოს.

### დილა–ბორჯომი

27 ოქტომბერი. გორი.
თ. ბურჯანაძე. 15:00
სავარაუდო შემადგენლობები

დილა: ილურიძე, ბალიაშვილი, დ. ხანიშვილი, ლაცაბიძე, ბალაშვილი, ტლაშაძე, ნ. ნოზაძე, კურტანიძე, შატაკიშვილი, ბ. ჩიტაია, სამადაშვილი

ბორჯომი: შეყრილაძე, თ. ლონლაძე, ლ. მერებაშვილი, ლ. ჭელიძე, აკობია, მემარნიშვილი, შ. გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, კ. ხანიშვილი, შ. ჯიქია

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

მეზობლურ ურთიერთშეხვედრებს ეშხი არასდროს აკლდა და გამონაკლისი, ალბათ, არც დღეს იქნება. მძიმე ვითარებაში მყოფ "დილას" მხოლოდ გამარჯვება თუ წაადგება, ქულების დაკარგვა არც ბორჯომელთა გეგმებში შედის. შეგახსენებთ, "ბორჯომის" ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი **ვლადიმირ ხაჩიძე** თავის დროზე "დილაში" მუშაობდა.

### მგლები–ამერი

27 ოქტომბერი. ზუგდიდი.
გ. თუთბერიძე. 15:00
სავარაუდო შემადგენლობები

მგლები: ივარდავა, ექონია, ფარულავა, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ქირია, კრასოვსკი, ვართაგავა, ხუბუა, ნარსია, ჭედია

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, ჩიკვილაძე (ელბაქიძე), კობაური (ხვადაგიანი), დოლიძე, მესხი, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე (ტატანაშვილი)

დისკვალიფიკაცია: ბოლქვაძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

თუკი პირველი წრის დარჩენილ შეხვედრებში "ამერმა" ქულათა მაქსიმუმი არ დააგროვა, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ძალიან გაუჭირდება. არადა, "მგლები" შინ ძირითადად შედეგიანად თამაშობს და სულაც არ იქნება გასაკვირი, გლდანელებს შინ ხელცარიელებს თუ გაისტუმრებენ. ისე კი, ბუნებრივია, მსგავს მატჩებში ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი. ზუგდიდში უდავოდ ტურის ერთ-ერთი გამორჩეული თამაშია.

### ზესტაფონი–სპარტაკი

28 ოქტომბერი. ზესტაფონი.
ცენტრალური. 15:00
სავარაუდო შემადგენლობები:

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, ს. თოდუა, ლობჟანიძე (შ. ლონლაძე), კ. ჩხეტიანი, ჟონატასი, რ. ონიანი, კესანი, ვიეირა, ფიფია, გ. ნოდ. ჭელიძე

სპარტაკი: კოდალაევი, ხაჭიპერაძე, ქემოკლიძე, მამუკაშვილი, თარხნიშვილი, ძარია, ჩირიკაშვილი, გოგოხია, ბახტურიძე, ხიდეშელი, ჯანელიძე

არბიტრი: მ. ურუშაძე

"დინამოსი" არ იყოს, "ზესტაფონსაც" მაქსიმალური კონცენტრირება მართებთ. მახარაძემ და მისმა შეგირდებმა წინა ტურში, "მერანთან" დიდი ნერვიულობის ფასად მოიგეს, მსგავსი უსიამოვნო შეგრძნებების თავიდან ასაცილებლად კი ფეროელები ალბათ, უფრო შემტევ ტაქტიკას აირჩევენ. შეგახსენებთ, პირველ ტურში "ვიტ ჯორჯიასთან" ნათამაშები ფრის შემდეგ, "ზესტაფონს" ჩემპიონატში ქულა არ დაუკარგავს.

### ვიტ ჯორჯია–ბათუმი

28 ოქტომბერი. მცხეთა.
არმაზი. 15:00
სავარაუდო შემადგენლობები

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კლიმიაშვილი, ბეჭვაია (მელქაძე), გელაშვილი, სახოკია

ბათუმი: თოთლაძე (მამინაშვილი), თედორაძე, გალოგრე, დემურაძე, ლ. მახარაძე, კ. მახარაძე, ცანავა, ოქრუაშვილი, ბაციკაძე, დარჩიძე, ბეჟანიძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

ვეტერინართათვის თასის გათამაშება ყოველთვის მეორეხარისხოვანი ტურნირია და ალბათ, ოთხშაბათს "მალაროელთან" შინ განცდილი მარცხისგან შორსმიმავალ დასკვნებს ვერ გავაკეთებთ. "ვიტ ჯორჯიას" რეალურ ძალაზე სჯობს, ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებით ვიმსჯელოთ. აქ კი **მუმლაძის** გუნდს საქმეები რიგიანად მისდის, წინა ტურში ხომ "ჯორჯიამ" სტუმრად "დინამოს" სძლია, ხვალ კი მისგან გამარჯვება მით უფრო მოსალოდნელია.

### ოლიმპი–სიონი

28 ოქტომბერი. რუსთავი.
ფოლადი. 15:00
სავარაუდო შემადგენლობები

ოლიმპი: მერლანი, ორბელაძე, მახვილაძე, აკუასაგა, სილაგაძე, ნავალოვსკი, დევდარიანი, ქებაძე, დვალიშვილი, კახელიშვილი, რ. ჯიქია

სიონი: სტურუა, ქურასბედიანი, ოქროპირიძე, სვანიძე, რაქვიაშვილი, კვიტაიშვილი (ვაშაკიძე), ბაჯელიძე, ნადირაძე, ქუცურუა, ჩასემი, ქარდავა

დისკვალიფიკაცია: ბოიომო

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ერთმანეთს საქართველოს ბოლო ორი ჩემპიონი ხვდება, მაგრამ მაინც ტურის რიგითი მატჩია. წინა სეზონში ქვემოქართლელთა ორივე დერბიმ დაძაბულ ბრძოლებში ჩაიარა და ალბათ, არც ეს მატჩი იქნება უსახური. ქულები ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდება, პროგნოზის გაკეთება კი საკმაოდ ძნელია. მხოლოდ იმას გავიხსენებთ, რომ "ოლიმპი" და "სიონი" აქამდე მხოლოდ ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და გამარჯვება ორივეჯერ რუსთაველებმა იზეიმეს.

### ლოკომოტივი–მერანი

28 ოქტომბერი. თბილისი.
მ. მესხი. 15:00
სავარაუდო შემადგენლობები

ლოკომოტივი: ცერცვაძე, ლალაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, დ. ფოფხაძე, მალიჩავა, გულორდავა, სამხარაძე, ბარბაქაძე, ბობოხიძე, იმედაძე

დისკვალიფიკაცია: გვარამაძე, ლ. ჩაგელიშვილი

მერანი: თევდორაძე, გიგაური, თ. კობიაშვილი, სარალიძე, ჯანგიძე, ტყეშელაშვილი, ბურჯანაძე, ფურთუხია, ქემაშვილი, გოჩაშვილი, შენგელია

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ერთმანეთს ცხრილის ქვედა ნაწილის ბინადრები ხვდებიან, ფრე ორივე გუნდისთვის მიუღებელი შედეგი უნდა იყოს. "მერანმა" აქაც რომ ვერ გაიმარჯვოს, პირველ ლიგას კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდება, "ლოკომოტივი" კი უხეირო ტრადიციას აგრძელებს და ამ შეხვედრასაც უდისციპლინობისთვის დასჯილთა გარეშე ხვდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 9 | 8 | 1 | 0 | 18-3 | 25 |
| 2. დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 24-3 | 24 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 1 | 2 | 12-7 | 19 |
| 4. ბორჯომი | 9 | 5 | 2 | 2 | 12-6 | 17 |
| 5. მესხეთი | 9 | 5 | 2 | 2 | 12-9 | 17 |
| 6. ამერი | 9 | 5 | 0 | 4 | 17-10 | 15 |
| 7. მგლები | 9 | 5 | 0 | 4 | 10-8 | 15 |
| 8. ოლიმპი | 9 | 4 | 2 | 3 | 8-8 | 14 |
| 9. სიონი | 9 | 3 | 2 | 4 | 12-13 | 11 |
| 10. ლოკომოტივი | 9 | 3 | 0 | 6 | 7-14 | 9 |
| 11. სპარტაკი | 9 | 2 | 2 | 5 | 3-10 | 8 |
| 12. დილა | 9 | 1 | 1 | 7 | 7-18 | 4 |
| 13. მერანი | 9 | 1 | 0 | 8 | 3-20 | 3 |
| 14. ბათუმი | 9 | 0 | 1 | 8 | 2-18 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 6 |
| აკირემი (დინამო) | 5 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 5 |
| სპასოევიჩი ( დინამო) | 5 |
| შ. ჯიქია (ბორჯომი) | 5 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| რ. ჯიქია (ოლიმპი) | 5 |
| ჭედია (მგლები) | 5 |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვარსკვლავის დაბადება?

## ლევან მელიქია ქართველ მწვრთნელებს იცავს



ლევან მჭედლიძეს (99) ვარსკვლავობას უწინასწარმეტყველებენ

ასეთი სათაურით იწყება "კალჩობლოგში" გამოქვეყნებული სტატია, რომელიც საქართველოს ნაკრებისა და "ემპოლის" 17 წლის თავდამსხმელს მიეძღვნა.

*"1990 წლის მარტში იტალია მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ემზადებოდა. მისგან ათასი კილომეტრის დაშორებით კი, ქართველმა ქალბატონმა ლევან მჭედლიძე მოავლინა ქვეყანას. ეს 24 მარტს მოხდა და შესაძლოა, იმ დღეს ახალი საფეხბურთო ვარსკვლავი დაიბადა.*

*ამ ბედნიერი დღიდან ჩვიდმეტი წლის შემდეგ უკვე გაზრდილი ბიჭი იტალიაში დაეშვა (სინამდვილეში თხუთმეტი წლის წაიყვანეს) და საკუთარი ბედი ამ ქვეყანას ორმაგად დაუკავშირა. ჯერ იყო და, საკუთარი ქვეყნის ნაკრების ფორმა პირველად სწორედ იტალიის წინაალმდეგ, გენუაში მოირგო. შემდეგ კი პირველი ბურთი გაუტანა შოტლანდიას, რითაც დონადონის გუნდს დიდი სამსახური გაუწია.*

*ლევან მჭედლიძე ჯერ მხოლოდ ნიჭიერი მოზარდია, რომელიც მომავალს იმედიანი თვალით უყურებს. მან თავი გამოიჩინა მუხლის უმძიმესი ოპერაციის შემდეგ, რომლის გამოც რამდენიმე თვე გაუცდა.*

*ჭაბუკმა იცოდა, რომ შეიძლება ტრავმას გაეწვალებინა, მაგრამ თავის გამოსაჩენად მთელი მონდომებით ვარჯიშობდა. "ემპოლის" მწვრთნელმა, **ლუიჯი კანიმ** რამდენიმე დღის წინანდელ ინტერვიუში ის **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** შეადარა:"მჭედლიძეს აღნაგობა და ტექნიკა ხელს უწყობს, იბრაჰიმოვიჩს რომ დაემსგავსოს. მას თავით თამაშიც კარგად ეხერხება. არ მსურს ცოდნაში გერმანელ კლაუს ტოპმიოლერს გავეჯიბრო, რომელმაც მჭედლიძე აიძულა, გენუაში 60 წუთი ეთამაშა და"ემპოლის" დუბლებში ნაკლებადმნიშვნელოვანი მატჩი გამოეტოვებინა".*

"კალჩომერკატოსთან" "ემპოლის" დუბლების მწვრთნელმა **ანდრია ინოკენტიმ** განაცხადა, რომ გუნდის ხელმძღვანელობა ლევანის მომავალს დიდი იმედით უყურებს და მას დიდი პოტენციალი გააჩნია.

გუშინ "სპორტალკალჩო" სერია ა-ს მორიგი ტურისთვის "ემპოლის" მზადებას შეეხო. როგორც ჩანს, ლევანი უკვე "ემპოლის" ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია, რადგან ლუიჯი კანის გუნდის პრობლემებზე მიუთითეს.

*"ლუჯი კანიმ "ატალანტასთან" შეხვედრამდე ოთხშაბათს დაბალი ლიგის "ლასტრანგიასთან" საკონტროლო შეხვედრაში გუნდის წევრების მომზადება შეამოწმა. მატჩი "ემპოლის" გამარჯვებით (13:0) დასრულდა. ედერი, ლაკოპონი და მჭედლიძე ინდივიდუალურად ვარჯიშობდნენ და გუნდს "ატალანტასთან" ვერ დაეხმარებიან."*

ლევან მჭედლიძისადმი ქართველების ინტერესი ბუნებრივია, ამიტომაც დღეს ჩვენი სტუმარი მისი პირველი მწვრთნელი **ლევან მელიქიაა**, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი და საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი. 17-წლამდელებში სწორედ მან აიყვანა ლევან მჭედლიძე და **ლევან ყენია.** იტალიელებმა მჭედლიძე სწორედ მის განწრთნილ ნაკრებში შენიშნეს და წაიყვანეს "ემპოლიში".

- ლევანი ჩემს ხელში, საფეხბურთო სკოლა "ოლიმპიკში" გაიზარდა, სადაც დღემდე ვმუშაობ, - იხსენებს ლევან მელიქია, - სკოლა მამამისმა, ბატონმა კარლომ 1997 წელს დააარსა და ლევანმა ვარჯიში მაშინვე დაიწყო. თავიდანვე ერთი წლით უფროსებში ვარჯიშობდა, რადგან მონაცემები ხელს უწყობდა. "ემპოლიში" სისხლის ანალიზი ჩაუტარეს და გაგიჟდნენ, ორგანიზმი ოთხი წლით უფროსებივით ჩამოყალიბებული აღმოაჩნდა.

ლევანის ხასიათზეც გეტყვით. კარგად მახსოვს, ერთხელ მეკარესთან პირისპირ გასულმა გოლი არ გაიტანა, თანაგუნდელს პასი მისცა, რაც თავდამსხმელს კარგად ახასიათებს.

სხვათა შორის, უნივერსალიც არის. რამდენჯერმე ხან ცენტრალური ნახევარმცველი დამიშავდა, ხან ცენტრალური მცველი და ორივე პოზიციაზე მშვენივრად ითამაშა. თუმცა მისი ნიჭის დაცვაში ჩაკარგვა არ მინდოდა, წინ ვათამაშებდი და მგონი, ურიგო ფეხბურთელი არ გვეზრდება.

**- როგორც ვიცით, "ემპოლის" სელექციონერებმა თქვენი ხელმძღვანელობის დროს 17-წლამდელებში შენიშნეს.**

- იმ შესარჩევ ციკლს ბელგიამ უმასპინძლა და ლევანი მარტო იტალიელებს არ მოსწონებიათ. სხვათა შორის, ამის შესახებ თქვენთან ეწერა, მიუნხენის "ბაიერნის"ინტერესს ვგულისხმობ. პირველივე შეხვედრაში ბელგიელებს გაუტანა, 17-წლამდელების 15 წლის წევრისთვის ეს პატარა ამბავი არ იყო.

თამაშის შემდეგ გერმანელმა მენეჯერმა მითხრა, რომ "ბაიერნის", "ვერდერისა" და "შტუტგარტის" ინტერესებს წარმოადგენდა და ლევანი ძალიან მოეწონა, წაყვანა სურდა. ეს არც მე მეხებოდა და რაც მთავარია, სკოლისა და მშობლის გარეშე რა პასუხი უნდა გამეცა? ამიტომაც თბილისში მათ ჩამოსვლაზე შევთანხმდით.

ერთ კვირაში მართლა ჩამოვიდნენ, მაგრამ არა გერმანელები, არამედ "ემპოლის" წარმომადგენელი მარჩელო კარლი და მენეჯერი დევიდე ტურკია, რაც ჩემთვის მოულოდნელი იყო. ბელგიიდან ისე წამოვედი, მათ დაინტერესებაზე წარმოდგენა არ მქონდა. მერე გავარკვიეთ, რომ ტურნირის მონაწილეებში მას განსაკუთრებულად აკვირდებოდნენ და ძალიან მოეწონათ. თურმე, არც ერთ მსგავს ტურნირს არ აცდენენ და საინტერესო მოზარდებს აკვირდებიან. იცოდნენ, რომ ჯანი კარნევალი საქართველოში მუშაობდა და თარჯიმნად წამოიყვანეს. ასე აღმოჩნდა ლევანი იტალიაში.

**- ბოლო კვირაში ლევანზე ბევრი რამ დაიწერა და ბევრმა გამოთქვა შიში, ზედმეტი ქება არ გამოგივიდეთო.**

- ლევანი არაა ისეთი ბავშვი, რომელიც შრომას შეეშვება და ცაში იფრენს. მას იტალიაში ნამდვილი პროფესიონალის მენტალიტეტს უყალიბებენ. იცის, რომ ნაკრებში ორი თამაში არაფერია, ჯერ კიდევ ბევრი უნდა იშრომოს და ნამდვილი აღიარება მხოლოდ ამის შემდეგ მოვა.

**- ჩვენდა გასაკვირად, გამოჩნდა, რომ ვარსკვლავური პოტენციალის ფეხბურთელებს საქართველოში ჯერ კიდევ ზრდიან.**

- ჩვენი პირობებით საქართველოს ჩემპიონატიდან პირდაპირ იტალიაში, მაგალითად, "მილანში" არავის წაიყვანენ. იმიტომ არა, რომ მწვრთნელები არ გვყავს, ელემენტარულად, ნორმალური პირობები გვენატრება. ფეხბურთელი მარტო ვარჯიშით არ იზრდება. ვარჯიშებს ემატება აღდგენითი პროცესები, სამედიცინო დახმარება, რაც ჩვენთან ფაქტობრივად არაა. საქართველოში ფეხბურთის დონე ამიტომ არ იზრდება. "ემპოლის" პირობები რომ გვქონდეს, ჩვენს ნამდვილ შესაძლებლობებს მაშინ გაჩვენებდით.

ლევანის ნიჭმა იტალიელები საქართველოსკენ გამოახედა და ჩვენი ბავშვებით დაინტერესდნენ. სხვათა შორის, ისინი ახლა ყენიათი მოიხიბლნენ.

**- ასაკობრივი ნაკრებების უცხოელ მწვრთნელთა საკითხი დღეს აქტუალური თემაა. დაზუსტებით არავინ იცის, ისინი მართლა ათასებს იღებენ თუ არა. სხვა კუთხით შევხედოთ საკითხს, 17-წლამდელების მწვრთნელობაში თქვენ რამდენს გიხდიდნენ?**

- გადასახადების გამოკლებით, სუფთა თანხა 600 ლარი გამოდიოდა.

**- გუნდს ჰქონდა ისეთი ხელშეწყობა, როგორც დღეს?**

- ის რთული პერიოდი იყო, მოსამზადებლად მხოლოდ პალანგის ტურნირზე ვითამაშეთ. ცაიტნოტში ვიყავით და გუნდის შესათამაშებლად დრო არ გვეყო.

**- პირად საუბარში მოსმენილი რომ განვაზოგადოთ, აშკარაა, რომ ქართველ მწვრთნელთა უმრავლესობას თავი დაჩაგრული ჰგონია, უცხოელებს თუ უქმნიან პირობებს, ჩვენ რაღა დავაშავეთო. თქვენც ამ აზრზე ხართ?**

- ასე რადიკალურად არ მინდა ვთქვა, უბრალოდ, დარწმუნებული ვარ, ჩვენთან ბევრი ნიჭიერი მწვრთნელია, რომლებიც ელიტ-რაუნდამდე ამ ნიჭიერ თაობას გაიყვანდნენ. მჭედლძე, ყენია, მაკარიძე, თარგამაძე, ბენაშვილი, კვასხვაძე ქართველმა მწვრთნელებმა გაზარდეს, ხომ არ მეშლება? ისე არ უნდა გამოვიდეს, რომ მათ საერთოდ ხაზი გადაუსვან, თითქოს, არაფერი გაუკეთებიათ. მადლობა მაინც ვუთხრათ და მოვეფეროთ, სითბო, ყურადღება სჭირდებათ და დაფასება.

იგივე "ოლიმპიკში" ისეთი ბავშვები იზრდებიან, მათ გვარებს ხვალ-ზეგ მთელი ქვეყანა გაიგებს და კიდევ ერთხელ მიხვდება ხალხი, რომ ქართველი მწვრთნელები დროს ტყუილად არ ვკარგავთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# ალოგიკური ბონაჩიჩი, ვისაც შუშაკიც დაუმარცხებია

სპარსეთის ყოფილ დედაქალაქში დიდი ამბებია - 7 ნოემბერს ისპაჰანის "სეპაჰანი" აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალის პირველ მატჩში იაპონურ "ურავას" დაუხვდება. ირანელთა ერთ-ერთი ფავორიტი... ფალავანი კი ჩვენებურია - 27 წლის **ჯაბა მუჯირი ლუკა ბონაჩიჩის** გუნდში მარცხენა მცველია.

მუჯირი 2003 წელს გადავიდა "ვიტ ჯორჯიიდან" "სეპაჰანში" და ოთხ წელიწადში სამჯერ გახდა ირანის თასის მფლობელი. 1999-2001 წლებში ჯაბა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა, ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული მცველი იყო.

აზიის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში "სეპაჰანმა" საემიროების "ალ ვაჰდს" სძლია (3:1, 0:0) და საპასუხო მატჩიდან შინ რომ დაბრუნდა, მოზეიმე ქალაქს შეერწყა.

*"გულშემატკივრები აეროპორტში დაგვხვდნენ, ზეიმი კი უკვე დაწყებული იყო სეპაჰანში. ხალხი შუა ქალაქში ცეკვავდა. ირანში ასეთი რამ მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ რაღაც განსაკუთრებული ხდება. მაგალითად, როცა ირანის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა, მაშინ* ხალხს ნება დართეს, *ზეიმი ქუჩაში მოეწყოთ"*, - გვითხრა ჯაბამ.

"სეპაჰანი" ასეთ წარმატებას, ალბათ, ვერ მიაღწევდა, რომ არა ხორვატი მწვრთნელი ბონაჩიჩი. *"ის შარშან მოვიდა ჩვენთან. მას აქვს უნარი, ზუსტად გამოიცნოს შეცვლები. ისეთ ფეხბურთელს გამოიყვანს მოედანზე, რომლის გამოჩენასაც არავინ ელის და ასეთ მოთამაშე ან გოლი გააქვს, ან საგოლე გადაცემებს ასრულებს, ან სხვა მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს გუნდისთვის. ბონაჩიჩი კარგად იცნობს თბილისის "დინამოს" ყოფილ მწვრთნელ ივო შუშაკს და მითხრა, როცა ის "მარიბორს" ხელმძღვანელობდა, ხოლო მე ერთ-ერთ სუსტ სლოვენიურ გუნდს, შუშაკის გაწვრთნილ ბიჭებს 1:0 მოვუგეთო. ბონაჩიჩი ერთი შეხედვით ალოგიკურ, მაგრამ წარმატებულ შეცვლებს აკეთებს, თუმცა მხოლოდ ეს არ არის მისი ძლიერი მხარე. "სეპაჰანი" აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალში რომ გავიდა, მწვრთნელის ფაქტორმა ეს დიდად განაპირობა"*, - განგვიმარტა მუჯირმა.

მის გარდა "სეპაჰანში" კიდევ სამი ლეგიონერია - ორი ერაყელი და ერთი ნიგერიელი. ისპაჰანელები 4-3-3 ან 4-4-2 სქემას არჩევენ. ჯაბამ გვითხრა, მწვრთნელი განაპირა მცველებს შეტევაში ჩართვას გვთხოვს და მხოლოდ დაცვაში თამაში არ მიწევსო.

7 ნოემბერს "სეპაჰანს" ბევრი გულშემატკივარი ვერ უქომაგებს - ისპაჰანის მთავარ სტადიონზე რეკონსტრუქციაა და მუჯირის გუნდი იაპონელებს 15-ათასიან არენაზე უმასპინძლებს.

*"იყო ლაპარაკი, თეირანში გვეთამაშა, მაგრამ დედაქალაქი ჩვენგან 500 კილომეტრითაა დაშორებული და ალბათ, ბევრი ქომაგი იქ ვერ ჩამოვიდოდა".*

"ურავას" ირანელები 14 ნოემბერს ესტუმრებიან საპასუხო მატჩისთვის. დეკემბერში კი იქვე, იაპონიაში ფიფას მიერ ორგანიზებულ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი გაიმართება და მასში აზიის თასის გამარჯვებულიც ითამაშებს და ფინალისტიც. მოკლედ, ამ ტურნირში მილანელ **კახა კალაძის** გარდა კიდევ ერთმა ჩვენებურმა უნდა ითამაშოს და შესაძლოა, მუჯირის თამაშით საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელიც დაინტერესდეს.

*"თუ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან აჰყავთ ფეხბურთელები ნაკრებში, რატომ არ შეიძლება, რომ ირანში მოთამაშე ქართველითაც დაინტერესდნენ? ირანში ზოგ გუნდს კლასი აკლია, მაგრამ ხისტად და აგრესიულად ყველა თამაშობს. სპარსეთის ჩემპიონატიც მნიშვნელოვნად ჯობია საქართველოსას. მიმაჩნია, რომ სანაკრებო დონეზე თამაში შემიძლია"*, - გვითხრა მუჯირმა.

**დავით თავართქილაძე**



ჯაბა მუჯირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XI ტურის წინ

# დაუმარცხებელთა დუელი ენფილდზე

## ბოლტონი ახალი მწვრთნელით და ტოტენჰემი სულ მთლად უმწვრთნელოდ



არსენ ვენგერი



რაფა ბენიტესი

**დღეს**

**ბირმინგემი-ვიგანი**
**ჩელსი-მანჩესტერ სიტი**
**მანჩესტერ იუნ.-მიდლსბრო**
**რედინგი-ნიუკასლი**
**სანდერლენდი-ფულჰემი**
**პორტსმუთი-ვესტ ჰემი**

**ხვალ**

**ბოლტონი-ასტონ ვილა**
**დერბი-ევერტონი**
**ტოტენჰემი-ბლექბერნი**
**ლივერპული-არსენალი**

კვირას მთელი ყურადღება ლივერპულისაკენ იქნება მიპყრობილი. "ენფილდს" "არსენალი" ესტუმრება. "ლივერპული" და "არსენალი" პრემიერლიგის ორად-ორი კლუბია, რომელსაც წაგება არ აქვს. "მეთოფეები" გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობენ. მერსისაიდელები მათ ექვსი ქულით ჩამორჩებიან.

ეს გუნდები ინგლისის ჩემპიონატში 167-დ შეხვდებიან ერთმანეთს. თუ თამაში ფრედ დასრულდება, ეს იქნება მე-1000 ფრე ლივერპულელთა სალიგო ისტორიაში. "არსენალი" ყველა ტურნირზე ზედიზედ მე-13 მატჩის მოგებას აპირებს. მას ცხრა ტურის შემდეგ 25 ქულა 2004-05 წლების სეზონშიც ჰქონდა დაგროვებული, მაგრამ ის ჩემპიონატი მეორე ადგილზე დაასრულა. ცხრა ტურში 25 ქულა აღემატება 2003-04, 2001-02 და 1997-98 წლების ანალოგიური პერიოდის მონაგარს. ეს სეზონები იმიტომ გავიხსენეთ, რომ "არსენალმა" სამივეჯერ ოქროს მედლები მოიგო.

"ლივერპულმა" მიმდინარე გათამაშებაში უფრო მეტი პენალტი გაუშვა, ვიდრე პრემიერლიგის რომელიმე სხვა კლუბმა (3). "არსენალის" სასარგებლოდ ყველაზე მეტი 11-მეტრიანი დაინიშნა (4, აქედან 3 გაიტანეს). გასულ სეზონში ეს კლუბები ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ოთხივე შეხვედრაში გამარჯვებულმა მეტოქეს მინიმუმ სამი გოლი გაუტანა. მარტში გამართული ბოლო "ლივერპული"-"არსენალი" მასპინძელთა სასარგებლოდ დასრულდა, 4:1. სამი გოლი **პიტერ კრაუჩმა** მიითვალა.

ლივერპულელებს **ფერნანდო ტორესი** და **ჩაბი ალონსო** გამოუჯანმრთელდათ. ისინი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ. საეჭვოა **ალვარო არბელოას** ასპარეზობა. ესპანელი მცველი ბარძაყს იტკიებს. "არსენალს" **ფილიპ სენდეროსი** და **რობინ ვან პერსი** არ ეყოლება. ეს უკანასკნელი მუხლის ტრავმას იშუშებს და მინიმუმ ერთთვიან შვებულებაში იმყოფება. კარს ისევ **მანუელ ალმუნია** დაიცავს. **იენს ლემანს** მწვრთნელისა და თანაგუნდელების საჯაროდ გაკრიტიკებამაც ვერ უშველა. აქვე ტურის მატჩის მონაწილე გუნდების სავარაუდო შემადგენლობები:

***ლივერპული***: რეინა, ფინენი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ჯერარდი, ჩაბი ალონსო, მასკერანო, ბენაიუნი, ფერნანდო ტორესი, კუიტი.

***არსენალი***: ალმუნია, სანია, კოლო ტურე, გალასი, კლიში, გლები, ფაბრეგასი, ფლამინი, როსიცკი, ადებაიორი, უოლკოტი.

"მანჩესტერ იუნაიტედს" ცხრილში მეორე ადგილი უკავია. პირველ ტურებში "ეშმაკებს" ჯოჯოხეთურად უჭირდათ გოლების გატანა, მაგრამ ბოლო სამ შეხვედრაში 12 გოლი მიითვალეს. ამ რიცხვში შედის ოთხი გოლი კიევის "დინამოსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში. დღეს "იუნაიტედი" იმ "მიდლსბროს" უმასპინძლებს, რომელმაც ბოლო ხუთი კალენდარული მატჩიდან ოთხი წააგო და მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა. საეჭვოა, **გარეთ საუთგეიტის** შეგირდებმა სავალალო სტატისტიკა "ოლდ ტრეფორდზე" გამოასწორონ. მასპინძლებს **ოუენ ჰარგრივსი** გამოუჯანმრთელდათ. ის მუხლის ტრავმას იშუშებდა. მუხლი აქვს დაშავებული **პოლ სქოულზს**. წვივის კუნთი აწუხებს **პატრის ევრას**, მაგრამ დღეს მაინც ძირითად შემადგენლობაში იქნება. "მიდლსბროს" თავდამსხმელი **ჟერემი ალიადიერი** დაუბრუნდება. დაშავებულები არიან წამყვანი მცველები - **რობერტ ჰუთი** და **ემანუელ პოგატეცი**. ხანგრძლივ შვებულებაშია რივერსაიდელთა ძირითადის კიდევ სამი ფეხბურთელი - **არკა, ჯოუნსი** და **ბეიტსი**.

ცხრილში მესამე ადგილზე მყოფ "მანჩესტერ სიტის" სერიოზული გამოცდა ელის. ის "ჩელსი" ესტუმრება. "არისტოკრატები" დღევანდელ მეტოქეს ოთხი ქულით და ოთხი ადგილით ჩამორჩებიან. "სიტიმ" და "ჩელსიმ" ყველა ტურნირზე თავიანთი ბოლო ოთხი შეხვედრა მოიგეს. ისინი ძალიან კარგ ფორმაში არიან. მიმომხილველები საინტერესო პაექრობას წინასწარმეტყველებენ.

ლონდონელებს არ ეყოლებათ კაპიტანი **ჯონ ტერი**. ინგლისის ნაკრების ვარსკვლავმა განაცხადა, რომ მინიმუმ ოთხი კვირა გაუცდება. "არისტოკრატებს" კიდევ ერთი ტრავმირებული ჰყავთ: **ეშლი კოული**. დისკვალიფიკაციის გამო მანჩესტერში ვერ გაემგზავრა **უეინ ბრიჯი. მიხაელ ბალაკის** ტრავმის ამბავი კი საქვეყნოდ ცნობილია. **სვენ გორან ერიქსონი** ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში უცვლელი შემადგენლობის გამოყვანას აპირებს. სტატისტიკა მის წისქვილზე არ ასხამს წყალს. "სტემფორდ ბრიჯზე" "სიტის" უკანასკნელი გამარჯვება 1994 წლით თარიღდება. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ "ჩელსი" შინ უკვე 68 თამაშია, არ აგებს.

გადავინაცვლოთ ცხრილის ქვედა ეშელონში. "ბოლტონი" "ასტონ ვილას" ახალი მწვრთნელითა და ახალი იმედებით დაუხვდება. მასპინძლებს 10 მატჩის შემდეგ მხოლოდ ერთი გამარჯვება აქვთ. ისინი ბოლო ადგილზე იმყოფებიან. **გარი მეგსონს** სადებიუტო შეხვედრაში სამი წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება - **ვილჰელმსონი, სამუელი** და **ვას ტე** იძულებით შვებულებაში იმყოფებიან. საკადრო პრობლემები აქვს "ვილასაც". **ნაიჯელ რეო-კოკერი** და მეკარე **სკოტ კარსონი** სასჯელებს იხდიან. პირველის ადგილზე **სტილიან პეტროვი** და **ისაია ოსბორნი** აცხადებენ პრეტენზიას, ხოლო კარში ჩადგომა **სტიუარტ ტეილორსა** და **ტომას სორენსენს** სურთ.

უმწვრთნელოდ დარჩენილი "ტოტენჰემი" "ბლექბერნს" მიიღებს. "ბოლტონისა" არ იყოს, 10 მატჩში "მამლებსაც" ერთი გამარჯვება აქვთ. უეფას თასზე "ხეტაფესთან" წაგება ბოლო წვეთი აღმოჩნდა ლონდონელი დირექტორების მოთმინების ფიალაში. **მარტინ იოლს** კარისაკენ მიუთითეს. ხვალ "ტოტენჰემს" სარეზერვო გუნდის თავკაცი **კლაივ ალენი** დამოძღვრავს: მასპინძლებს ორი წამყვანი ფეხბურთელი **ენტონი გარდნერი** და **ჯერმეინ ჯენასი** არ ეყოლებათ. სტუმართაგან საეჭვოა კაპიტან **რაიან ნელსენის** თამაში. ტრავმები აწუხებთ ნახევრმცველ **რიდსა** და თავდამსხმელ **რობერტსს**.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 9 | 8 | 1 | 0 | 21-6 | 25 |
| 2. მანჩ. იუნ | 10 | 7 | 2 | 1 | 15-3 | 23 |
| 3. მანჩ. სიტი | 10 | 7 | 1 | 2 | 15-7 | 22 |
| 4. ლივერპული | 9 | 5 | 4 | 0 | 16-5 | 19 |
| 5. პორტსმუთი | 10 | 5 | 3 | 2 | 19-12 | 18 |
| 6. ბლექბერნი | 9 | 5 | 3 | 1 | 13-8 | 18 |
| 7. ჩელსი | 10 | 5 | 3 | 2 | 10-8 | 18 |
| 8. ნიუკასლი | 8 | 4 | 2 | 2 | 13-10 | 14 |
| 9. ასტონ ვილა | 9 | 4 | 2 | 3 | 13-12 | 14 |
| 10. ვესტ ჰემი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-9 | 13 |
| 11. ევერტონი | 10 | 4 | 1 | 5 | 13-13 | 13 |
| 12. რედინგი | 10 | 3 | 1 | 6 | 12-22 | 10 |
| 13. ფულჰემი | 10 | 1 | 5 | 4 | 12-16 | 8 |
| 14. ბირმინგემი | 10 | 2 | 2 | 6 | 8-13 | 8 |
| 15. ვიგანი | 10 | 2 | 2 | 6 | 8-14 | 8 |
| 16. სანდერლენდი | 10 | 2 | 2 | 6 | 11-19 | 8 |
| 17. მიდლსბრო | 10 | 2 | 2 | 6 | 10-18 | 8 |
| 18. ტოტენჰემი | 9 | 1 | 4 | 4 | 16-18 | 7 |
| 19. დერბი | 10 | 1 | 3 | 6 | 5-22 | 6 |
| 20. ბოლტონი | 10 | 1 | 2 | 7 | 9-16 | 5 |

ტოტენჰემი. მოსალოდნელი დანიშვნა

# ლონდონში რამოსს ელოდებიან

## ესპანელმა მწვრთნელმა ახლავე უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა უაით ჰარტ ლეინზე გადასვლა...

**ხუანდე რამოსი**

**სრული სახელია**: ხუანდე ლა კრუს რამოს კანიო.

**ასაკი**: 53

**სამწვრთნელო კარიერა**: "ალკოიანო" (1993-94), "ლევანტე"(1994-95), "ლოგრონიესი" (1995-96), "ბარსელონა B" (1996-97), "ლეიდა" (1997-98), "რაიო ვალეკანო" (1998-01), "ბეტისი" (2001-02), "ესპანიოლი" (2002), "მალაგა" (2003-04), სევილია (2005- );

**ტიტულები**: უეფას თასი (2005, 2006), ევროპის სუპერთასი (2006), ესპანეთის თასი (2007), ესპანეთის სუპერთასი (2007).

"ტოტენჰემის" მწვრთნელად, სავარაუდოდ, **ხუანდე რამოსი** დაინიშნება. ბი-ბი-სის ცნობით, ლონდონელებმა "სევილიის" დამრიგებელს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს და მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე მისცეს. "მამლებს" მწვრთნელი ახლავე სჭირდებათ. სენიორ რამოსმა გადაწყვეტილება უმოკლეს დროში უნდა მიიღოს. "სევილიის" სპორტული დირექტორი **რამონ როდრიგესი** ლონდონში ჩავიდა. როგორც ჩანს, კლუბები კომპენსაციის საკითხს განიხილავენ. რამოსის ხელშეკრულება სეზონის ბოლოს იწურება. ანდალუსიელებს დიდი ფინანსური სარგებლის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

ამ სპეციალისტის შესაძლო ლონდონურ ტრანსფერზე დიდი ხანია, საუბრობენ. ვარაუდობდნენ, რომ "ტოტენჰემი" მომავალ ზაფხულამდე მოიცდიდა. მაგრამ გუნდს საქმეები ძალიან ცუდად აეწყო. ლოდინის დრო აღარ დარჩა. "მამლებმა" აგვისტოს ტრანსფერებისას თითქმის 50 მილიონი გირვანქა დახარჯეს. შედეგად კი ის მიიღეს, რომ ათი ტურის შემდეგ ერთადერთი გამარჯვება აქვთ. "ტოტენჰემს" ცხრილში სამარცხვინო პოზიცია უკავია. რადიკალური ნაბიჯისათვის დრო, კარგა ხანია, მომწიფებული იყო. რაც შეეხება რამოსს, "სევილიასა" და პირადად მწვრთნელს მოსალოდნელ აბარგებასთან დაკავშირებით არაფერი უთქვამთ. სენიორ ხუანდეს აგენტმა **ალვარო ტორესმა** მიმომხილველებს მხოლოდ ეს განუცხადა, ბევრს ვერაფერს გეტყვით, ეს მორიგი სპეკულაციაა და მეტი არაფერი, სხვა სათქმელი არაფერი მაქვსო.

ესპანური გამოცემა "მარკა" გვაუწყებს, რომ რამოსს "სევილიის" დაუყოვნებლივ დატოვება სურს. ბი-ბი-სის ესპანური ფეხბურთის მიმომხილველი **ალან ჰანტერი** ვითარებას ასე აფასებს: *"ანდალუსიური კლუბი ყველაფერს ილონებს დიდი კომპენსაციის მისაღებად. როდრიგესის ("სევილიის" სპორტული დირექტორი) ლონდონში ჩამოსვლაც ამას მოწმობს. როგორც ჩანს, ესპანელებმა "ტოტენჰემს" შეატყობინეს, თუ რა პირობების სანაცვლოდ გაუშვებენ მწვრთნელს. ლონდონელების მოთმინება უსაზღვრო არ არის. ისინი უკვე მესამედ უკავშირდებიან რამოსს. ამჯერად შეთავაზებას ულტიმატუმი ახლავს: თუ რამოსს "ტოტენჰემში" მუშაობა სურს, გადაწყვეტილება სწორედ ახლა უნდა მიიღოს. სხვა დრო არ იქნება. უარის შემთხვევაში, "მამლები" მწვრთნელის ძებნას სხვაგან გააგრძელებენ. "სევილიასთან" მოლაპარაკება ადვილი არ იქნება. პრეზიდენტი* ***დელ ნიდო*** *რთული პიროვნებაა. ამიტომ "ტოტენჰემს" მთელი დიპლომატიური ნიჭის გამოყენება მოუწევს, რათა თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მაქსიმალურად მოკლე დროში მიაღწიოს."*



ხუანდე რამოსი ლონდონში წასასვლელად ემზადება

ინგლისური მედია იუწყება, რომ რამოსს ასისტენტად ურუგვაის ნაკრებისა და "ჩელსის" ყოფილი ვარსკვლავის **გუსტავო პოიეტის** დანიშვნა სურს. პოიეტი "ლიდსში" მუშაობს. ის **დენის უაიზის** მარჯვენა ხელია. ურუგვაელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ ლონდონიდან არავინ დაკავშირებია და ეს ყველაფერი გაზეთებიდან შეიტყო. პოიეტმა "ტოტენჰემში" სამი სეზონი (2001-04) გაატარა. ამიტომ "უაით ჰართ ლეინთანაც" განსაკუთრებული მოგონებები აკავშირებს. პოიეტს ბი-ბი-სი შეეხმიანა და ასეთი კომენტარი მოისმინა: *"მირეკავენ და ტექსტურ შეტყობინებებს მიგზავნიან. მე კი წარმოდგენა არ მაქვს, რა ხდება. არავისთან მისაუბრია. არც ის ვიცი, "ლიდსს" თუ დაუკავშირდნენ."* "ლიდსის" მესვეურებმა ამ კითხვას საკუთარ ვებგვერდზე უპასუხეს: *"პოიეტის თაობაზე "ტოტენჰემიდან" არავითარი მოთხოვნა არ მოგვსვლია. არც მწვრთნელს გამოუთქვამს კონტრაქტის გაწყვეტის სურვილი. "ლიდსს" მწვრთნელთან თანამშრომლობის გაგრძელება სურს. ამიტომ "ტოტენჰემის" შესაძლო დაინტერესებას არ მივესალმებით."*

რამოსის გარდა, კიდევ ორი სპეციალისტის გვარი ახსენეს: **იურგენ კლინსმანისა** და **მარკ ჰიუზის**. კლინსი უმუშევარია. ჰიუზი "ბლექბერნში" მოღვაწეობს. მან "ტოტენჰემთან" დაკავშირებულ სპეკულაციებს გუშინვე დაუსვა წერტილი: *"ჩემი ყველა ინტერესი "ბლექბერნს" უკავშირდება. მსგავსი სპეკულაციები არა ერთხელ მომისმენია. მე მათ აღვიქვამ, როგორც კომპლიმენტს იმ სამუშაოსთვის, რომელსაც "ბლექბერნში" ვეწევი, აგრეთვე კომპლიმენტს ჩემი გუნდისა და ფეხბურთელების მიმართ."*

ასე რომ, ყველა გზა რამოსისაკენ მიდის. ესპანელი სპეციალისტი "ტოტენჰემისთვის" ჩინებული შენაძენი იქნებოდა. **მარტინ იოლმა** გუნდი იმაზე უკეთეს მდგომარეობაში დატოვა, ვიდრე მისი მისვლისას იყო. მაგრამ ახლა მომდევნო ნაბიჯების გადადგმის დროა. სენიორ ხუანდე ამ ამოცანის შესასრულებლად იდეალური კანდიდატია. ინგლისელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ის ლონდონურ კლუბში "ბლექბერნთან" თამაშის შემდეგ დაინიშნება. ინგლისის ჩემპიონატის მე-11 ტურში, "ტოტენჰემი" "ბლექბერნს" ხვალ უმასპინძლებს. ამ თამაშში ფეხბურთელებს სარეზერვო გუნდის თავკაცი **კლაივ ალენი** დამოძღვრავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური

# ფავორიტები გადარჩნენ

**ხუთშაბათს** უეფას თასის ჯგუფური ეტაპის გათამაშება დაიწყო. პირველ ტურში სენსაცია არ ყოფილა. თუმცა ცოტა დააკლდა: "ბაიერნმა" მხოლოდ ბოლო წუთებზე შეძლო თამაშის შემოტრიალება. დრამატულად წარიმართა "ლოკომოტივისა" და "ატლეტიკოს" მატჩიც და აქაც, ფავორიტი შეხვედრის მიწურულსღა გადაურჩა მარცხს...

**A ჯგუფი**

**ზენიტი-ალკმაარი 1:1**

**გოლები:** 0:1 არი (20), 1:1 ტიმოშჩუკი (43-პენ)

**გაძევება:** არი (39. ალკმაარი)

**ევერტონი-ლარისა 3:1**

**გოლები:** 1:0 კაჰილი (14), 2:0 ოსმანი (50), 2:1 კლეიტონი (65), 3:1 ანიჩებე (85)

ფაქტია, რომ "ალკმაარს" **შოთა არველაძის** წასვლა დაეტყო. ამ გუნდს შეტევაში თითქმის არაფერი გამოსდის. "ზენიტმა" **ლუის ვან გაალის** კრებული პირველ ტაიმში მაგრად აბურთავა, მაგრამ მე-20 წუთზე ვინმე **არისგან** ალოგიკური გოლი მიიღო. მერე, ეს ფეხბურთელი სიმულანტობაში ამხილეს. არბიტრმა მას მეორე ყვითელი ბარათიც მიაყრა და მოედანი დაატოვებინა.

პეტერბურგელებმა კი რიცხობრივი უპირატესობა მაშინვე გამოიყენეს. **ტიმოშჩუკმა** დამსახურებული პენალტი გოლად აქცია. მეორე ნახევარში ტემპი რატომღაც დაეცა, მომენტებიც აღარ შექმნილა და გუნდები, თითქოს, ფრეზე შეთანხმდნენ. "ზენიტი" მანამდე არ გამოფხიზლდა, სანამ ქომაგებმა პროტესტის ნიშნად სტვენა არ ატეხეს. თუმცა მატჩის ბოლოს შტურმი მაინც არ გამოვიდა.

"ევერტონმა" ძლივს გატეხა უსახელო "ლარისას" წინააღმდეგობა. დიდებული იყო მასპინძელთა მეორე გოლი. ლივერპულელებმა ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს და **ოსმანმა**, ასე 20 მეტრიდან, კინაღამ ბადე მოარღვია. ისე, ბერძნული კლუბი მეტად სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდა და **ანიჩებეს** გამოყვანა რომ არა, შესაძლოა ეხეირათ კიდეც. ამ ანიჩებემ კი ბერძენთა დაცვისა და მეკარის შეუთანხმებლობით ისარგებლა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

**8 ნოემბერი**

**ლარისა-ზენიტი**

**ნიურნბერგი-ევერტონი**

**B ჯგუფი**

**პანათინაიკოსი-აბერდინი 3:0**

**გოლები:** 1:0 გუმასი (11), 2:0 პაპადოპულოსი (73), 3:0 სალპინგიდისი (77)

**ლოკომოტივი-ატლეტიკო 3:3**

**გოლები:** 0:1 აგუერო (16), 1:1 ბილიალეტდინოვი (27), 1:2 ფორლანი (47), 2:2 ოდემვინგი (61), 3:2 ოდემვინგი (64), 3:3 აგუერო (85)

"პანათინაიკოსს" ედინბურგელთა დასამარცხებლად განსაკუთრებული ძალისხმევა არ დასჭირვებია. მატჩის გმირად ბერძნული გრანდის ავსტრიელი ნახევარმცველი **ანდრეას ივანშიტცი** უნდა დავასახელოთ. სამივე გოლი მისი გადაცემების შედეგად გავიდა.

მოსკოვში კი ყველაფერი უკუღმა იყო. იქ თამაში ხელიდან ხელში გადადიოდა. **მალხაზ ასათიანის** გარეშე მოთამაშე რკინიგზელები ორჯერ აგებდნენ, მაგრამ ორჯერვე გამოძვრნენ მძიმე მდგომარეობიდან. მერე კი **ოდემვინგის** (დუბლი) წყალობით სულაც წინ გაიჭრნენ. მაგრამ თავისი ოდემვინგი "ატლეტიკოსაც" ჰყავდა. ვგულისხმობთ **აგუეროს**, რომელმაც ასევე დუბლი გაიფორმა. ამას გარდა, მან **ფორლანსაც** გაატანინა. საერთოდ, თამაში პირველივე წუთიდან ორმხრივ იერიშებში წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ სამი გოლი გაუშვა, მოსკოველთა მხრიდან მეკარე **პელიცოლისაც** გამოვყოფდით. იტალიელმა კიპერმა რამდენიმე რთული ბურთი აიღო, რასაც ვერ ვიტყვით მის თანამემამულე **აბიატიზე**, რომელმაც თავისი გუნდი ვერც ერთ კრიტიკულ სიტუაციაში ვერ იხსნა.

**8 ნოემბერი**

**აბერდინი-ლოკომოტივი**

**კოპენჰაგენი-პანათინაიკოსი**

**C ჯგუფი**

**ელფსბორგი-აეკ 1:1**

**გოლები:** 1:0 მობეკი (14), 1:1 პაპასი (49)

**ვილიარეალი-ფიორენტინა 1:1**

**გოლები:** 0:1 ვიერი (49), 1:1 კაპდევილია (88)

ამ ჯგუფის მთავარი შეხვედრა "ელ მადრიგალზე" გაიმართა. მატჩი ფლორენციელთა იერიშებით დაიწყო და ჯერ **მუტუმ**, მერე **ლივერანიმ**, ბოლოს კი **ვიერიმ** კარგი საგოლე შანსები გაატანეს ქარს. სამაგიეროდ, ვიერის მეორე ტაიმის დასაწყისში გაუმართლა. მუტუს ფლანგური გადაცემის შემდეგ, "ბობომ" ყველას დაასწრო ანგარიში გახსნა. მალე რუმინელმა ფორვარდმა თავადაც შეაგდო, მაგრამ არბიტრმა, ცოტა არ იყოს, საეჭვო თამაშგარე დააფიქსირა...

ობიექტურნი რომ ვიყოთ, "ვილიარეალი" საპასუხო გოლის ღირსი არ იყო, მაგრამ... მაგრამ "ფიორენტინას" ისევ იტალიელმა აურია გეგმები. "პარმიდან" გადმოსულმა **როსიმ** ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა და **კაპდევილიამ** თავურით წონასწორობა აღადგინა. დარჩენილ ორ-სამ წუთში გუნდებს რისკზე წასვლა არ უცდიათ - 1:1.

ამავე ანგარიშით დასრულდა მატჩი ბუროსში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იქ თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ. პირველივე ტაიმში შვედეთის ჩემპიონის კიდევ ორი გოლის გატანა მართებდა, მაგრამ **მობეკმა** (ვინც ანგარიში გახსნა) და **ალექსანდერსონმა** მხოლოდ ძელის სიმაგრე შეამოწმეს.

მეორე ტაიმი სტუმრებმა გაცილებით აქტიურად დაიწყეს და უმალ გააყაიმეს კიდეც. შეცვლაზე შესულმა **პაპასმა** ბურთი პირდაპირ "ცხრიანში" მოარტყა. დარჩენილ დროში უფრო აეკ-ი დომინირებდა, თუმც ერთ ეპიზოდში მობეკმა კვლავ ძელი მოიკითხა. საბოლოო ჯამში, ფრით ორივე მხარე კმაყოფილი უნდა იყოს.

**8 ნოემბერი**

**მლადა-ვილიარეალი**

**ფიორენტინა-ელფსბორგი**

**D ჯგუფი**

**ბრანი-ჰამბურგი 0:1**

**გოლი:** 0:1 კომპანი (62)

**ბაზელი-რენი 1:0**

**გოლი:** 1:0 შტრელერი (55)

თუკი "ბრანი"-"ჰამბურგის" მატჩში ანგარიში მხოლოდ 62-ე წუთზე გაიხსნა და თამაშის ბოლომდე უცვლელი დარჩა, ნორვეგიელთა მეკარე **ოპდალის** დამსახურება გახლავთ. თუმცაღა, ბედის ირონიით, მისი "წვლილი" ამ ერთადერთ გოლშიც იყო. მას აშკარად ჩაეძინა და ვერაფერი მოუხერხა ბელგიელი მცველის **კომპანის** მიერ შორი მანძილიდან დარტყმულ ბურთს. მერე "ბრანს" ჰქონდა რაღაც მომენტები, მაგრამ ანგარიშის შეცვლა ისევ **ჰუუბ სტევენსის** ბიჭებს შეეძლოთ. თუმცა იმავე ოპდალმა ბოლო წუთებში **ოლიჩს** ზღაპრული ბურთი აუღო.

"ბაზელმა" საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს მინიმალური ანგარიშით აჯობა. საინტერესოა, რომ ეს იყო შვეიცარიული პირველობის ლიდერის მე-12 წაუგებელი მატჩი უეფას თასზე. მთელი შეხვედრის განმავლობაში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო და ანგარიშიც შესაფერისი გახლავთ. **შტრელერმა** თავი დაუხვედრა **ჩიპერფილდის** მიერ კუთხურიდან მოშორებულ ბურთს და მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა.

**8 ნოემბერი**

**რენი-ბრანი**

**დინამო ზაგრები-ბაზელი**

**E ჯგუფი**

**სპარტა-ციურიხი 1:2**

**გოლები:** 1:0 სლეპიჩკა (24), 1:1 კონდე (38), 1:2 ალფონსი (62)

**გაძევება:** ჰასლი (79. ციურიხი)

**ლევერკუზენი-ტულუზი 1:0**

**გოლი:** 1:0 კისლინგი (35)

პირველ ტურში კიდევ ერთ ფრანგულ კლუბს მოეცარა ხელი. "ბაიარენაზე" მატჩი "ლევერკუზენის" შეტევებით კი დაიწყო, მაგრამ მერე თამაშის სადავეებს "ტულუზი" დაეუფლა. საგულისხმოა, რომ "ფარმაცევტებმა" გამარჯვების გოლი სწორედ ამ პირობებში გაიტანეს. **კისლინგმა ბარბარესის** უზუსტესი პასი მიიღო, პირისპირ გავიდა მეკარესთან და ბურთი თავზე გადაუგდო.

მეორე ტაიმში ფრანგების უპირატესობა გამოიკვეთა. თუმცა მათ კართან შედარებით მეტი საგოლე მომენტი შეიქმნა. კრიტიკული სიტუაცია იყო ბოლო წუთზე, როცა შეცვლაზე შესულ **ბერგუნიოს** ბოლო წამს ჩაუწვა **ჰაგი** და თავისიანები განსაცდელისგან იხსნა.

"ციურიხმა" პრაღაში გმირობის ტოლფასი გამარჯვება მოიპოვა. წარმოიდგინეთ, შვეიცარიელები ჯერ აგებდნენ, მერე წინ გავიდნენ და ბოლოს, რიცხობრივ უმცირესობაში, ანგარიშიც შეინარჩუნეს. დაგვეთანხმებით, ასეთ დროს 3 ქულა, მეტადრე გასვლაზე, მეტად ძვირად ფასობს.

**8 ნოემბერი**

**სპარტაკი-ლევერკუზენი**

**ტულუზა-სპარტა**

**F ჯგუფი**

**ბოლტონი-ბრაგა 1:1**

**გოლები:** 1:0 დიუფი (66), 1:1 ჟაილსონი (87)

**ცრვენა ზვეზდა-ბაიერნი 2:3**

**გოლები:** 1:0 კორომანი (16), 1:1 კლოზე (20), 2:1 მილიაში (74), 2:2 კლოზე (86), 2:3 კროოსი (90)

**გაძევება:** ბაიალიცა (90. ცრვენა ზვეზდა)

86-ე წუთისთვის "ბაიერნი" ბელგრადში 2:1-ს აგებდა. ევროპა დიდი სენსაციის მოლოდინში გაირინდა. სენსაცია, ეს ახლა, თორემ 16 წლის წინათ, ან უფრო ადრეც, ამას ჩვეულებრივ ამბად ჩათვლიდნენ, რადგან "ცრვენა ზვეზდა" ევროპაში დიდი სახელით სარგებლობდა, მეტი რომ არ ვთქვათ. ახლა კი, როცა "ბაიერნი" უეფას თასის უპირველესი ფავორიტი და, შეიძლება ითქვას, უგვირგვინო მეფეა, სერბეთის დედაქალაქში მიმდინარე მოვლენები ამიტომაც გახდა ხმაურის საბაბი. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, "ცრვენა ზვეზდა" ორჯერ იყო წინ, მაგრამ ფავორიტმა თავის სტატუსს არ უღალატა. მატჩის ბოლო წუთების გმირად, შეცვლაზე შესული გერმანელი ვუნდერკინდი, 17 წლის **ტონი კროოსი** იქცა. მან ჯერ **კლოზეს** დაასვა ბურთი თავზე, მერე კი თავად ჯარიმა გაისროლა შორიდან და სერბებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს. ცნობისთვის, ოტმარ ჰიტცფელდის სამწყსოს **რიბერი** და **ტონი** აკლდნენ.

ბოლტონის "რიბოკ სთედიუმზე" ორი უსახური გუნდის დაპირისპირება ლოგიკური შედეგით დასრულდა. პრემიერლიგის აუტსაიდერი 87-ე წუთზე **ჟაილსონის** მიერ დაისაჯა იმის გამო, რომ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. ბოლტონელთა ახალი მწვრთნელი **გარი მეგსონი** თამაშს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს.

**8 ნოემბერი**

**ბაიერნი-ბოლტონი**

**არისი-ცრვენა ზვეზდა**

**G ჯგუფი**

**ანდერლეხტი-ჰაპოელი 2:0**

**გოლები:** 1:0 ფრუტოსი (36), 2:0 ფრუტოსი (78)

**ტოტენჰემი-ხეტაფე 1:2**

**გოლები:** 1:0 დეფო (19), 1:1 დე ლა რედი (21), 1:2 ბრაულიო (70)

"ტოტენჰემი" ხელიდან წავიდა. "ხეტაფესთან" მარცხი აბსოლუტურად ლოგიკური იყო იმის გათვალისწინებით, რაც გუნდში სეზონის დაწყებიდან ხდებოდა. ბევრი მიიჩნევს, რომ **მარტინ იოლის** გადაყენება დაგვიანებულიცაა, თუმცა, ბანალურად თუ ვიტყვით, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. "ხეტაფესთან" წაგება კი იმას ნიშნავს, რომ "მამლებს" რაიმე ამბიცია არც უეფას თასზე უნდა ჰქონდეთ. მათ მხოლოდ ორი წუთით შეინარჩუნეს უპირატესობა **დეფოს** ზუსტი თავურის შემდეგ. **გრანეროს** პასით წონასწორობა **დე ლა რედმა** აღადგინა. დარჩენილ დროში ორივე გუნდს თანაბრად შეეძლო დაწინაურება, მაგრამ ბედმა უფრო მადრიდულ კლუბს გაუღიმა. 70-ე წუთზე, **ბრაულიომ კორტესის** ჩაწოდებით ისარგებლა. "ტოტენჰემი" დიდი ძალებით გადავიდა შეტევაზე და სამშვიდობო ანგარიშის დაფიქსირებაც შეეძლო, მაგრამ **ჰადლსტოუნის** დარტყმული ძელმა მოიგერია.

"ანდერლეხტმა" მხოლოდ ორი მშრალი გოლი იკმარა "ჰაპოელთან" მატჩში, არადა, ცოტა მეტი სიზუსტე და ებრაულ კლუბს მიწასთან გაასწორებდა. ხოლო რაც გავიდა, ორივე არგენტინელი **ფრუტოსის** აქტივში ჩაიწერა. სხვათა შორის, ერთი საგოლე პასიც მისმა თანამემამულე **ბილიმ** გაიფორმა.

**8 ნოემბერი**

**ჰაპოელი-ტოტენჰემი**

**ოლბორგი-ანდერლეხტი**

**H ჯგუფი**

**ჰელსინგბორგი-პანიონიოსი 1:1**

**გოლები:** 0:1 გუნდულაკისი (45), 1:1 ლარსონი (83)

**ბორდო-გალათასარაი 2:1**

**გოლები:** 0:1 ნონდა (21-პენ), 1:1 კავენაგი (52), 2:1 შამახი (63)

მაროკოს ნაკრების ფორვარდ **შამახის** მიერ გატანილი გოლით "ბორდომ" უეფას თასის ჯგუფური ეტაპი გამარჯვებით დაიწყო. სხვათა შორის, იგივე შამახი მანამდე **კავენაგის** ანგარიშის გათანაბრებაში დაეხმარა. თავიდან კი მოედანს თურქული კლუბი აკონტროლებდა. 21-ე წუთზე კონგოელმა **ნონდამ** მისივე ნაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი გამოიყენა.

მეორე ტაიმში თამაშის სადავეები მასპინძელთა ხელში გადავიდა. მატჩის ბოლოს, ჟირონდისტთა გამოცდილ ფლეიმეიქერ **მიკუს** ანგარიშისთვის სოლიდური სახის მიცემაც შეეძლო, მაგრამ სტუმართა მეკარემ იმარჯვა. "გალათასარაისაც" ჰქონდა საბოლოო შედეგზე ზემოქმედების შანსი, მაგრამ ნონდას დარტყმული მიზანს გადასცდა.

თუ სადმე სამართალი იყო, "პანიონიოსს" აუცილებლად უნდა გაემარჯვა, მაგრამ ვეტერან **ჰენრიკ ლარსონის** წყალობით "ჰელსინგბორგი" ფრეს ეწია. არადა, ბერძნულ კლუბს ამის შემდეგაც შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ უაღრესად ხელსაყრელ სიტუაციაში **კონდისმა** მეკარე **ანდერსონს** ვერ აჯობა.

**8 ნოემბერი**

**გალათასარაი-ჰელსინგბორგი**

**აუსტრია-ბორდო**




ჰელსინგბორგი-პანიონიოსი. ვეტერანმა ლარსონმა შვედებს ქულა მოუტანა



ვილიარეალი-ფიორენტინა. ვიერი სენას გაურბის




ცრვენა ზვეზდა-ბაიერნი. ჟოაო ლუკაში და მარკ ვან ბომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XI ტურის წინ

# დორტმუნდი ვალდებულია

## იმისთვის, რომ ბუნდესლიგამ ინტრიგა არ დაკარგოს...

**გუშინ**

აინტრახტი-ჰანოვერი 0:0

**დღეს**

შტუტგარტი-ლევერკუზენი
შალკე-ვერდერი
ჰერტა-ბოხუმი
არმინია-კოტბუსი
ვოლფსბურგი-ნიურნბერგი
ჰანზა-კარლსრუე

**ხვალ**

ბორუსია-ბაიერნი
დუისბურგი-ჰამბურგი





დორტმუნდსა და თომას დოლს დიდი მატჩი აქვთ

6 ქულით დაწინაურებულ "ბაიერნთან" ყველაზე ახლოს "ვერდერი", "ჰამბურგი", "კარლსრუე" და "შალკე" არიან. 10 ტურის შემდეგ, უკვე ცხადია, რომ რეკორდმაისტერს ყველაზე დიდ კონკურენციას სწორედ ამ ოთხეულიდან ერთ-ერთი გაუწევს. რაკი "კარლსრუეს" წარმატებები ჯერ მაინც სენსაციად აღიქმება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გუნდი "ბაიერნის" უპირველესი მდევარი არ იქნება. მაშ "ვერდერი", "ჰამბურგი" თუ "შალკე"?

დღეს ბრემენული და გელზენკირხენული კლუბები ერთმანეთს უპირისპირდებიან და ეს თამაში ამ მხრივ ბევრ რამეს გაარკვევს. "ვერდერმა" ჩემპიონთა ლიგაში, როგორც იქნა, წარმატებას მიაღწია - **თომას შააფის** შეგირდებმა "ლაციო" დაამარცხეს. "შალკემ" კი ლონდონში წააგო (0:2 "ჩელსისთან") და ვიზავისგან განსხვავებით, ცუდ ხასიათზეა. ბრემენელები ბოლო დროს ჩვეულ სტილში ათამაშდნენ და უკანასკნელი 5 თამაშიდან 13 ქულას მოუყარეს თავი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კარგ ფორმაში არიან. "შალკეს" თავკაცი **მირკო სლომკა** იმედოვნებს, რომ **კევინ კურანი**, რომელიც გუნდს "ჩელსისთან" ვერ დაეხმარა, დღეს საღამომდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

უმძიმეს კრიზისში მყოფი "შტუტგარტი", რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში მესამე თამაშიც წააგო, ხოლო ბუნდესლიგაში კი მე-14 ადგილზეა, იმ "ლევერკუზენს" მასპინძლობს, რომელმაც უეფას თასზე "ტულუზას" 1:0 მოუგო. შვაბთა საგონებელში ჩავარდნილი დამრიგებელი **არმინ ფეე** ამბობს, რომ ამიერიდან მისი გუნდი მხოლოდ გერმანიის პირველობაზე იქნება კონცენტრირებული, რადგან ჩემპიონთა ლიგაში რამის მტკიცებას აზრი აღარ აქვს. აღსანიშნავია, რომ 1999/2000 წლების სეზონიდან მოყოლებული, "გოტლიბ-დაიმლერ-შტადიონზე" მონაცვლეობით ხან ერთი გუნდი იგებს, ხანაც მეორე. შარშან გამარჯვება "შტუტგარტს" დარჩა...

"კარლსრუეს" ამჯერად როსტოკის "ჰანზასთან" აქვს საქმე, თანაც სტუმრად, "ოსტზეეშტადიონზე". მიუხედავად იმისა, რომ ბადენელები მე-4 ადგილზე არიან, როსტოკელები კი მე-13-ზე, ამ შეხვედრაში **ალექსანდრე იაშვილის** გუნდი ფავორიტად მაინც ვერ ჩაითვლება, რადგან ექსპერტები ჯერ კიდევ იმ აზრზე არიან, რომ KSC-ს სენსაციური სვლა დროებითია. თანაც, რაც არ უნდა იყოს, გასულ სეზონში "ჰანზა" და "კარლსრუე" მეორიდან პირველ ბუნდესლიგაში ერთად გადავიდნენ. "კიკერის" ვარაუდით, იაშვილი ძირითად შემადგენლობაში აღარ იქნება, რადგან წინა ტურში გუნდში ყველაზე უარესი შეფასება (5 ბალი) მიიღო. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ იაშკას **ბრედლი კარნელი** შეცვლის, ქართველს კი სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოუწევს.

"ჰერტა", "ბოხუმი", "არმინია" და "კოტბუსი" ის გუნდებია, რომლებიც ერთი ან ორი თამაშის მაღალ დონეზე ჩატარების შემდეგ, ფორმას ვერ ინარჩუნებენ. "ბოხუმი" დღეს ბერლინში ჩადის, "კოტბუსი" კი ბილეფელდში. გადაწყვეტილია, რომ ბოლოადგილოსანი "კოტბუსის" კარს **ტომისლავ პიპლიცა** აღარ დაიცავს. "ენერგის" ახალმა მწვრთნელმა **ბოიან პრასნიკარმა** გადაწყვიტა, რომ ვეტერანი "პიპი" სკამზე დასვას, კარი კი 28 წლის **გერჰარდ ტრემელს** ანდოს. აღსანიშნავია, რომ სეზონის წინ გუნდის პრეზიდენტი პრასნიკარის წინამორბედს მოუწოდებდა, ტრემელს ენდეო, მაგრამ მწვრთნელმა პირველ ნომრად მაინც პიპლიცა დატოვა, რის გამოც პრეზიდენტთან უთანხმოება მოუვიდა. მოკლედ, ახალმა მწვრთნელმა პრეზიდენტის ბრძანება შეასრულა და მიუხედავად იმისა, რომ "კოტბუსის" არცერთი მარცხი უშუალოდ პიპლიცას ბრალი არ ყოფილა, დღეს "კოტბუსის" პირველი მეკარე ტრემელი იქნება. არადა, როგორც გახსოვთ, "პიპიმ" სეზონი არაჩვეულებრივად დაიწყო და პირველი ტურის გმირი გახდა (ლევერკუზენი-კოტბუსი 0:0). დღესვე, "ვოლფსბურგი" "ნიურნბერგს" უმასპინძლებს. მასპინძლებს **აშკან დეჟაგა** დაუშავდათ, სტუმრებს კი **ზვიეზდან მიშიმოვიჩი** დააკლდებათ (გრიპი).

ხვალ, "ჰამბურგი", რომელმაც უეფას თასზე "ბრანი" დაამარცხა, დუისბურგში ჩადის და ცხადია, სამი ქულისთვის იბრძოლებს, პარალელურად კი იმედოვნებს, რომ დორტმუნდის "ბორუსია" "ბაიერნს" მინიმუმ 2 ქულას წაართმევს. და აი, ტურის ცენტრალურ თამაშსაც მივადექით:

"დორტმუნდი" ვალდებულია, "ბაიერნს" "ვესტფალენშტადიონიდან" 3 ქულა არ გაატანოს, რათა ბუნდესლიგა ძალიან მოსაწყენი არ გახდეს. ამიტომაცაა, რომ ხვალ მთელი ლიგა BVB-ს უქომაგებს. "ბორუსიამ" "ბაიერნს" ბოლო 5 საშინაო თამაშიდან 3 მოუგო და იმ გუნდად რჩება, რომელსაც რეკორდმაისტერის გამწარება შეუძლია. შარშან BVB-მ მიუნხენური გუნდი 3:2 დაამარცხა, მაგრამ მაშინ "ბორუსიას" **ალექსანდერ ფრაი** ჰყავდა, რომელმაც იმ თამაშში რეკორდმაისტერს დუბლი შეუსრულა და რომელიც დიდი ხნის ტრავმირებულია. სხვათა შორის, ის შეხვედრა "ბორუსიის" იმდროინდელი თავკაცის, **იურგენ რიობერის** დებიუტი გახლდათ, "ბაიერნის" დამრიგებელ **ფელიქს მაგათისთვის** კი, ბოლოსწინა მატჩი. **თომას დოლს** ჰქონდა იმის იმედი, რომ "ბაიერნთან" შვეიცარიელს განაცხადში მაინც შეიყვანდა, მაგრამ ექიმები მიიჩნევენ, რომ ფრაის თამაში უდიდესი რისკი იქნება, რომელზეც წასვლაც BVB-ს არ ულირს. სამაგიეროდ, "დორტმუნდს" დისკვალიფიკაციამოხდილი კაპიტანი **კრისტიან ვიორნსი** უბრუნდება. რეკორდმაისტერის რიგებში კი, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა **ფრანკ რიბერისა** და **ლუკა ტონის** თამაში. ფრანგი და იტალიელი "ბაიერნს" უეფას თასზეც აკლდნენ და დიდი შანსია, რომ ხვალამდე გამოჯანმრთელება ვერ მოასწრონ, რაც "ბორუსიისთვის" დიდი შეღავათი იქნება.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბორუსია (დ)**: ვაიდენფელერი, ფ. დეგენი, ვიორნსი, კოვაჩი (ან ბრჟენსკა), დედე, კრუსკა, ტინგა, კრინგე, ბლაშჩიკოვსკი, პეტრიჩი, კლიმოვიჩი.

**ბაიერნი**: რენზინგი, ლამი, ლუსიო, ლელი, იანსენი, ჰამით ალთინთოფი, ვან ბომელი, ზე რობერტო, შვაინშტაიგერი (ან რიბერი), პოდოლსკი (ან ტონი), კლოზე.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 10 | 8 | 2 | 0 | 27-4 | 26 |
| 2. ვერდერი | 10 | 6 | 2 | 2 | 24-16 | 20 |
| 3. ჰამბურგი | 10 | 6 | 2 | 2 | 16-8 | 20 |
| 4. კარლსრუე | 10 | 6 | 1 | 3 | 13-11 | 19 |
| 5. ჰანოვერი | 11 | 5 | 3 | 3 | 15-15 | 18 |
| 6. შალკე | 10 | 4 | 5 | 1 | 16-9 | 17 |
| 7. აინტრახტი | 11 | 4 | 4 | 3 | 12-14 | 16 |
| 8. ლევერკუზენი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-8 | 15 |
| 9. ვოლფსბურგი | 10 | 3 | 4 | 3 | 15-15 | 13 |
| 10. ჰერტა | 10 | 4 | 1 | 5 | 13-15 | 13 |
| 11. დორტმუნდი | 10 | 4 | 1 | 5 | 16-19 | 13 |
| 12. არმინია | 10 | 3 | 2 | 5 | 12-22 | 11 |
| 13. ჰანზა | 10 | 3 | 1 | 6 | 11-15 | 10 |
| 14. შტუტგარტი | 10 | 3 | 1 | 6 | 11-18 | 10 |
| 15. ნიურნბერგი | 10 | 2 | 3 | 5 | 14-17 | 9 |
| 16. ბოხუმი | 10 | 2 | 3 | 5 | 13-17 | 9 |
| 17. დუისბურგი | 10 | 3 | 0 | 7 | 12-17 | 9 |
| 18. კოტბუსი | 10 | 0 | 4 | 6 | 6-20 | 4 |

შალკე

# ზედიზედ მეხუთე შეცდომა

## მიმომხილველთა დასკვნა: ეს ის ნოიერი აღარაა...

შარშან ამ დროს "შალკეს" პირველი მეკარე **ფრანკ როსტი** გახლდათ. მაშინ გელზენკირხენული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ**, "ბაიერნთან" საშინაო მატჩის წინ (2:2), გამოცდილი მეკარე ყველასათვის მოულოდნელად სკამზე დასვა, კარი კი ახალგაზრდა **მანუელ ნოიერს** ანდო. 20 წლის ბიჭმა (დღეს 21 წლისაა) მთელი საფეხბურთო გერმანია განაცვიფრა - შესანიშნავად თამაშობდა და სწორედ მისი დამსახურება იყო ის, რომ "ბაიერნთან" მატჩის შემდეგ, "შალკეს" პროგრესი დაეწყო. სწორედ ასე დაიმკვიდრა ნოიერმა "ხუმარების" ძირითად შემადგენლობაში ადგილი, ასე გახდა გუნდის პირველი მეკარე და გამოცდილი როსტი აიძულა, ზამთარში "ჰამბურგში" გადასულიყო.

გერმანიაში დღესაც ყველას ნოიერის გვარი აკერია პირზე, მაგრამ ამჯერად უარყოფით კონტექსტში, რადგან გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხული მეკარე ბოლო დროს საშინელ შეცდომებს უშვებს. "ჩელსისთან" გაშვებული სამარცხვინო გოლი (**მალუდა**; მანუელს ბურთი ხელებს და ფეხებშუა გაუძვრა), ნოიერის მეხუთე საბედისწერო შეცდომა გახლდათ. 10 აგვისტოს მანუელმა "შტუტგარტთან" (2:2) მიჰქარა, როცა სავსებით უწყინარ სიტუაციაში პენალტი "აიკიდა"; 26 აგვისტოს, "ვოლფსბურგთან" შეხვედრაში (1:1) **კრჟინოვეკს** ვერ აუღო ასაღები; 18 სექტემბერს, "ვალენსიასთან" 0:1-ზე წაგებულ მატჩში **ვილიას** გოლში მიუძღოდა ბრალი; 20 ოქტომბერს, "ჰანზასთან", ბურთი პირდაპირ მოწინააღმდეგეს ჩააბარა და გოლი გაატანინა, რის გამოც "შალკემ" 2 ქულა დაკარგა; ოთხშაბათის შეცდომაზე კი ზემოთ ვწერდით.



რა დაემართა მანუელ ნოიერს

შესაბამისად, ლოგიკურია კითხვა, რომელიც "შალკეს" ქომაგებს ოთხშაბათის შემდეგ გაუჩნდათ: *"ნუთუ ნოიერის შეცდომები მთელ სეზონს ჩაგვიფლავებს?"* თვითონ მეკარე, რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, მიიჩნევს, რომ მის კრიზისზე საუბარი ზედმეტია. აი, მისი კომენტარი: *"შეცდომები ყველას მოსდის და ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი გოლი გავუშვი. მანამდე და გოლის შემდეგაც, ძალიან კარგად ვითამაშე, ასე რომ, კრიზისზე საუბარი ზედმეტია. საუკეთესო ფორმაში ვარ!"* არადა, "შალკეს" ხელმძღვანელებს განსხვავებული აზრი აქვთ.

*"ნოიერზე დისკუსიის დაწყება მართებული არ იქნება, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სეზონში ხშირად ცდება, რაც ძალიან სამწუხაროა,"* - აცხადებს გუნდის გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი**. *"თუ ბოლო ორ თამაშში დაშვებულ შეცდომებს გავითვალისწინებთ, ფაქტია, რომ ნოიერი ძალიან ცუდ ფორმაშია. უახლოეს მატჩებში მან უნდა დაამტკიცოს, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშის ღირსია,"* - ეს კი სლომკას განცხადებაა.

გუნდის კაპიტანი **მარსელო ბორდონი** ჯერ კიდევ მიიჩნევს, რომ მანუელი შესანიშნავი მეკარეა. ასეა თუ ისე, ფაქტი ის გახლავთ, რომ თუ ნოიერი ასე გააგრძელებს, "შალკე" იძულებული გახდება, ახალი გოლკიპერი ეძებოს...

### ჩელსის მანჩესტერი გაუხსენეს და დასაჯეს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "ჩელსი" 30 ათასი გირვანქით დააჯარიმა. მიზეზი 23 სექტემბერს "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩისას მომხდარი ინციდენტია. თამაშის პირველ ნახევარში არბიტრმა **მაიკ დინმა ჯონ ობი მიკელს** წითელი ბარათი აუფრიალა. გაძევება სამართლიანი იყო. ნიგერიელი ნახევარმცველი გაშლილი ფეხებით ჩაუხტა **პატრის ევრას** და კინაღამ უმძიმესი ტრავმა მიაყენა. ობი მიკელის გაძევება "ჩელსის" ფეხბურთელები ისე აღაშფოთა, რომ არბიტრს მისცვივდნენ და ცოტა დააკლდათ, ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიაყენეს მას. ფინანსური სანქცია არასათანადო დისციპლინის შედეგია. იმასაც შეგახსენებთ, რომ ლონდონელებმა ის მატჩი 0:2 დათმეს.

### ფიორენტინა თანახმაა: ტიაგო 13 მილიონად

"ფიორენტინამ" ტურინელი **ტიაგო მენდესის** შეძენა გადაწყვიტა. ფლორენციელები მზად არიან, მოთხოვნილი 13 მილიონი ევრო გადაიხადონ. ფეხბურთელისაგან კი ხელფასის დაკლებაზე თანხმობის იმედი აქვთ. პორტუგალიელ ნახევარმცველს წლიურად 2.4 მილიონ ევროს უხდიან. "იებისათვის" ეს მეტისმეტად დიდი თანხაა. "ფიორენტინამ" "კალიარის" მცველ **პასკუალე ფოჯასაც** დაადგა თვალი. ჩეხი მცველ **ტომაშ უიფალუშს** კი კონტრაქტის გაგრძელებას უპირებს. ფლორენციელებს კიდევ ერთი ამბიციური ჩანაფიქრი აქვთ: მათ სურთ, "ესპანიოლისა" და ესპანეთის ნაკრების გარემარბი **ალბერტ რიერა** შეიძინონ. გასულ ზაფხულს იტალიური კლუბი რიერას სანაცვლოდ 11 მილიონ ევროს იხდიდა.

### ლივერპული: ახალი სტადიონი 400 მილიონად

"ლივერპულს" ახალი სტადიონის აშენება 400 მილიონი გირვანქა დაუჯდება. მერსისაიდელების ერთ-ერთმა ბოსმა, **ტომ ჰიკსმა** განაცხადა, რომ 150 მილიონს საკუთარი ჯიბიდან დაფარავს. არენა "ენფილდ როუდის" სიახლოვეს აშენდება და ადგილმდებარეობის გამო სახელად "სტენლი პარკს" დაარქმევენ. ის 60 ათას მაყურებელს დაიტევს, რაც "ენფილდის" ტევადობას 15 ათასით აღემატება. მაგრამ პროექტი ისე კეთდება, რომ ეტაპობრივად შესაძლებელი იქნება ტევადობის კიდევ 15 ათასით გაზრდა. ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ "ლივერპულს" ინგლისში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საკლუბო სტადიონი ექნება. დღესდღეობით ყველაზე მეტ, 76 ათას მაყურებელს მანჩესტერის "ოლდ ტრეფორდი" იტევს. სხვათა შორის, "ლივერპულის" ბოსების სწრაფვა დიდი სტადიონისაკენ "მენიუსთან" კონკურენციითაც არის გამოწვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. IX ტურის წინ

# მილანი vs რომა: ტოტის სკამზე, კალაძე მარცხნივ



ფრანჩესკო ტოტი ვერ ითამაშებს

| დღეს |
|---|
| ტორინო-კალიარია |
| ნაპოლი-იუვენტუსი |

| ხვალ |
|---|
| პალერმო-ინტერი |
| მილანი-რომა |
| ლაციო-უდინეზე |
| სიენა-რეჯინა |
| ემპოლი-ატალანტა |
| კატანია-სამპდორია |
| პარმა-ლივორნო |
| ჯენოა-ფიორენტინა |

სერია A-ს მეცხრე უიქენდი "ტორინო"-"კალიარის" მატჩით იწყება. **ვალტერ ნოველინო**, ჯერჯერობით, ვერ ამართლებს იმ იმედებს, რასაც მასზე ამყარებენ, თუმცა გასულ ტურში "ატალანტასთან" სტუმრად მიღწეული ფრე, იმ პირობებში, როცა ტურინელები 0:2-ს აგებდნენ, უდავოდ კარგის ნიშანი უნდა იყოს. "კალიარიმ" კი კარგი სტარტის შემდეგ ცოტათი მოუკლო. დღეს "ტორინოს" რამდენიმე წამყვანი მოთამაშე არ ეყოლება. **ივან ფრანჩესკინი, ნიკოლა ლაზეტიჩი, რობერტო სტელონე** და **სიმონე ბარონე** აქამდეც ტრავმირებულები იყვნენ, ახლა კი მათ **ვინჩენცო გრელა** და **მატეო რუბინიც** შეემატნენ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი, შეიძლება, სეზონის ბოლომდე ველარ გამოჩნდეს მოედანზე. კარგი სიახლე ისაა, რომ გამოჯანმრთელდა **ალვარო რეკობა** და მოსალოდნელია, რომ ნოველინო მას უმალ სასტარტოში გაამწესებს. სარდინიელებს კი **დიეგო ლოპესისა** და **ფრანჩესკო პიზანოს** სახით ორი წამყვანი მცველი არ ეყოლებათ.

შაბათის მთავარი დაპირისპირება კი ნეაპოლის "სან პაოლოზე" გაიმართება. "ნაპოლი"-"იუვენტუსი" კალჩოს ერთ-ერთი კლასიკაა. ორივე გუნდი ამ სეზონში დაუბრუნდა სერია A-ს. სამხრეთული კლუბის წარმატებები აშკარად მოულოდნელია. საოცარი იყო "ნაპოლის" წინა მატჩი. **ედოარდო რეიას** შეგირდებმა "რომასთან" სტუმრად 4:4 ითამაშეს. "იუვემ" კი, ურთულეს დაპირისპირებაში, ქვედა დივიზიონიდან მასთან ერთად დაბრუნებულ "ჯენოას" კინკილა გოლით აჯობა. "ბებერი ქალბატონის" მთავარი დანაკლისი **პაველ ნედვედის** ორმატჩიანი დისკვალიფიკაციაა. ამას გარდა, **კლაუდიო რანიერის** განკარგულებაში ვერ იქნებიან მცველი **ჟორჟე ანდრადე** და ნახევარმცველი **მაურო კამორანეზიც**. სამაგიეროდ, დასაბრუნებლად მზადაა ფორვარდი **ვინჩენცო იაკუინტა**. "ნაპოლის" მხრივ საინტერესო ისაა, რომ **მარსელო სალაიეტას** თავის ყოფილ კლუბთან მოუწევს დაპირისპირება. მას წინა ხაზზე პარტნიორობას არგენტინელი **ეზეკილ ლავეცი** გაუწევს. რეიას საკადრო პრობლემები არ აქვს.

კვირისა და საერთოდ, ტურის მთავარი მატჩი კი "მილანი"-"რომაა". "როსონერი" ჯერაც პირველი საშინაო გამარჯვების მოლოდინშია. წინა ტურში **კარლო ანჩელოტის** გუნდმა "ემპოლისთან" შინ სენსაციურად წააგო (0:1). იმოქმედებს თუ არა "მილანის" ფსიქოლოგიურ განწყობაზე ჩემპიონთა ლიგაში "შახტარის" დამარცხება (4:1), ამას უშუალოდ თამაში გვიჩვენებს. მანამდე კი ანჩელოტი გახარებულია, რომ **კაკამ** დროულად მოასწრო გამოჯანმრთელება და უპრინციპულეს მატჩში გუნდის დახმარებას შეძლებს. მას იმის იმედიც აქვს, რომ **ალბერტო ჯილარდინოს** სალიგო დუბლი ფორვარდს სერია A-სთვისაც წაადგება. მაგრამ არის პრობლემებიც. დაშავებულია **მარეკ იანკულოვსკი**. ამ პირობებში, **კახა კალაძეს** მარცხენა მცველად გადაიყვანენ, დაცვის ცენტრში კი **ალესანდრო ნესტას** **პაოლო მალდინი** შეუწყვილდება. სხვა გადაადგილებები მოსალოდნელი არ არის.

აი, "რომაში" კი ვერ არის საქმე კარგად. **ფრანჩესკო ტოტიმ** "სპორტინგთან" მატჩში მიღებული ტრავმა ვერ მოირჩინა და ხვალ თამაშს ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს. **ლუჩანო სპალეტი** საგონებელშია ჩავარდნილი, მაგრამ რალას უშველის - მაინცა და მაინც, "მილანთან" მატჩში! ის, "რომას" გაუმართლა კიდეც. თავიდან, ყველას ეგონა, რომ ტრავმა სერიოზული იყო და "პუპონეს" რამდენიმე კვირა გაუცდებოდა, მაგრამ გამოკვლევამ აჩვენა, რომ "ჯალოროსი" მძიმე დარტყმას გადაურჩა. მიუხედავად ამისა, "რომას" საექიმო შტაბმა გადაწყვიტა, ტოტისთვის "მილანთან" თამაშის ვიზა არ მიეცა. სპალეტის იმედი აქვს, რომ კაპიტანს ოთხშაბათისთვის, "ლაციოსთან" დერბიში მაინც დაიხმარს. ტოტის გარდა, ტრავმირებულია ნახევარმცველი **ალბერტო აკვილანიც**.

უკეთესად აქვს საქმე **სიმონე პეროტას**, რომელმაც გუშინ წარმატებით ჩააბარა სამედიცინო ტესტი და ხვალ სასტარტოშიც შეიძლება ვიხილოთ. რაკი სასტარტო შემადგენლობა ვახსენეთ, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ წინა ხაზზე ტოტის **მირკო ვუჩინიჩი** შეცვლის. სხვათა შორის, "სპორტინგთან" მატჩის შემდეგ სპალეტიმ ჩერნოგორიელი ფორვარდი ცამდე აიყვანა და მართალიც იყო. გარდა იმისა, რომ ვუჩინიჩმა გოლი გაიტანა, თავი სხვა მხრივაც გამოიჩინა.

სავარაუდო შემადგენლობები

**მილანი**: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო.

**რომა**: ა. დონი, პანუჩი, მექსე, ჟუანი, ტონეტო, დე როსი, პისარო, ტადეი, პეროტა, მანსინი, ვუჩინიჩი.

ძალიან საინტერესო თამაშია "პალერმო"-"ინტერიც". ერთი თვის წინათ, "მილანთან" მოგებამ სიცილიურ კლუბს ცუდი სამსახური გაუწია. მას მერე "პალერმოს" თამაში გაუფერულდა, თამაშიც და შედეგებიც. მაგრამ, იქნებ, ეს იმის ნიშანია, რომ **სტეფანო კოლანტუონოს** გუნდი კიდევ ერთი ხმაურიანი გამარჯვებისთვის ემზადებოდა - ამჯერად, "ინტერთან". თუმცა სჯობს, ვარაუდებს შევეშვათ და ახლა ის ვთქვათ, რაც ლიდერს შეემთხვა. ცსკასთან ჩემპიონთა ლიგის მატჩში დაბრუნებულმა **პატრიკ ვიეირამ** კვლავ ლაზარეთს მიაშურა. როგორც ამბობენ, ფრანგი ნახევარმცველი ახალ წლამდე ვერ ითამაშებს. მაგრამ **რობერტო მანჩინის** პრობლემები ამით არ ამოიწურება. საეჭვოა **დეიან სტანკოვიჩისა** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** თამაში. "ნერაძურის" ექიმები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა ძირითადი შემადგენლობის ფიგურები მწყობრში დროულად დააბრუნონ. "პალერმოში" კი პირიქით, მცირე ზეიმია, რადგან თავდასხმაში კვლავ გამოჩნდება **ფაბრიციო მიკოლი**.

"უდინეზესთან" მატჩს "ლაციო" ოთხი წამყვანი მოთამაშის გარეშე ხვდება. **სტეფანო მაური** და **სებასტიანო სივილია** ტრავმირებულები არიან, **ლუჩანო ძაური** და **ფაბიო ფირმანი** კი სასჯელებს იხდიან. სტუმრები კი სრული შემადგენლობით არიან. მართალია, **კრისტიან ობოდოსა** და **ჯამპიერო პინცის** ტრავმები აქვთ, მაგრამ **პასკუალე მარინოსთვის** ეს დიდი დანაკლისი არ არის.

"ატალანტას", რომელიც "ემპოლის" მასპინძლობს, მე-4 ტურის შემდეგ არ მოუგია. ბერგამოელებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ ნახევარმცველი **თომას მანფრედინი**, ხოლო **ლეანდრო ტალამონტი, კოშტინია** და **ჯამპაოლო ბელინი** ტრავმებს იშუშებენ. "ემპოლის" მცველი **რიჩარდ ვანილი** ლაზარეთში **ფრანჩესკო პრატალის** შეუერთდა. ვეტერანი მცველი **დანიელე ადანი** კი მზადაა, დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდეს.

"სამპდორია" "კატანიის" სტუმარი იქნება. გენუელებმა წინა ტურში იპოვნეს საკუთარი თამაში, როცა მშობლიურ "მარასიზე" "პარმას" 3:0 მოუგო. "სამპს" ტრავმირებული ჰყავს ნახევარმცველი **ჯენარო დელვეკიო, უგო კამპანიაროს** კი სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მას შემდეგ მიუსაჯეს, რაც ტელეგარჩევამ აჩვენა, რომ პარმელ **ჯულიო ფალკონეს** მისი იდაყვი ძალიან მწარედ მოხვდა. სიცილიურ გუნდს კი შემადგენლობის მხრივ პრობლემები არ აქვს.

სალამოს მატჩებიდან საინტერესო ორი დაპირისპირება, რომლებშიც ერთმანეთს ბოლო ოთხ ადგილზე განთავსებული გუნდები ხვდებიან: "სიენა"-"რეჯინა" და "პარმა"-"ლივორნო". მათ საერთო ისიც აქვთ, რომ ოთხივე გუნდის მწვრთნელს სამსახურის დატოვება ემუქრება და რომელიმე მათგანისთვის ხვალინდელი მატჩის წაგება, შეიძლება, ბოლო ბანაობაც აღმოჩნდეს. თუმცა შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაშია "ლივორნოს" მწვრთნელი **ჯანკარლო კამოლეზე**, რომელიც პოსტზე სულ რალაც ორი კვირის დანიშნულია, მაგრამ უკვე მოასწრო "ლაციოსთან" წაგება და კლუბის პრეზიდენტ **ალდო სპინელის** განაწყენებაც.

დაბოლოს, ტურის გვიანი მატჩი "ჯენოასა" და "ფიორენტინას" შორის. ეს იქნება დაპირისპირება, რომელშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ფლორენციელთა შორის სიახლე შეიძლება ის იყოს, რომ ძირითადში პირველად (ჩემპიონატში, თორემ ხუთშაბათს უეფას თასზე სასტარტოში იყო) გამოჩნდეს **კრისტიან ვიერი**. რაც შეეხება "ჯენოას", **ჯან პიერო გასპერინისთვის** დიდი დანაკლისი იქნება მცველ **ალესანდრო ლუკარელის** ტრავმა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 8 | 6 | 2 | 0 | 17-5 | 20 |
| 2. იუვენტუსი | 8 | 5 | 2 | 1 | 17-7 | 17 |
| 3. ფიორენტინა | 8 | 4 | 4 | 0 | 16-7 | 16 |
| 4. რომა | 8 | 4 | 3 | 1 | 19-12 | 15 |
| 5. პალერმო | 8 | 3 | 3 | 2 | 11-11 | 12 |
| 6. ჯენოა | 8 | 3 | 3 | 2 | 8-8 | 12 |
| 7. უდინეზე | 8 | 3 | 3 | 2 | 9-11 | 12 |
| 8. ნაპოლი | 8 | 3 | 2 | 3 | 14-10 | 11 |
| 9. სამპდორია | 8 | 3 | 2 | 3 | 8-7 | 11 |
| 10. ატალანტა | 8 | 2 | 5 | 1 | 10-10 | 11 |
| 11. მილანი | 8 | 2 | 4 | 2 | 13-8 | 10 |
| 12. კატანია | 8 | 2 | 4 | 2 | 6-7 | 10 |
| 13. ლაციო | 8 | 2 | 4 | 2 | 9-11 | 10 |
| 14. ტორინო | 8 | 1 | 5 | 2 | 9-11 | 8 |
| 15. კალიარი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-11 | 8 |
| 16. ემპოლი | 8 | 2 | 2 | 4 | 5-10 | 8 |
| 17. სიენა | 8 | 1 | 3 | 4 | 7-12 | 6 |
| 18. პარმა | 8 | 1 | 3 | 4 | 7-14 | 6 |
| 19. რეჯინა | 8 | 0 | 4 | 4 | 5-14 | 4 |
| 20. ლივორნო | 8 | 0 | 2 | 6 | 6-18 | 2 |

გერმანიის საფეხბურთო კავშირი

# არის ახალი კონტრაქტი: ლიოვი 2010 წლამდე

## იოგი: ამ გზამ მსოფლიოს ჩემპიონობამდე უნდა მიგვიყვანოს

როგორც მოსალოდნელი გახლდათ, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** კონტრაქტი ნაადრევად გაუგრძელა. ბუნდესმწვრთნელის ახალ ხელშეკრულებას ვადა 2010 წლამდე აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, როგორ იასპარეზებს გერმანია ევროპის ჩემპიონატზე, ლიოვი ბუნდესგუნდს 2010 წლის მუნდიალისთვისაც მოამზადებს და შეეცდება, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინოს. იოგის თქმით, მისი მიზანი სწორედ ესაა.

*"ძალიან მიხარია ის, რომ მუშაობის გაგრძელების საშუალება მეძლევა. ჩვენ სწორ გზას ვადგავართ და ამ გზამ 2010 წლის მუნდიალამდე უნდა მიგვიყვანოს, ჩვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონობაა,"* - განაცხადა ლიოვმა, რომლის ხელფასიც, ჩვენი გერმანელი კოლეგების მტკიცებით, წელიწადში 2.5 მილიონი ევრო იქნება. შედარებისთვის, "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის **ოტმარ ჰიტცფელდის** ჯამაგირი წელიწადში 5 მილიონი ევრო, ანუ, ბუნდესმწვრთნელის ხელფასზე ორჯერ დიდია.

ლიოვთან ერთად, DFB-მ კონტრაქტები მის ასისტენტ **ჰანს-დიტერ ფლიკს**, მეკარეების მწვრთნელ **ანდრეას კიოპკესა** და ბუნდესგუნდის შეფ-სკაუტ **ურს ზიგენტჰალერსაც** გაუგრძელა (ყველას 2010 წლამდე). ახალი კონტრაქტი გაფორმდა გერმანიის ქალთა ნაკრების მწვრთნელ **სილვია ნაიდთანაც** (2013 წლამდე), რომელმაც ცოტა ხნის წინათ ქალთა ბუნდესგუნდი მსოფლიოს ჩემპიონი გახადა.

*"ლიოვის მუშაობით ყველა კმაყოფილია. მან შეძლო და იურგენ კლინსმანის მიერ დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელა,"* - ეს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ **თეო ცვანციგერის** სიტყვები გახლავთ. აქვე გეტყვით, რომ პარასკევს გერმანიის საფეხბურთო კავშირის ბუნდესტაგმა ცვანციგერის კანდიდატურას უყარა კენჭი - 62 წლის იურისტი ერთხმად აირჩიეს. შეგახსენებთ, რომ წელიწადია, რაც ცვანციგერი გერმანულ ფეხბურთს მარტო ხელმძღვანელობს. მანამდე, DFB-ს სათავეში ის **გერჰარდ მაიერ-ფორფელდერთან** ერთად იყო. აქვე გეტყვით, რომ ბუნდესტაგის გადაწყვეტილებით, DFB-ს სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** და მენეჯერი **ოლივერ ბირჰოფი** საფეხბურთო კავშირის პრეზიდიუმში შევიდნენ.

რაც შეეხება ლიოვს: ამ უკანასკნელმა ნაკრები 2006 წლის აგვისტოში, კლინსმანის წასვლის შემდეგ ჩაიბარა. 47 წლის იოგის ხელში, გერმანიამ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი იდეალურად ჩაატარა და პირველი გუნდი გახდა, რომელმაც ავსტრიისა და შვეიცარიის საგზური მოიპოვა. ბუნდესგუნდმა იოგის ხელმძღვანელობით 16 თამაში გამართა, 12 მოიგო, 2 ფრედ დაასრულა და 2-ში დამარცხდა (ბურთების შეფარდება 44:11).



იოახიმ ლიოვი ახალ კონტრაქტს აფორმებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. IX ტურის წინ

# ბარსელონას ტურე დაუბრუნდება?

## რეალს კი შესაძლოა, პეპე დაეხმაროს

**დღეს**

მალიორკა-ესპანიოლი
ბილბაო-ბეტისი

**ხვალ**

რეალი-დეპორტივო
რასინგი-ხეტაფე
სარაგოსა-ვილიარეალი
ლევანტე-ატლეტიკო
ოსასუნა-ვალიადოლიდი
მურსია-რეკრეატივო
ბარსელონა-ალმერია
სევილია-ვალენსია

პრიმერა დივიზიონის მეცხრე ტურის ცენტრალური შეხვედრები კვირას გაიმართება. ტრადიციისამებრ ყველაზე დიდ ინტერესს ისევ და ისევ ლიდერების მატჩები იწვევს. წინა ტურში მშობლიურ "ელ მადრიგალზე" "ბარსელონის" დამარცხების შემდეგ "ვილიარეალს" მადა გაეზარდა. **მანუელ პელეგრინის** ბიჭებს ამჯერად "სარაგოსასთან" გასვლითი შეხვედრის გამართვა მოუწევთ. "ყვითლები" მზად არიან. პელეგრინის ტრავმების ან დისკვალიფიკაციის გამო საკადრო პრობლემები არ შეექმნება. მიუხედავად იმისა, რომ "ვილიარეალი" სტუმრად იასპარეზებს, სპეციალისტები ფავორიტად მაინც ამ გუნდს მიიჩნევენ. მიზეზი, რა თქმა უნდა, "სარაგოსის" კრიზისული მდგომარეობაა. მოგეხსენებათ, ერთი კვირის წინ არაგონელებმა "ვისენტე კალდერონზე" "ატლეტიკოსთან" გამანადგურებელი ანგარიშით 0:4 წააგეს. ამას **ვიქტორ ფერნანდესისა** და **ანდრეს დალესანდროს** კონფლიქტი მოჰყვა, რომელიც არგენტინელი ნახევარმცველის სავარჯიშო მოედნიდან გაძევებით გამოიხატა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, "სარაგოსას" მართლაც ძალიან ბევრი პრობლემა დაუგროვდა. სავარაუდოა, რომ ამ გუნდს პროგრესის გზაზე შემდგარ "ვილიარეალთან" გამარჯვება გაუჭირდება.

წინა ტურში ხელმოცარული "ბარსელონა" საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ პრიმერა დივიზიონის დებიუტანტის, "ალმერიას" განადგურებას შეეცდება. **ფრანკ რაიკაარდს** შესაძლოა, დიდი ხნის ტრავმირებული **ჯანლუკა ძამბროტა, რაფა მარკესი** და **იაია ტურე** ერთდროულად დაუბრუნდნენ. კატალონიური გრანდის ფეხბურთელებმა ტრავმები მოიშუშეს. პარასკევის ვარჯიში მათ იმავე დატვირთვით ჩაატარეს, როგორითაც ჯან-ღონით აღსავსე ბარსელონელები ემზადებოდნენ. თუ მთავარი მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია გარისკოს და ამ სამიდან რომელიმე ძირითად შემადგენლობაში დააბრუნოს. ამბობენ, საამისოდ ყველაზე კარგ შანსს ტურე ფლობსო. გასათვალისწინებელია, რომ "ვილიარეალთან" ავადსახსენებელ შეხვედრაში **დეკუმ** საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო. ის დაახლოებით ხუთი კვირა ვერ ითამაშებს. ამიტომ, რაიკაარდს ნახევარდაცვაში პრობლემების გამწვავება არ ასცდება. ჰოლანდიელი სპეციალისტი იძულებულია ტურე ძირითადში ათამაშოს. "ბარსელონის" ერთ-ერთმა უპირველესმა ლიდერმა **ლეო მესიმ**, პარასკევს თანაგუნდელებისგან განცალკევებით ივარჯიშა. ამის მიზეზი მარჯვენა ბარძაყის კუნთის მიკროტრავმა გახდა. ფიზიოთერაპევტების კვალიფიციური მუშაობის წყალობით, ახალგაზრდა არგენტინელს ტკივილმა გაუარა და საშუალება მიეცა მსუბუქად ევარჯიშა. მართალია, მას ტაქტიკის პრაქტიკულ დახვეწაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მიმომხილველები დარწმუნებულები არიან, რომ ლეო ნებისმიერ შემთხვევაში ძირითადში მოხვდება.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ 30 მილიონ ევროდ შეძენილმა **პეპემ** "რეალის" ძირითად გუნდთან ერთად ივარჯიშა. მოგეხსენებათ, ცენტრალურმა მცველმა სეზონის დებიუტში სერიოზული ტრავმა მიიღო და აქამდე ინტენსიურად მკურნალობდა. პირველმა სრულფასოვანმა ვარჯიშმა გართულებების გარეშე ჩაიარა. გამორიცხული არ არის, პეპე ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ. რასაც ვერ ვიტყვით, **გაბრიელ ჰაინცეზე**. არგენტინელი ჯერჯერობით მხოლოდ ძუნძულს ახერხებს. ჩემპიონთა ლიგის წინა შეხვედრაში **რობინიოს** ფანტასტიკურმა თამაშმა "რეალის" ხელმძღვანელობა იმდენად აღაფრთოვანა, რომ ბრაზილიელის ბედი საეჭვო არავისთვისაა. გულშემატკივრები დარწმუნებულები არიან, ის პირველივე წუთიდანვე იასპარეზებს. მოკლედ, **ბერნდ შუსტერს** საშუალება ეძლევა საუკეთესო შემადგენლობა გამოიყვანოს. სამეფო კლუბის სამედიცინო შტაბის ცნობით, **ფაბიო კანავარომ** მიკროტრავმა მოიშუშა. მას თავისუფლად შეუძლია, მოედანზე მთელი 90 წუთი დაყოს. ბევრისთვის მოულოდნელად შუსტერმა ჟურნალისტებს ერთის ნაცვლად ორ ვარჯიშზე დასწრება აუკრძალა. გერმანელი სპეციალისტის თქმით, მას ჩვეულებრივზე მეტი დრო სჭირდება იმისთვის, რომ საკვირაო ტაქტიკა შეადგინოს. როგორც ჩანს, "რეალის" მთავარი მწვრთნელი გარკვეულ ტაქტიკურ ცვლილებებს შემოგვთავაზებს.

ბოლო დღეების ერთ-ერთი მოწინავე გუნდი "ატლეტიკო" "ლევანტეს" ესტუმრება. მოსკოვში "ლოკომოტივთან" უეფას თასის შეხვედრაში ბრძოლით დაღლილი მადრიდელები შინ დაქანცულები დაბრუნდნენ. ამიტომ **ხავიერ აგირემ** შეგირდები პარასკევს არ ავარჯიშა. ისინი მხოლოდ დღეს იმუშავებენ, და შეეცდებიან მცირე დროში ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ პრიმერა დივიზიონის აუტსაიდერებთან მატჩს მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდნენ. გამორიცხული არ არის, სენიორ აგირემ სათადარიგო შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გამოიყენოს.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 8 | 6 | 1 | 1 | 17-5 | 19 |
| 2. ვილიარეალი | 8 | 6 | 0 | 2 | 14-9 | 18 |
| 3. ვალენსია | 8 | 6 | 0 | 2 | 14-11 | 18 |
| 4. ბარსელონა | 8 | 5 | 2 | 1 | 17-7 | 17 |
| 5. ესპანიოლი | 8 | 5 | 1 | 2 | 12-9 | 16 |
| 6. ატლეტიკო | 8 | 4 | 2 | 2 | 15-7 | 14 |
| 7. მალიორკა | 8 | 4 | 2 | 2 | 15-10 | 14 |
| 8. რასინგი | 8 | 3 | 3 | 2 | 6-8 | 12 |
| 9. ალმერია | 8 | 3 | 2 | 3 | 10-8 | 11 |
| 10. სარაგოსა | 8 | 3 | 2 | 3 | 11-13 | 11 |
| 11. სევილია | 7 | 3 | 0 | 4 | 13-10 | 9 |
| 12. მურსია | 8 | 2 | 3 | 3 | 7-8 | 9 |
| 13. ბილბაო | 8 | 2 | 3 | 3 | 7-10 | 9 |
| 14. ოსასუნა | 7 | 2 | 2 | 3 | 8-9 | 8 |
| 15. რეკრეატივო | 8 | 2 | 2 | 4 | 7-12 | 8 |
| 16. დეპორტივო | 8 | 2 | 2 | 4 | 6-12 | 8 |
| 17. ბეტისი | 8 | 1 | 4 | 3 | 8-9 | 7 |
| 18. ხეტაფე | 8 | 1 | 2 | 5 | 7-13 | 5 |
| 19. ვალიადოლიდი | 8 | 1 | 2 | 5 | 9-17 | 5 |
| 20. ლევანტე | 8 | 0 | 1 | 7 | 3-19 | 1 |



ბუბაქარ სანოგო მორიგ გოლს ზეიმობს

ვერდერი

# სანოგოლი

## ბუბაქარის მონაგარი: 10 გოლი 15 თამაშში

"ვერდერის" გულშემატკივრები განცვიფრებულები არიან: რამდენ გოლს იტანს **ბუბაქარ სანოგო**?! მაგრამ 24 წლის კოტდივუარელი თავდამსხმელის შედეგიანობა, ყველაზე მეტად მაინც "ჰამბურგში" უკვირთ, გუნდში, სადაც ეს უკანასკნელი ვერ შეიშნოვეს. HSV-ში სანოგო დიდ შეცდომად შერაცხეს, რადგან თავდამსხმელის უპირველეს მოვალეობას ვერ ასრულებდა: გოლები ვერ გაჰქონდა. და როცა ამ უკანასკნელმა გასულ ზაფხულს "ვერდერს" **მიროსლავ კლოზეს** შემცვლელის რანგში მიაშურა, მთელი საფეხბურთო გერმანია შეთანხმდა იმაზე, რომ ბრემენულმა კლუბმა დიდი შეცდომა დაუშვა.

ასე მხოლოდ "ვერდერის" გენერალური მენეჯერი **კლაუს ალოფსი** არ ფიქრობდა, რომელიც დღეს ძალიან ამაყია: *"თუ გახსოვთ, მე თავიდანვე ვამბობდი, რომ სანოგო თავის შესაძლებლობებს "ვერდერში" წარმოაჩენდა. "ლაციოს" მან ულამაზესი გოლი გაუტანა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ბუბაქარი მისდამი კრიტიკულად განწყობილ ადამიანებს კიდევ არაერთხელ გააკვირვებს, სანოგო ჩვენთვის მაშინაც ძალიან მნიშვნელოვანია, როცა გოლი არ გააქვს, რადგან მოედანზე ძალიან ბევრს მუშაობს."* თავად განსაჯეთ, სანოგოს მონაგარი ასეთია: 10 გოლი 15 ოფიციალურ შეხვედრაში. დაუჯერებელია!

"ვერდერმა" ეს ფეხბურთელი "ჰამბურგისგან" 6 მილიონ ევროდ შეიძინა. HSV-ს ბოსებს და გულშემატკივრებს ბუბაქარის გაშვებაზე გული არ დასწყდათ, პირიქით, ძალიან კმაყოფილები იყვნენ "ასეთ სუსტ" თავდამსხმელში ამდენი ფული რომ მიიღეს. დღეს კი, სანოგო ბუნდესლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა. *"ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან მე ვიცი, რაც შემიძლია და დამიჯერეთ, გაცილებით მეტი გოლის გატანას ვაპირებ,"* - ამბობს ბუბაქარი. ერთადერთი, რაც ძალიან არ მოსწონს, არის ის, რომ მას მუდმივად კლოზეს ადარებენ: *"ეს დისკუსია ნერვებს მიშლის. კლოზე შესანიშნავი თავდამსხმელია და მას თავისი პლუსები აქვს. მე კი აბსოლუტურად განსხვავებული სტილის ფორვარდი ვარ. მე არ ვარ ახალი კლოზე, მე ჩემი გზა მაქვს."* მართლაც: ერთადერთი, რაშიც სანოგო კლოზეს ძალიან ჰგავს, გოლის ზეიმია - ყოველი გატანილი გოლის შემდეგ ისიც სალტოებს აკეთებს...

რეალი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბენზემა ბერნაბეუზე?

## მიატოვიჩი ბრძოლის დასაწყებად ემზადება

"დიარიო მარკას" ცნობით, **პრედრაგ მიატოვიჩმა** "რეალის" დირექტორატის წინაშე კიდევ ერთი ტრანსფერის გაჩარხვის აუცილებლობა დააყენა. მოგეხსენებათ, აქამდე ის **დავიდ ვილიას** გადაბირების შესახებ საუბრობდა. გენერალურ დირექტორს "ვალენსიის" ფორვარდისადმი სიმპათია არ განელებია, თუმცა მიიჩნევს, რომ სამეფო კლუბს კიდევ ერთი ძლიერი ფორვარდი სჭირდება. ამჯერად, ის თანამშრომლობას "ლიონის" ახალგაზრდა ამომავალ ვარსკვლავ **ქარიმ ბენზემას** სთავაზობს. ცხადია, მიატოვიჩი მას მომავალი სეზონისთვის მოიაზრებს. ფრანგული კლუბის მესვეურები მადრიდელთა დაინტერესებას უჟმურად შეხვდნენ. ცნობილია, რომ "ლიონსა" და "რეალს" სატრანსფერო მოლაპარაკებების საკმაოდ ცუდი ისტორია აქვთ. ერთი წლის წინ **მაჰამადუ დიარას** შესაძენად ესპანელებმა უდიდესი ენერგია და თანხა დახარჯეს. მოლაპარაკება თითქმის ორ თვეს გაგრძელდა. ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ბენზემასთან დაკავშირებით ყველაფერი კიდევ უფრო რთულად იქნება. ახალგაზრდა ფორვარდს საფეხბურთო სპეციალისტები უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ "ლიონს" მისი დიდი ხნით შენარჩუნება სურს. ინფორმაციამ თავად კარიმის ყურამდეც მიაღწია. ის კმაყოფილია, რომ მსოფლიო გრანდის ყურადღება მიიპყრო, თუმცა აჩქარებას არ აპირებს და აცხადებს, "რეალი" პირველ რიგში "ლიონს" უნდა შეუთანხმდესო. შესაძლოა, საფრანგეთში პირადად მიატოვიჩი გაემგზავროს და მოლაპარაკებებს თავად უხელმძღვანელოს.



ქარიმ ბენზემა

## სპარტაკის ორი მოსალოდნელი ტრანსფერი

"ინტერი" მოსკოვის "სპარტაკის" ნახევარმცველ **რადოსლავ კოვაჩით** დაინტერესდა. "ნერაძურის" ნამყვანი ნახევარმცველი **პატრიკ ვიეირა** დაუშავდა. ის ორი თვე ვერ ითამაშებს. ჩეხეთის ნაკრების 27 წლის ფეხბურთელი ვიეირას შემცვლელად განიხილება. კოვაჩმა წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშა. ეს იმას ნიშნავს, რომ იტალიაში წასვლის შემთხვევაში, მილანელებს ევროპულ სარბიელზე ვერ დაეხმარება. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია. რადგან "სპარტაკი" ვახსენეთ, გეტყვით, რომ სახალხო კლუბი კრასნოდარის "ყუბანის" მეკარე **ვლადიმირ გაბულოვით** დაინტერესდა. ეს უკანასკნელი რუსეთის ნაკრებში ათამაშეს. გაბულოვი კრასნოდარში მიმდინარე სეზონის დასაწყისში, ცსკა-დან გადავიდა. მის სანაცვლოდ 1.8 მილიონი დოლარი გადაიხადეს. "სპარტაკი" მზადაა, ახალგაზრდა გოლკიპერი 4 მილიონად გამოისყიდოს.

## დე კანიო, ქუინზ პარკის მორიგი ფავორიტი

ვინ ჩაიბარებს "ქუინზ პარკ რეინჯერსს"? მას მერე, რაც ფორმულა ერთის ბოსებმა **ბერნი ეკლსტოუნმა** და **ფლავიო ბრიატორემ** მოკრძალებული ლონდონური კლუბის შეძენა გადაწყვიტეს, ის საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ამიტომ "ქუინზ პარკის" ახალი მწვრთნელის ვინაობაც ყველას აინტერესებს. თავდაპირველად ვაკანტურ პოსტზე დანიშვნა **ჯანლუკა ვიალის** უწინასწარმეტყველეს, შემდეგ - **ფრანჩესკო გვიდოლინს**. და აი, მორიგი კანდიდატი "სიენის" ყოფილი ბოსი **ლუიჯი დე კანიოა**. მოსალოდნელი დანიშვნის დეტალები უცნობია.

## დალესანდროს აზრი არ შეუცვლია

რამდენიმე დღის წინ "სარაგოსის" ბაზაზე სკანდალური ამბავი მოხდა. წინა ნომრებში უკვე მოგახსენეთ, რომ **ანდრეს დალესანდრომ** არაგონელთა მთავარი მწვრთნელი განარისხა და აიძულა მოედნიდან გაეძევებინა. ანდრესი ვარჯიშზე აგდებულად იქცეოდა. **ვიქტორ ფერნანდესმა** მას შენიშვნა მისცა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. ბოლოს მწვრთნელმა შეგირდს უღრიალა. პასუხად კი მიიღო - რომ ღრიალებ, რას ღრიალებ, სჯობს საკუთარ თავს უყვირო, რადგან "სარაგოსას" რა უბედურებებიც სჭირს, ყველაფერი შენი ბრალიაო. ამით განრისხებულმა სენიორ ვიქტორმა ველარ მოითმინა და სამხრეთამერიკელი სახლში გააგდო.

ორი დღის შემდეგ ემოციები საგრძნობლად ჩაცხრა. ფერნანდესმა დალესანდრო ბაზაზე დააბრუნა, თუმცა აშკარად თვალშისაცემი იყო, რომ დაძაბულობა ჯერაც არ განელებულა. შესაძლოა, ანდრესის გუშინდელი პრესკონფერენცია ახალი ვნებათაღელვის მიზეზი გახდეს. აი, რა განაცხადა დალესანდრომ: *"მე ამბიციური და აზარტული ადამიანი ვარ. ვცდილობ, ყოველთვის ავანგარდში ვიყო და წინ ვიარო. ემოციებს შეძლებისდაგვარად ვთოკავ, მაგრამ ხშირად არ გამომდის ხოლმე. ამასწინათ, მწვრთნელთან უსიამოვნება შემემთხვა. ვნანობ, რომ საქმე აქამდე მივიდა, მაგრამ დღესაც ვიტყვი, რომ იმავეს ვფიქრობ. რა ვქნა, მჯერა რომ "სარაგოსის" პრობლემები სწორედ ვიქტორ ფერნანდესის ბრალია. ის მწვრთნელია და ვალდებულია, პასუხი აგოს. ფეხბურთელებს კვალიფიკაციას ვერ დაგვიწუნებენ. ალბათ, ყველაფერი მართლაც დამრიგებლის ბრალია."*

ბარსელონა

# გალიანი არ ისვენებს

## რონალდინიოსთვის ბრძოლა იანვარში განახლდება

გასულ ზაფხულს განცდილი ფიასკოს მიუხედავად, "მილანის" ხელმძღვანელობა **რონალდინიოს** გადაბირების იმედს არა და არ კარგავს. როგორც იცით, აქამდე მათი ყველა მცდელობა კრახით დასრულდა. კონკრეტულ მოლაპარაკებამდე საქმე არასდროს მისულა, მაგრამ **ადრიანო გალიანი** თავისას არ იშლის და ყველაფერს თავიდან იწყებს. ამჯერად მან "დიარიო მარკას" ტრიბუნა გამოიყენა და საზოგადოებას ამცნო, რომ ბრაზილიელის გადასაბირებლად ახალი პროექტი შეიმუშავა. "როსონერის" მმართველი იმედოვნებს, რომ გაუჩოს "სან სიროზე" უკვე იანვრის დასაწყისში ჩაიყვანს. ჯერჯერობით უცნობია, რა სიახლეებს შეიცავს გალიანის ახალი პროექტი, თუმცა "მილანთან" დაახლოებული პირები ამბობენ, რომ ბრაზილიელს უარის თქმა ძალიან გაუჭირდება. ასეც რომ იყოს, იტალიელებს თავად "ბარსას" ხელმძღვანელების დათანხმებაც მოუწევთ. ვიცით, რომ **ჟოან ლაპორტამ** 100 მილიონიანი წინადადება არ მიიღო. ლოგიკურად, სინიორ ადრიანომ სატრანსფერო თანხა სულ მცირე ათი პროცენტით მაინც უნდა გაზარდოს.

ამასობაში, **კაკამ** ერთ-ერთი იტალიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რონალდინიო "მილანით" სერიოზულადაა დაინტერესებული. აი, რას ამბობს ახალგაზრდა ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი: *"რონალდინიოს ბრაზილიის ნაკრებში ყოფნისას ვესაუბრე. უამრავ საკითხზე ვილაპარაკეთ, მათ შორის ჩვენს კლუბებზეც. "მილანზე" იმდენს მეკითხებოდა, შთაბეჭდილება დამრჩა, ჩვენთან გადმოსვლაზე სერიოზულად ფიქრობს. მართალია, კონკრეტულად არაფერი მიკითხავს, მაგრამ ეს ჩემი შთაბეჭდილებაა. ისიც ვიცი, გაუჩოს "ბარსელონა" უყვარს და მოსწონს, მაგრამ მაინტერესებს, "მილანზე" ამდენ კითხვას რატომ დამისვამდა, პერსპექტივაში "სან სიროზე" თამაშს რომ არ განიხილავდეს. ყველაფერი მოლაპარაკებებზეა დამოკიდებული. თუ ადრიანო გალიანის ამ ტრანსფერის გაჩარხვა სურს, მთელი ცოდნა და გამოცდილება უნდა დახარჯოს."*

თეგეტა მოტორსი TEGETA MOTORS Austrian იმედი ოლიმპი სარბიელი
TBILISI 2007 Men's Challenge Trophy
თეგეტა მოტორსი TEGETA MOTORS Austrian იმედი ოლიმპი სარბიელი

ხელბურთი | ჩელენჯ ტროფი. II ტური

# მოლდოვაც და ფინალში ვართ!

**მოლდოვა–აზერბაიჯანი 31:27**

მოლდოვა: ანდრეევი, ჯედიცი (1), ალექსანდრ პერვანჩუკი (9), პურიჩი, ნენიტა, გარგაუნი (1), ლუკაშოვი (6), ჩემირტანი, სტარიკოვი (2), ალექსეი პერვანჩუკი (2), ბორეტი (6), ნაზარკო (4)

აზერბაიჯანი: სკრებცოვი, ქერიმოვი, ჰ. აიდამიროვი (2), ფარაჯოვი (8), ე. აიდამიროვი (2), პარშკოვი (7), ალხაზოვი, სალიმოვი, ო. გეორგიევსკი (5), ნაზარალიევი, ს. გეორგიევსკი (3), მოვიკინი, გოჟი, ჰუსეინოვი

მსაჯები: ქენან გოკმენი, აიჰან გოკი (თურქეთი)

**საქართველო–სომხეთი 35:17**

საქართველო: ანდრიაძე, სამყურაშვილი, ქობელაშვილი (2), ანდრიაშვილი (2), ნიკოლაიშვილი, კობახიძე (2), ო. ყიფიანი (1), გრიშიკაშვილი (5), წივწივაძე (4), ა. ყიფიანი (3), კვერნაძე (6), ჭანტურია (6), რუსია, დათუკაშვილი (4)

სომხეთი: თუმასიანი, გასპარიანი, დარბინიანი (1), ტატევოსიანი (1), ლუკასიანი (2), მატინიანი (2), გ. მელქოიანი (6), მარკოსიანი (1), ისრაელიანი (1), ბარსეგიანი, ა. მელქოიანი (1), ოჰანიანი, იარანოსიანი (2)

მსაჯები: იგორ კოვალჩუკი, ალექსეი კოვალჩუკი (მაკედონია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | +30 | 4 |
| მოლდოვა | 2 | 2 | 0 | 0 | +20 | 4 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 0 | 2 | -16 | 0 |
| სომხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | -34 | 0 |

**დღეს**

აზერბაიჯანი – სომხეთი 12:00
საქართველო – მოლდოვა 14:00



ბურთით შოთა გრიშიკაშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

მოლდოვა – სომხეთის გუშინდელ მიმოხილვაში დავწერე, რომ სუსტ მეტოქესთან ნაჩვენები უფერული თამაშის მიუხედავად, მოლდოველთა რეალური ძალა აზერბაიჯანთან გამოჩნდებოდა. მართლაც, გუშინ მოედანზე იყო აბსოლუტურად გარდასახული გუნდი, "ჩელენჯ ტროფის" მოქმედი ჩემპიონი და საქართველოს ნაკრების რეალური კონკურენტი. მიუხედავად აზერბაიჯანელთა თავგამოდებული მცდელობისა, მოლდოვა მეტოქეზე უფრო კლასიანი გუნდი ჩანდა. თუმცა თუკი კლასზეა საუბარი, ჩვენი გუნდი სამივე მეტოქეზე მაღლა დგას. აზერბაიჯანელებს გუშინ ჰქონდათ ჟინი, მაგრამ აკლდათ კლასი და ჰყავდათ ტურნირის ყველაზე სუსტი მეკარე, რის გამოც ოთხბურთიანი ფორით მოგება მოლდოველებს დარჩათ.

სომხეთთან საქართველოს ნაკრებმა დაახლოებით ისე ითამაშა, როგორც პირველ დღეს მოლდოვამ. არც ჩვენს გუნდს გამოუდვია ზედმეტად თავი ტურნირის ყველაზე სუსტ გუნდთან, ძალები დაზოგა და მშვიდად მოიგო.

წინა შეხვედრისგან განსხვავებით, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ სამი ახალი ხელბურთელი ათამაშა. დასვენების უფლება უბოძეს ვეტერან **ტიტე კალანდაძეს** და ძირითად მეკარე **შოთა თევზაძეს**, ხოლო **რატი მსხვილიძემ** აზერბაიჯანთან მატჩში ტრავმა მიიღო. როგორც რატიმ გვითხრა, ტრავმა საშიში არაა და დღეს მოლდოვასთან მწყობრში იქნება.

ამ სამეულის ნაცვლად, თოთხმეტეულში მწვანე შუქი აენთოთ **მამია კობახიძეს, გიორგი კვერნაძესა** და **გაგა სამყურაშვილს**. მამიამ საკმაოდ კარგად ითამაშა, ბრწყინვალედ გაისარჯა კვერნაძეც, რომელმაც ეროვნულ ნაკრებში ოფიციალური დებიუტი ექვსი გოლით აღნიშნა. გიორგიმ მხოლოდ ნახევარი საათი დაყო მოედანზე და სამჯერ თამაშიდან გაიტანა, სამჯერ კი შვიდმეტრიანი შეაგდო შესაშური სიმშვიდით. რაც შეეხება სამყურაშვილს, მასაც მხოლოდ მეორე ტაიმში მიეცა თავის გამოჩენის საშუალება. 30 წუთში რვა ბურთის მოგერიება თითქოს არაა ურიგო შედეგი, მაგრამ მისი რეალური შესაძლებლობები რომ ვიცი, რამდენიმე მარტივი გოლი ნამდვილად არ უნდა გაეშვა. უფრო ნაკლები სამუშაო ჰქონდა გაგას კოლეგა **კორნელი ანდრიაძეს** – მან პირველ ტაიმში მხოლოდ ოთხჯერ უკუაგდო ბურთი და ექვსი გაშვებული გოლიდან, არცერთი იყო მარტივი...

მთლიანობაში, აშკარად ჩანდა, რომ საქართველოს ნაკრები ძალას მოლდოვასთან შეხვედრისთვის ინახავდა. შესაბამისად, გაგვიჭირდება გუნდის შექებაც და აუგის თქმაც.

იმ მცირე დროში, რაც მოედანზე დაყო, ცოტა ინერტული გვეჩვენა წინა დღის გმირი **სერგო დათუკაშვილი**. მან ერთხელ პენალტი ვერ გაიტანა, სამჯერ კი მეკარესთან პირისპირ გასულმა გაანიავა შანსები. თუმცა ოთხი გოლი მაინც შეაგდო და მწვრთნელებმაც მალევე დასვეს სათადარიგოთა სკამზე, საიდანაც მატჩის ბოლომდე აღარ წამომდგარა და არც იყო საჭირო. მოედანზე მყოფთაგან ვისაც არ ეზარებოდა, ყველა ბომბავდა სომხების კარს, სერგო კი დღეს დასვენებული უფრო დაგვჭირდება.

რაც შეეხება ჩვენი გუნდის ყველაზე გამორჩეულ მოთამაშეს, ამჯერად ასეთად დავასახელებთ **რეზო ჭანტურიას**. მან ნახევარ საათში მცირე სახელბურთო გაკვეთილი ჩაუტარა სომხებს. ერთ რამედ ღირდა მისი ჭკვიანური და კლასიანი გარჯის ყურება. კვერნაძესთან ერთად, რეზო ყველაზე შედეგიანი იყო საქართველოს ნაკრებში, მაგრამ მისგანვე განსხვავებით, მან ყველა გოლი თამაშიდან შეაგდო.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ საქართველოს ნაკრებმა შვიდი პენალტი დაარტყა და სამჯერ უმტყუნა მიზანმა. დათუკაშვილმა და **რუსიამ** მეკარეს ვერ აჯობეს, ხოლო **ქობელაშვილმა** ხარიხა შეაზანზარა. გატანილი პენალტებიდან, სამი კვერნაძის ანგარიშზეა, ერთი კი დათუკაშვილმა შეაგდო...

ამრიგად, დღეს "ჩელენჯ ტრიფის" თბილისური ეტაპის ბოლო დღეა. შესაბამისად, სწორედ ბოლო ტურში უნდა გადაწყდეს იმ გუნდის ვინაობა, რომელიც იანვარში, ნორვეგიაში ითამაშებს "ჩელენჯ ტროფის" ფინალში. თუკი საქართველოს ნაკრები მოლდოვასთან მინიმუმ, ფრედ დაასრულებს შეხვედრას, ფინალში გადის, მოლდოველებს კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ.

**დასასრულ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის, მამუკა მჟავანაძისა და გიორგი კვერნაძის კომენტარებს გთავაზობთ.**

გიორგი კვერნაძე: - გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი შეგვიძლია. უბრალოდ, ხვალ გადამწყვეტი მატჩი გვაქვს, სომხეთი სუსტი გუნდია და სათანადოდ საბრძოლოდ განწყობა გაგვიჭირდა. მოედანზე საკმაოდ მშვიდად გამოვედით და ლაღად ვითამაშეთ. ხვალ მოლდოვასთან გაცილებით კონცენტრირებულები და მოტივირებულები ვიქნებით. მოხარული ვარ, რომ ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ექვსი გოლით აღვნიშნე. გვერდით ისეთი კლასის მოთამაშეები მედგნენ და ისეთ მომენტებს მიქმნიდნენ, რომ ვალდებული ვიყავი, გამეტანა.

მამუკა მჟავანაძე: - ხვალ გადამწყვეტი მატჩი გვაქვს და სომხეთთან შეხვედრა უფრო ამისათვის მოსამზადებლად გამოვიყენეთ. შოთა თევზაძე და ტიტე კალანდაძე დავასვენეთ, ხოლო რატი მსხვილიძეს წინა მატჩში მიღებული მცირე ტრავმა აწუხებს. საბედნიეროდ, რატის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და მოლდოვასთან თამაშს შეძლებს. მოლდოვის ნაკრები კარგი, მებრძოლი და ფიზიკურად მშვენივრად მომზადებული გუნდია, რომელსაც ჰყავს რამდენიმე ძლიერი მოთამაშე. განსაკუთრებით გამოირჩევიან ბორეტი და ალექსანდრ პერვანჩუკი. თუმცა ჩვენ მზად ვართ, რომ ვიბრძოლოთ და ფინალის საგზური თბილისში დავტოვოთ.

**კობა ხატისაშვილი**

ძიუდო

ევროპის
გუნდური
ჩემპიონატი

# უძლიერესი გუნდით მინსკში

დღეს, მინსკში გაიმართება ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოდან მხოლოდ კაცთა ნაკრები გამოდის. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მონაწილეთა ზუსტი შემადგენლობის გარკვევა ცოტა გაძნელდა. უფრო სწორად, **შოთა ხაბარელისგან** ვიცით, რომ ჩვენი და მასპინძლების გარდა, ფრანგები, რუსები, პოლონელები და უკრაინელები გამოდიან. ხაბარელმა ეს ამბავი მინსკელ კოლეგებთანაც გადაამოწმა და იმათაც დაუდასტურეს. მეტიც - სწორედ იმათგან შეიტყო, რომ უნგრეთის ნაცვლად პოლონელები იჭიდავებდნენ, თორემ თავდაპირველად მიწვეული სწორედ მადიარები იყვნენ. ახლა კი საქმეში დაბნეულობა რუსეთის ძიუდოს ვებგვერდის ინფორმაციამ გამოიწვია, რომელმაც მონაწილეებს უნგრელები და ებრაელებიც დაამატა, სათადარიგოებად კი გერმანია და ჰოლანდია დაასახელა. მაგრამ ევროპული ფედერაციის საიტზე ჩემ მიერ ჩამოთვლილი ექვსეულია დასახელებული და ის უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია. ეს ყველაფერი კი ევროპული ფედერაციის უგერგილობის ბრალია. რატომღაც რუმინელი **მარიუს ვიზერის** საერთაშორისო ფედერაციაში გადასვლის შემდეგ ამათ ოპერატიულობას ძალიან ულალატეს. ადრე შედეგებს თუ უმალ დებდნენ, ახლა ეს დიდი პრობლემაა.

ჩვენი ნაკრები ტურნირში უძლიერესი შემადგენლობით გამოვა: **ნესტორ ხერგიანი** და **ბეთქილ შუკვანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** და **მინდია ხომიზური** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გრიგოლ შინჯიკაშვილი** და **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (+100).

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ფინალში ვერ გააღწია

თურქეთის ქალაქ სტამბოლში დასასრულს უახლოვდება ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი ამერიკული დოლარია. გუშინ, ტურნირს შემორჩენილი საქართველოს უკანასკნელი წარმომადგენელიც გავარდა. 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** (626) ვერ შეძლო წყვილთა თანრიგის ფინალში გასვლა. ოქსანა 21 წლის თურქ **პემრა ოზგენს** (358-ე ერთეულებში, 332-ე წყვილებში) შეუამხანაგდა და მასთან ერთად ნახევარფინალს უნია, სადაც ქართულ-თურქული საერთაშორისო დუეტის მეტოქე ჰოლანდიური წყვილი (**კიმ კილსდონკი, ელის ტამაელა**) იყო. პირველი სეტი ოქსანამ და მისმა მეწყვილემ პირწმინდად დათმეს - 1:6, თუმცა შემდეგი მოიგეს - 6:4. ყველაფერი ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც წყვილთა თანრიგის ახალი წესებით ათი გეიმის მოგებამდე გრძელდება. 6:7-ზე პემრა ოზგენმა ძალიან ადვილად ჩასაგდები ბურთი "გააფუჭა", ამის შემდეგ კალაშნიკოვამ და ოზგენმა თამაში წააგეს - 6:10. ნახევარფინალში მარცხის მიუხედავად ოქსანას რეიტინგი წყვილებში შესამჩნევად მოიმატებს, დღეისათვის კალაშნიკოვა 550-ე ჩოგანია.

საჩოგბურთო სეზონი სრულდება. მომავალ კვირაში ITF-ის ხუთი ტურნირი გაიმართება, მაგრამ არც ერთი ქართველი ჩოგბურთელი ქალი არ თამაშობს. სეზონის ბოლომდე ოქსანა კალაშნიკოვა ერთხელაც ითამაშებს ახალგაზრდულ ასპარეზზე, ის "ორანჯ ბოულზე" ცდის ბედს (შეგახსენებთ, რომ კალაშნიკოვამ 16-წლამდელთა "ორანჯ ბოული" მოიგო) და მომავალი წლიდან უკვე მხოლოდ დიდებში გამოვა. დღეისათვის, ის ახალგაზრდებში მსოფლიოს მე-12 ჩოგანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ცხენოსნობა

კავკასიის თასი

# ჩვენ და აზერბაიჯანელები

ცხენოსნობის ოლიმპიურ სახეობაში - დაბრკოლებათა გადალახვაში საერთაშორისო ფედერაციის მიერ ფუძეჩაყრილი "კავკასიის თასის" გათამაშება ტრადიციული გახდა, მაგრამ როგორც შარშან, წლეულსაც მხოლოდ საქართველოსა და აზერბაიჯანის მხედრებს შორის გათამაშდება მთავარი პრიზი. სომხები საასპარეზოდ აღარ ჩამოდიან.

ტურნირი გუშინ დაიწყო თბილისის იპოდრომზე დელისში და არა ლისის ტბაზე - ახალ სარბიელზე. მიჩვეულ მოედანზე ასპარეზობა მისასალმებელია, მეტიც, ყველა გახარებული დარჩა იმით, რომ კონკურში ეს ძველი საასპარეზო თბილისის იპოდრომზე, იქვე მდებარე დახურული მანეჟითურთ, შეიძლება, ხელუხლებელი დარჩეს.

გუშინდელ პროგრამაში იყო დაბრკოლებათა გადალახვა უმცროსი და უფროსი ასაკის ცხენებისთვის "გახსნის პრიზზე". უმცროსი ასაკის ცხენებით, სპორტის ამ სახეობის ქომაგებისთვის კარგად ცნობილმა ქართველ მხედართა სამეულმა გაინაწილა კვარცხლბეკი. პირველობა წილად ხვდა **ივანე ნორაკიძეს** (ცხენი "ეროსი"), მეორე იყო **გიორგი სამხარაძე** ("ელტერილი"), მესამე - **შალვა გაჩეჩილაძე** ("ხალი").

ძირითადი, ანუ უფროსი ასაკის მერნებით ასპარეზობაში საპატიო კვარცხლბეკის სამივე საფეხური აზერბაიჯანელებმა დაიკავეს. მათ უფროსი ასაკის მართლაც, რომ შესანიშნავი ცხენები ჰყავთ, იმაზე მეტი, ვიდრე კარგი ცხენოსნები. ეს იმითაც დადასტურდა, რომ ხსენებული პროგრამით, ორ მერანზე, რიგრიგობით, ერთი და იგივე მხედარი - **საიდ მუსაევი** გამოვიდა სარბიელზე. "სოდრიგით" მუსაევი უძლიერესი იყო, "გრომით" კი მესამე პრიზიორი გახდა, მეორე ადგილი წილად ხვდა **რამიზ რზაევს** ცხენ "რაზბორჩევით".

შეჯიბრება მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ტარდება, რაშიაც დიდია გენერალური სპონსორების თბილისის იპოდრომისა და "ჟოკეი კლუბის", სპონსორების - საქართველოს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია "ჯიარისის" და კომპანია "ელიტელის" დამსახურება.

ასპარეზობა ხვალ დამთავრდება.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მაკაბი პაერშია...

**28 ოქტომბერი, კვირა**
13:30 ავიამშენი-დინამო
15:30 ვითა-მაკაბი

კლუბ "12 მაგიდაში" საქართველოს ჩემპიონატის მე-2 ტურის ცენტრალური მატჩის მონაწილე გუნდების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. "ვითადან" პრესკონფერენციას დაესწრნენ მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე და მოთამაშეები **დავით ბერძენიშვილი** და **მიხეილ ბერიშვილი**, "მაკაბიდან" - **ჯამლეტ ხუხაშვილი** (მწვრთნელი) და ძმები **შერმადინები**.

**ზურაბ ტომარაძე** ("ვითას" მწვრთნელი): "პირველი ტურის მატჩებმა ჩვენი გუნდის ბევრი ხარვეზი გვიჩვენა და ვეცდებით, ნელ-ნელა ყველაფერი გამოვასწოროთ. ვფიქრობთ, მომდევნო ტურში უკეთ ვითამაშებთ, ვიდრე წინაში. თუმცა "მაკაბისთან" იოლი ბრძოლა არ გველის: აქცენტს პერიმეტრზე გადაიტან - ფარქვეშიდან გიორგი და სოსო შერმადინები შეგიტევენ, ფარზე გადაიტან - პერიმეტრიდან დათო და ირაკლი ბერიშვილი შეგავიწროებენ..."

**დავით ბერძენიშვილი** ("ვითა"): "პირველ მატჩში აზოტელი მეფარეების წინააღმდეგ ვითამაშე. იოვან სტეფანოვი მართლა მომენონა - პერიმეტრზეც გადის და ფარქვეშაც ჯანით ჭიდაობს. ანვარ ფერგიუსონი კი, ეტყობა, ჯერ ვერ გაიხსნა..."

**მიხეილ ბერიშვილი** ("ვითა"): "მაკაბიმ" დაამტკიცა, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. კვირას სერიოზული ბრძოლა გველის, რისთვისაც მაქსიმალურად ვემზადებით".

**ჯამლეტ ხუხაშვილი** ("მაკაბის" მწვრთნელი): "კომპლიმენტებისთვის ყველას მადლობას მოვახსენებ. რუსთავში "ენერჯი-ინვესტი" დავამარცხეთ და ენერგია მოგვემატა, წინა ტურში "ავიამშენს" ვაჯობეთ და ახლა ჰაერში ვართ. ვეცდებით, "ვითასთანაც" გავიმარჯვოთ, თუმცა ჩვენი მთავარი მიზანი გამარჯვების პარალელურად გიორგი შერმადინის პროგრესია".

**გიორგი შერმადინი** ("მაკაბი"): "ავიატორებთან" მძიმე თამაში გვქონდა. დაძაბულ ბრძოლაში წარმატებას ბოლო მეოთხედში მივაღწიეთ. ყველაზე დიდი უპირატესობით, 13 ქულით სწორედ მეოთხე პერიოდში დავწინაურდით. "ვითასთანაც" საინტერესო მატჩი იქნება".

**სოსო შერმადინი** ("მაკაბი"): "ვითაში" გამოცდილი შემადგენლობაა თავმოყრილი, გუნდი თანაბრადაა დაბალანსებული და მისი დამარცხება "აზოტსაც" გაუჭირდა. ვეცდებით, ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ.



ბესიკ ლეჟავა (9) და აზოტის სამი ლეგიონერი: ბელტონ რივერსი (14), ანვარ ფერგიუსონი და იოვან სტეფანოვი

## შუქი ჩაქრა, რივერსი აენთო

**აზოტი-თსუ 97:73**

გუშინ "აზოტი"-თსუ-ს მატჩიდან რედაქციაში მისულს ოქმი არ მიმიტანია - ასეთი შემთხვევა ჩემს პრაქტიკაში ჯერ არ მქონია. მკითხველს სტატისტიკის არქონის გამო ბოდიშს ვუხდი, მაგრამ ჩემთან ერთად პასუხისმგებლობა რუსთავის დარბაზში მდგარმა კომპიუტერმაც უნდა გაიზიაროს - საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე არენაზე სინათლე ჩაქრა და უუპიესო (ხომ კარგი სიტყვაა?!) კომპიუტერში ყველა მონაცემი წაიშალა. აი, რა შეგვრჩა: "აზოტი"-თსუ 97:73. ამ შემთხვევამ ზოგს ძველი დროება ანატრებინა, როცა ქულა-მოხსნა-პასებს ელექტრომანქანის ნაცვლად მდივნები ფურცლებზე ითვლიდნენ.

მართალია, კომპიუტერმა ყველაფერი დაივიწყა, მაგრამ მატჩის მსვლელობას გონებიდან ვერც უსინათლობა ამოშლის და ვერც "კოხინორის" საშლელი.

"სამშაბათს 30 ოქტომბერს ევროთასზე "ამსტერდამს" ვმასპინძლობთ და დღევანდელი შეხვედრა ჰოლანდიელებთან დაპირისპირების წინ გენერალური რეპეტიცია იყო. მატჩით კმაყოფილი ვარ, ორი ამერიკელი ახლახან შემოგვიერთდა და თავიდან ცოტა არეულები ვიყავით. დღევანდელმა შეხვედრამ კი გვიჩვენა, რომ რივერსი და ფერგიუსონი გუნდის სქემებში ნელ-ნელა ერკვევიან", - განაცხადა აზოტელმა **ზვიად ბაბიაშვილმა** მატჩის შემდეგ.

როგორც ხედავთ მან შედეგი დადებითად შეაფასა, რაშიც ძნელია არ დაეთანხმო, მასპინძლებმა ხომ 30 ქულის სხვაობით იმარჯვეს. გენერალურ რეპეტიციაში ამერიკელი ახალწვეულების გამოსვლა კი დამატებით საუბარს მოითხოვს.

პირდაპირ გეტყვით, უკანახაზელმა **ბელტონ რივერსმა** იმედები რამდენადაც გაამართლა, ცენტრმა **ანვარ ფერგიუსონმა** იმდენად გაგვიცრუა. შეიძლება, ბაჰამელი მეფარე ფორმაში არ არის და ამიტომ გამოიყურება სუსტად, მაგრამ ფაქტია, რომ 213 სმ. სიმაღლის კაცს თსუ-ს 192 სმ. სიმაღლის გამთამაშებელმა ბურთი 16-ჯერ მოუხსნა. თავად ფერგიუსონმა მესამე პერიოდამდე 7 მოხსნა ჩაიწერა, ბოლო ათწუთეულში ორ-სამს მიამატებდა. მესამე მეოთხედის შედეგების მიხედვით თსუ-მ "აზოტს" მოხსნებში 43:35 აჯობა... სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ანვარი დაცვაში უკეთესია, ვიდრე შეტევაში. დასკვნა თავად გამოიტანეთ.

მართალია, ორივე შავკანიანია, მაგრამ რივერსი ფერგიუსონისგან ისე განსხვავდება, როგორც შავისგან თეთრი. პირველ ათწუთეულში ბელტონი ფლანგზე, მსროლელად თამაშობდა, ბურთს კი **ლაშა გამყრელიძე** ათამაშებდა. ალბათ, "ამსტერდამთანაც" ასე იქნება - გამყრელიძე პირველ ნომრად - რივერსი - მეორედ. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალგაზრდა ქართველები ტემპს არ კრეფდნენ, მეტოქის კალათისკენ მიმავლები გვერდზე აღარ იყურებოდნენ, არადა, ორიდან ერთი შეტევისას ბელტონ რივერსი სატყორცნ პოზიციაზე უმეთვალყუროდ რჩებოდა და ბურთს ამაოდ ითხოვდა. მას მეტი პასი რომ მისვლოდა 30 ქულას თავისუფლად ასცდებოდა. ჯამში რივერსმა 25 ქულას მოუყარა თავი. ისევ და ისევ მესამე პერიოდის შედეგებს მოვიშველიებთ და გეტყვით, რომ ამერიკელმა უკანახაზელმა სამქულიანები 57.1-პროცენტიანი სიზუსტით სტყორცნა - 7-დან 4 ჩააგდო. ბოლო მეოთხედში კიდევ სამი მიუმატა.

მეორე პერიოდში მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** რივერსს გამთამაშებლობა დაავალა და უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო - ამერიკელი ან შორეულ ზუსტ პასს აკეთებდა, ან სწრაფი ცრუმოძრაობით იცილებდა მეტოქეებს, ფარქვეშ შედიოდა და ეფექტურ პასებს არიგებდა, ან თავად აგდებდა... მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ "აზოტს" მაღალი კლასის ამერიკელი ჰყავს, თუ დღეს მხოლოდ მის კარგ საქმეებზე მიწევს წერა და ქართველებს მის ჩრდილში ვაქცევ, მხოლოდ იმიტომ რომ მსურს ჩვენიანებიც მას ჰგავდნენ, არა სვირინგებით, არამედ - თამაშითა და საქმისადმი მიდგომით. რივერსს ხომ ბატიბუტივით კუნთები პლასტიკური ოპერაციით არ შემატებია - წლების განმავლობაში საკუთარ თავზე მუშაობდა და ამიტომაცაა "ამსტერდამთან" თამაშში, პირველ რიგში, მისი იმედი გვაქვს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ჭადრაკი



ფანცულაია, არუთინიანი, ლომინეიშვილი, ხურციძე, ჯავახიშვილი, ძაგნიძე

ევროპის გუნდური ჩემპიონატი

## მოიგეთ და ჯილდოც იქნება!

გუშინ, სპორტისა, დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა. თემა მოახლოებული ევროპის გუნდური ჩემპიონატი იყო, რომელიც ხვალ იწყება ბერძნულ კუნძულ კრეტაზე.

ჟურნალისტებს ფედერაციის ხელმძღვანელი **რომან სიჭინავა** და დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** ესაუბრნენ. ჩემპიონატზე წამსვლელთათვის ნამგალაურმა საინტერესო რამ თქვა: - *ბატონი რომანი თავს კი იზღვევს, მაგრამ მე მჯერა, რომ ჩემპიონებად დაბრუნდებით!*

ბატონმა დავითმა ერთ საჭირბოროტო საკითხსაც მოფინა ნათელი: მიეცემათ თუ არა ფულადი პრემიები წარმატებულ გუნდებს:

- ამ საკითხს მუდმივად მახსენებენ საჭადრაკო სამყაროს წარმომადგენლები, მაგრამ ისევ მიწევს ერთი და იმავეს გამეორება: სამწუხაროდ, ჭადრაკი არ არის სპორტის ოლიმპიური სახეობა, ამიტომ პრემიები და სხვა სახის ფულადი ჯილდოები გათვალისწინებული არ არის. სპორტის დეპარტამენტი ვერაფერს ვერ შეცვლის, თუმცა წარმატების შემთხვევაში საკითხის შეიძლება დავაყენოთ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე. გპირდებით, რომ საპრიზო ადგილის შემთხვევაში აუცილებლად დავაყენებ დაჯილდოების საკითხს და იმედი მაქვს, რომ შედეგსაც მივიღებ. შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ეს სტიმული გაქვთ, დანარჩენი თქვენზეა დამოკიდებული - იქნება შედეგი, იქნება ჯილდოც!

ნამგალაურის სიტყვამ მოჭადრაკეები კმაყოფილი დატოვა. ორივე ნაკრები არასრული შემადგენლობით იყო პრესკონფერენციაზე. მიზეზი ის გახლავთ, რომ ნაკრების რამდენიმე წევრი საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობს და თავიანთ გუნდებს უშუალოდ კრეტაზე შეუერთდებიან.

შემადგენლობა კი ასეთია: **ქალები - მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი**; ვაჟები - **ბაადურ ჯობავა, თამაზ გელაშვილი, ლევან ფანცულაია, დავით არუთინიანი, მერაბ გაგუნაშვილი.**

## მჭედლიშვილის მესამე ადგილი

ესპანეთში, ქალაქ კალვიაში დასრულდა საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი "კალვია-2007". მასში სამი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობდა: **მიხეილ მჭედლიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი** და **ქეთევან არახამია-გრანტი**. შვეიცარიული სისტემით 9 ტურად მიმდინარე შეჯიბრებაში პირველი ადგილი ებრაელმა **ვიქტორ მიხალევსკიმ** დაიკავა 8 ქულით. მიხალევსკი განთესვით მერვე ნომერი იყო და მისი გამარჯვება მოულოდნელობად არ ჩაითვალა, მაგრამ აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა მერაბ გაგუნაშვილის (მე-7 ნომერი, 5 ქულა, 51-ე ადგილი). ბოლო დროს გაგუნაშვილი არცთუ სახარბიელო ფორმაშია, არადა, მას ხვალიდან საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მოუწევს ქვეყნის ღირსების დაცვა და მისი მზადყოფნა საერთო წარმატებისთვის მეტად მნიშვნელოვანია...

ქართველთაგან საუკეთესო შედეგი მიხეილ მჭედლიშვილს აქვს, რომელმაც 6.5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა და ისედაც საკმაოდ კარგ პირად რეიტინგს რამდენიმე ქულაც შემატა.

მშვენიერი შედეგი აჩვენა **ქეთევან არახამიამ**: მანაც 6.5 ქულით დაასრულა ტურნირი და მესამე-მეთერთმეტე ადგილები გაიყო; კოეფიციენტით კი მეცხრე ადგილი ერგო. ქალბატონისთვის ასეთი შედეგი ბევრს ნიშნავს და ქეთევანიც საკმაოდ ბევრ ქულას შეიმატებს რეიტინგში...

**ზვიად შათირიშვილი**

### მძლეოსნობა

## დღეს, მარტვილში

რეგიონებში სპორტული ცხოვრების გააქტიურება ბოლო ხანებში აშკარად შესამჩნევია და ეს არ არის დირექტივა ზემოდან. თვით ადგილობრივი სპორტის მუშაკები ავლენენ ინიციატივას, უმასპინძლონ ან თავად ჩაატარონ მასობრივი ღონისძიებები. სამეგრელო-ზემო სვანეთის მძლეოსნობის რეგიონულმა ფედერაციამ გადაწყვიტა, მარტვილში პირველად ჩაატაროს მძლეოსნური გარბენი სხვადასხვა დისტანციაზე, რეგიონის სპორტსმენთა და მოყვარულთა მონაწილეობით.

თაოსნობა მოიწონა საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ, რომლის პრეზიდენტი **თამაზ მდინარაძე** და გენერალური მდივანი **მაია აზარაშვილი** კვირას ამ ღონისძიებას დაესწრებიან და პრიზებს თბილისიდან ჩატანილ ორ ტელევიზორს შემატებენ.

მარტვილელთა თხოვნით, ღონისძიებაზე ჩადის აგრეთვე მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ლეგენდარული ფალავანი **რომან რურუა**, რომელიც ამ რაიონიდანაა წარმოშობით.






საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს კალათბურთში, ზაურ დოლაბერიძეს მძიმე მდგომარეობაში ჰყავს შვილი, რომელსაც ესაჭიროება ფინანსური დახმარება.
რეკვიზიტები: "სახალხო ბანკი" – ქუთაისის ფილიალი
მ.ფ.ო. 220101420, ანგარიშის ნომერი - 9928762340
საქართველოს კალათბურთის ფედერაცია

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტი და ეროვნული ფედერაცია "სპორტი ყველასათვის" თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ფედერაციის პრეზიდიუმის წევრს, სპორტის დამსახურებულ მუშაკს მარინა თარხნიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი სამძიმარს უცხადებს სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკს მარინა თარხნიშვილს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული რაგბის ვეტერანი, პირველი ქართველი მსაჯი რაგბიში
**ბონდო მარდალეიშვილი**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციგურაობა



ელენე გედევანიშვილი

# დღეიდან ამერიკაში: ელენეს კაბარე და სასიყვარულო ისტორია

ნუხელ ამერიკის ქალაქ რიდინგში დაიწყო და სამ დღეს გასტანს "სკეიტ ამერიკა", სრიალის საერთაშორისო კავშირის (ISU) გრან-პრის პირველი ეტაპი. ფაქტობრივად, ციგურაობის სეზონიც ამ ტურნირით იხსნება. ჩვენთვის "სკეიტ ამერიკა" იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მონაწილეთა შორისაა 17 წლის **ელენე გედევანიშვილი**. "სკეიტ ამერიკაზე" ქალთა შორის 12 მონაწილეს უნდა ესრიალა, თუმცა ბოლო მომენტში ტურნირს ფინელი **კიირა კორპი** გამოაკლდა, ინტერნეტ-გამოკითხვის მიხედვით ულამაზეს სპორტსმენ ქალად აღიარებულ კორპის სინუსიტი აწუხებს.

პენსილვანიის შტატის ქალაქი რიდინგი მსოფლიოს 60 საუკეთესო მოციგურავეს უმასპინძლებს, "სკეიტ ამერიკა" ISU-ის გრან პრის ექვსი ეტაპიდან პირველია. ტურნირის საერთო საპრიზო ფონდი 180 ათასი დოლარია. დაკავებული ადგილების მიხედვით, პირველ რვა ადგილზე გასული მონაწილეები გრან პრის საერთო ჩათვლისთვის ქულებს მიიღებენ (15 ქულა პირველი ადგილისთვის, 13 მეორისთვის, 11 მესამისთვის და ასე შემდეგ..). გამარჯვებული 18 ათასი დოლარით გამდიდრდება, მეორეადგილოსანი - 13 ათასით, პოდიუმის მესამე ადგილი 9 ათასი დოლარი "ღირს". 3 და 2 ათასით შეივსებენ პირად ბიუჯეტს, შესაბამისად, მეოთხე და მეხუთე ადგილზე გასული სპორტსმენები.

ბუნებირივია, ოთხი სახეობიდან ჩვენ ყველაზე მეტად ქალთა ასპარეზობა გვაინტერესებს. მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი იაპონელი **მიკი ანდო** "სკეიტ ამერიკა 2007"-ის ფავორიტია; თუმცა არც მასპინძლების ჩამოწერა შეიძლება, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონი **კიმი მაისნერი** და "ოთხი კონტინენტის" ვერცხლის პრიზიორი **ემილი ჰიუზი** იაპონელს დიდ კონკურენციას გაუწევენ. მაგრამ ყველაზე მეტად ამერიკელებს **კაროლინ ჭანკის** ეიმედებათ, რომელიც მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონია. "სკეიტ ამერიკაზე" დიდებში ჭანკის დებიუტი შედგება. მიმომხილველები ფავორიტთა შორის ელენე გედევანიშვილს, **მაი ასადას** (იაპონია), **მირა ლუნგს** (კანადა) და **ვალენტინა მარკეისაც** (იტალია) გამოყოფენ. "სკეიტ ამერიკაზე" ქალთა შეჯიბრებაში აგრეთვე მონაწილეობენ: **ბინშუ ქსუ** (ჩინეთი), **ალექსანდრა იევლიევა** (რუსეთი) და **თუგბა კარადემირი** (თურქეთი).

ხუთშაბათს და ნუხელ, ქალ მონაწილეებს რიდინგის "სუვერეინ სენტერში" ვარჯიშები ჰქონდათ. დღეს საღამოს ექვს საათზე (ჩვენი დროით გამთენიისას, ორ საათზე) ისინი მოკლე პროგრამის შესასრულებლად გამოვლენ. თავისუფალი პროგრამა კვირას, საღამოს 4 საათზე დაიწყება (საქართველოს დროით, შუაღამით).

გუშინ რიდინგში გაიმართა წილისყრა, რომლის მიხედვით ელენე გედევანიშვილი ყინულზე მეშვიდე შედგება. მოკლე პროგრამას რუსი **ალექსანდრა იევლიევა** გახსნის, რომლის მერეც გამოვლენ თუგბა კარადემირი, მირა ლუნგი, მაი ასადა და ვალენტინა მარკეი. მცირე შევენების შემდეგ მეორე ჯგუფს ჩინელი ბინშუ ქსუ გახსნის, შემდეგ ელენეს ჯერია, გედევანიშვილს სამი ამერიკელი შეცვლის - ჯერ კაროლინ ჭანკი, მერე ემილი ჰიუზი და კიმი მაისნერი, ბოლოს კი მსოფლიო ჩემპიონ მიკი ანდოს ვიხილავთ. ქართველი მოციგურავის ოჯახის რუსეთიდან დეპორტაციამ, ელენეს შარშანდელი სეზონი აურია, მან ევროპის ჩემპიონატი მხოლოდ მერვე ადგილზე დაასრულა, გრან-პრი კი საერთოდ გამოტოვა. ახლა ელენე ნიუ ჯერსის შტატის ქალაქ ჰაკენსეკში ვარჯიშობს, მწვრთნელ **რომან სეროვთან**, გედევანიშვილის ქორეოგრაფი **ნიკოლაი მოროზოვია**. მოკლე პროგრამაში ელენე ამერიკელი კომპოზიტორის, **ჯონ კანდერის** "კაბარეს" შეასრულებს. თავისუფალ პროგრამას ელენე ფრანგი კომპოზიტორის **ფრანსის ლეის** ცნობილი საუნდტრეკის, "სასიყვარულო ისტორიის" ჰანგებზე ისრიალებს. ელენე გედევანიშვილის პერსონალური მიღწევა ორივე დისციპლინის ჯამში 153,27 ქულაა. დღეისთვის, ქართველი მსოფლიო კლასიფიკაციის საუკეთესო ოცეულში აღარაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი

მსოფლიო ჩემპიონატი

# ცხრიდან ხუთნი დარჩნენ



ვასილ ყაზიშვილი

მსოფლიო ჩემპიონატის მესამე დღეს, კიდევ ერთი მოკრივე მოისაკლისა საქართველოს ნაკრებმა. არადა, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი **კახა ჟვანია** (69 კგ), ჩიკაგოში სულ მცირე, მეოთხედფინალში გასვლის კანდიდატად ითვლებოდა, რაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიას უდრის. სამწუხაროდ, მეოთხედფინალს ვინ ჩივის, ჟვანია პირველივე ბრძოლაში დამარცხდა. მისი მეტოქე გახლდათ ამერიკელი **დემეტრიუს ანდრადე**, რომელსაც საკუთარი გულშემატკივრების გამო, ფსიქოლოგიური უპირატესობა ჰქონდა. ამასთან, როგორც მასპინძელსა და ერთ-ერთი გრანდი ქვეყნის წარმომადგენელს, ანდრადეს წესით, მსაჯების ხელის წაშველების იმედიც უნდა ჰქონოდა. ვერ გეტყვით, რამდენად ობიექტური იყო მსაჯობა, მაგრამ შედეგი ამერიკელის სასარგებლოდაა – 22:11.

სამაგიეროდ, წარმატებით ჩაატარა თავისი პირველი შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონატზე **ვასილ ყაზიშვილმა** (60 კგ). მან სამხრეთ აფრიკელი ოვეტუ მბირა დაამარცხა – 28:15. მეორე წრეში, ყაზიშვილი 28 ოქტომბერს შეხვდება ინდოელ ჯა ბჰაგვანს.

დღეს, რინგზე გამოვა **ლევან ღვამიჩავა** (64 კგ), რომელიც მეორე წრის ორთაბრძოლას გამართავს გაიანელ ჰენდრიკ პელსვიუკთან. შეგახსენებთ, რომ ღვამიჩავასა და ყაზიშვილის გარდა, მსოფლიო ჩემპიონატს შემორჩენილია კიდევ სამი ქართველი - **ზვიად ხადური** (48 კგ), **კობა ფხაკაძე** (57 კგ) და **დავით ნიკლაური** (81 კგ). ხადური და ნიკლაური ჯერ არ გამოსულან რინგზე, ფხაკაძეს კი ერთი ბრძოლა აქვს მოგებული და ხვალ მეორეს გამართავს ჩინელ იანგ ლისთან.

**კობა ხატისაშვილი**

რაგბი

BTA Silk Road Bank
ქვარციტი QUARTZITE
LOYALCAPITAL group



მამუკა გორგოძე



1998, ირლანდია-საქართველო. კონორ ოშეი არჩილ ქავთარაშვილის წინააღმდეგ

# კონორ ოშეი: გორგოძე ნამდვილი მთაკაცია

ირლანდიის საუკეთესო ჟურნალი RTÉ სარაგბო რუბრიკას "მსოფლიო თასის ათი კითხვა" აწარმოებს. ბოლო ნომერში ჟურნალის სტუმარი ნაკრების ყოფილი მორაგბე, ფულბეკი **კონორ ოშეი** იყო, რომელსაც 35 კეპი მოუხვეჭია. ოშეის საქართველოს ნაკრების წინააღმდეგაც უთამაშია დუბლინში, 1998 წელს. ის ამჟამად ირლანდიაში რაგბის ეროვნული აკადემიის დირექტორია.

კითხვაზე, რამდენმა ნაკრებმა უნდა ითამაშოს 2011 წლის მსოფლიო თასზე, ოშეი პასუხობს: "ამ მსოფლიო თასამდე რომ გეკითხათ, მეც იმათ რიცხვში ვიყავი, ვინც ფიქრობდა, რომ 16 გუნდი სავსებით საკმარისია. თუმცა აუტსაიდერმა გუნდებმა თავიანთი თამაშით აზრი შემაცვლევინეს - რაც მეტი ასპარეზი მიეცემა საქართველოს და მის დარ ნაკრებს, მით უკეთესი გახდებიან ეს გუნდები. არ ვიცი კონკრეტულად როგორ უნდა მოხდეს ეს, მაგრამ ფაქტია საქართველოსა ნაკრებს ძლიერ მეტოქეებთან თამაში ესაჭიროება. ეს მათ დაიმსახურეს და დარწმუნებული ვარ საქართველოს ნაკრები გაცილებით უკეთესი გუნდი გახდება. მსოფლიო თასამდე ვინ წარმოიდგენდა, რომ საქართველოს ირლანდიის დამარცხებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდებოდა?".

ჟურნალი კონორ ოშეის მსოფლიო თასის საუკეთესო მორაგბეზეც დაეკითხა. ოშეიმ საუკეთესოდ აფრიკელი **ვიქტორ მეტფილდი** დაასახელა. თუმცა არც სხვებს დაუკარგა შრომა, ოშის რჩეულთა შორის მოხვდნენ: აფრიკელი **პერსი მონტგომერი**, **ხუან მარტინეს ერნანდესი** (არგენტინა) და **ვილიმონი დელასაუ** (ფიჯი). სასიხარულოა, რომ რჩეულთა სიაში "ბორჯღალოსანთა" მეორეხაზელი მამუკა გორგოძეც დასახელდა. *"მამუკა გორგოძე ქართველთა გუნდის მთაკაცი იყო"*, - აღნიშნა კონორ ოშეიმ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ანონსი**
რაგბი. საქართველოს თასი
27 ოქტომბერი, ქუთაისი. **ფინალი**
**15:00 ყოჩები–ლოკომოტივი**
გივი კილაძის სახელობის სტადიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

## კიდმა ვარჯიში განაახლა

ორკვირიანი პაუზის შემდეგ, "ნიუ ჯერსის" ვეტერანმა გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა** ვარჯიში განაახლა. როგორც ცნობილია, NBA-ის ვარსკვლავმა ზურგის ტრავმა მიიღო და ამის გამო, წინასასეზონო მზადების დიდი ნაწილი გამოტოვა.

კიდს იმედი აქვს, რომ რეგულარული ჩემპიონატის სტარტამდე ორი საკონტროლო მატჩის გამართვას მოასწრებს და ახალ სეზონს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

## არტესტი დისკვალიფიკაციას აპროტესტებს

როგორც ცნობილია, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა 7-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა "საკრამენტო კინგზის" ფორვარდს **რონ არტესტს**. ეს სასჯელი კალათბურთელს საკუთარი მეუღლის მიმართ გამოჩენილი ძალადობის გამო გამოუტანეს.

არტესტი NBA-ის გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს, მაგრამ ამერიკული პრესა დარწმუნებულია, რომ ლიგის კომისარი **დევიდ სტერნი** დისკვალიფიკაციის ვადას არ შეცვლის და რონს რეგულარული ჩემპიონატის საწყისი შვიდი ტური უქმად ყოფნა მოუწევს.

## კლუბები ბალასტს იშორებენ

მოახლოებული რეგულარული ჩემპიონატის წინ, გუნდები შემადგენლობის დაკომპლექტებას ასრულებენ. თითქმის ყველა გუნდმა, ზედმეტი კალათბურთელების მოშორებით თავისი შემადგენლობა 15 კაცამდე დაიყვანა.

ასე მოიქცა მაგალითად "ლოს ანჯელეს კლიპერსი", რომელმაც ტრანსფერზე დააყენა რუსი ფორვარდი **იაროსლავ კოროლიოვი**, მცველი **გილერმო დიასი** და კიდევ ერთი ფორვარდი **კიმანი ფრიენდი**.

ასევე 15-15 მოთამაშე დარჩა "ნიუ იორკ ნიქსისა" და "ატლანტა ჰოქსის" განკარგულებაში. "ნიქსის" რიგები დატოვეს მცველებმა **ჯარედ ჯორდანმა, დემეტრის ნიკოლსმა** და **უოკერ რასელმა**, ხოლო "ატლანტამ" ფორვარდების **ანტუან რობინსონის, სტივენ სმიტისა** და მცველ **ჯამაალ ტატუმის** სამსახურზე თქვა უარი.

გუშინვე, "ვაშინგტონმა" თავდამსხმელი **მაიკ ჰოლი** მოიშორა, "მინესოტამ" - ცენტრი **ჯონ ედვარდსი**.

## ბულზმა ბენ უოლასი დაკარგა

ცუდად დასრულდა "ჩიკაგო ბულსისთვის" მორიგი საკონტროლო შეხვედრა. "მილუოკი ბაქსთან" შეხვედრაში, ამ გუნდის ერთბაშად სამმა კალათბურთელმა მიიღო ტრავმა.

მთავარი დანაკლისი ძირითადი ცენტრის, **ბენ უოლასის** ტრავმაა. ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი უხერხულად შეეჯახა **დენ გაძურიჩს** და მარცხენა ფეხი დაიზიანა.

ასევე ვერ შეძლეს შეხვედრის დასრულება ახალგაზრდა "ხარებმა" - **ტაირუს ტომასმა** და **ჟოაკიმ ნოამ**. ჯერჯერობით, არაფერს იტყობინებიან იმის შესახებ, გამოტოვებენ თუ არა ეს კალათბურთელები სეზონის სტარტს.

## მსაჯები კაზინოებში ივლიან

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** განაცხადა, რომ ამიერიდან, ლიგის მსაჯებს უფლება ექნებათ, კაზინოებში გაატარონ თავისუფალი დრო. წესი, რომელიც არბიტრებს კაზინოში სიარულს უკრძალავდა, მოძველებულად ჩაითვალა.

## კობის ტრავმა არასერიოზულია

"იუტასთან" წინასასეზონო მატჩში ტრავმა მიიღო "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა**. როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, კობიმ მაჯა დაიზიანა, თუმცა საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ბრაიანტი ამ კვირას დაუბრუნდება მოედანს.

სხვათა შორის, სანამ თამაშს გამოეთიშებოდა, კობის 15 ქულა, 3 მოხსნა და 2 შედეგიანი პასი ჰქონდა დაგროვებული.

კრივი

## WBA შეფასების სისტემას ცვლის

კრივის მსოფლიო საბჭომ მოიწონა ბრძოლების შეფასების ახალი სისტემა, რომელიც მსოფლიოს საკრივო ასოციაციამ (WBA) პროექტის სახით წარმოადგინა.

WBA აპირებს საკუთარი ვერსიით ბრძოლების დროს, გამოიყენოს შეფასება - 0.5 ქულა. *"ასეთი შეფასება მსაჯებს რინგზე მიმდინარე მოვლენების უფრო ობიექტურად შეფასების საშუალებას მისცემთ. თანაბარი ბრძოლის პირობებში, 0.5 ქულით შეფასებისას უფრო იოლი იქნება შესაძლებელი გამარჯვებულის გამოვლენა"*, - აცხადებს WBA-ს ვიცე-პრეზიდენტი **ხილბერტო ხესუს მენდოსა**.

ეს სიახლე ჯერ WBA-ს ბრძოლებში დაინერგება, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ იგივე გააკეთოს მეორე საკრივო ორგანიზაციამ - WBC-მა. მისმა პრეზიდენტმა **ხოსე სულეიმანმა** განაცხადა, რომ ეს ორგანიზაცია WBA-სთვის მიბაძვას აპირებს.

## ჩიკაგოში სამი მოკრივე გაქრა

ჩიკაგოში მიმდინარე სამოყვარულო კრივის მსოფლიო ჩემპიონატზე სამი მოკრივე დაიკარგა. ქალაქის პოლიცია ამაოდ ეძებს ორ უგანდელ და ერთ სომეხ სპორტსმენს.

ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **დუგ არნოტმა**, სააგენტო AFP-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სპორტსმენები ისე გაუჩინარდნენ, რომ საქმის კურსში არ ჩააყენეს თავიანთი დელეგაციების ხელმძღვანელები.

*"უგანდისა და სომხეთის დელეგაციებმა მომხდარის შესახებ შეგვატყობინეს და ჩვენ საქმეში პოლიცია ჩავრთეთ"*, - თქვა არნოტმა.

ოლიმპიზმი

## WADA სამარანჩის წინააღმდეგ

მსოფლიოს ანტი-სადოპინგო სააგენტოს (WADA) პრეზიდენტმა **დიკ პაუნდმა** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი **ხუან ანტონიო სამარანჩი** დაადანაშაულა იმაში, რომ თავის დროზე, ესპანელი ფუნქციონერი დოპინგთან საბრძოლველად არაფერს აკეთებდა.

პაუნდმა, რომელსაც მომავალ თვეს ეწურება უფლებამოსილება, განაცხადა, რომ იმ ორი ათწლეულის განმავლობაში, როდესაც ოლიმპიურ კომიტეტს სამარანჩი ხელმძღვანელობდა, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის თანხები საერთოდ არ გამოიყოფოდა, ხოლო სოკი არ იყენებდა თავის შესაძლებლობებს და არ ავალდებულებდა ეროვნულ ფედერაციებს შესაბამისი სამუშაოები გაეტარებინათ დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

სამარანჩი 1980 წელს ჩაუდგა სათავეში საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და მის მთავარ მიღწევად ითვლება ის, რომ დღეისთვის, ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშები კომერციულად ძალიან მომგებიან ღონისძიებებად გადაიქცა.



ევროლიგა. I ჯგუფური ეტაპი. I ტური

# შარასი რეზერვშიც მაგარია

ათენში, ევროლიგის მოქმედმა ჩემპიონმა "პანათინაიკოსმა" ტიტულის დაცვა მძიმე მოგებით დაიწყო. ბერძნულმა გრანდმა ნორმალური, მაგრამ არა გამორჩეული მოთამაშეებით დაკომპლექტებული "რომა" ბოლოსდა მოგუდა და სამქულიანი უპირატესობით იმარჯვა. იტალიელთა ერთ-ერთ ვარსკვლავს, **როკო-ლენი უკიჩს** საფინალო სირენასთან ერთად სამიანი რომ ჩაეგდო, ოვერტაიმი იქნებოდა, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა და მოგებაც ბერძნებს დარჩათ.

"პანათინაიკოსის" გამარჯვებაში ყველაზე დიდი როლი ორმა ახალწვეულმა შეიტანა. ამერიკაში ტყუილად წაბრძანებულმა **ვასილის სპანულისმა** და ასევე NBA-დან დაბრუნებულმა ლიტველმა **შარუნას იასიკიავიჩუსმა** მეორე ნახევარში უმნიშვნელოვანესი ქულები მოუტანეს მასპინძელს და მოგებაც მათ განაპირობეს.

სტუმრებმა პირველივე წუთებიდან მოიპოვეს უპირატესობა, რაც მეტწილად ისლანდიის ნაკრების კაპიტნის **იონ სტეფანსონისა** და **ერაზიმ ლორბეკის** დამსახურებაა. პირველმა სამწამიანში იჭიდავა და 6 ქულა ზედიზედ მოიმკო, ხოლო უნივერსალმა ლორბეკმა კი, დაცვაშიც იმუშავა და შეტევაშიც (7 ქულა, 2 დაფარება). პირველი მეოთხედის ბოლოს კი, **დევიდ ჰოკინსმა** სამიანი დააქუხა და საწყისი 10 წუთი "რომამ" 26:20 მოიგო.

მდგომარეობა არც მეორე მეოთხედის დასაწყისში შეცვლილა. იმავე ლორბეკმა საშუალო მანძილიდან ჩააგდო და "რომა" 45:33 გაიჭრა წინ. 12 ქულა უკვე სერიოზული ჰანდიკაპი იყო და "პანათინაიკოსს" მანამდე რეზერვში მყოფი იასიკიავიჩუსის მოედანზე გაშვება მოუხდა. პირველი ნახევარი სტუმრებმა 10 ქულით (45:35) მოიგეს.

"პანათინაიკოსმა" მეორე ტაიმი ბევრად აქტიურად დაიწყო, სპანულისმა 3 წუთში 9 ქულას მოუყარა თავი და სხვაობა ოდნავ შემცირდა, მერე კი მასპინძლებმა 13:0 გაქცევა მოაწყვეს და მესამე მეოთხედის ბოლოს **ანდრია ჟიჟიჩის** ზუსტი სროლითა და შარასის ნახევარკაუჭით 62:58 დაწინაურდნენ.

დიდი ომი საფინალო სირენამდე არ დასრულებულა. ლიდერობა ისევ და ისევ ლიტველმა ფენომენმა იტვირთა და 7 ქულით, ბოლო წამებზე ორი ზუსტი საჯარიმოთი და ერთი ფილიგრანული პასით (რომლის მერეც **მაიკლ ბატისტემ** ჩატენვით კინაღამ ფარი ჩამოანგრია) ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

უკიჩის არაზუსტ სამიანამდე, "რომას" შეხვედრის გადარჩენის შანსი კიდევ ჰქონდა, მაგრამ ჰოკინსს ტარებისას ბურთი ევროლიგის მოქმედმა საუკეთესო დამცველმა, **დიმიტრიოს დიამანტიდისმა** მოპარა და მნიშვნელოვანი წამებიც მოიგო. მოკლედ, "პანათინაიკოსმა" მოიგო და სტარტი წარმატებული გამოუვიდა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბერძნებს მომატება მართებთ და შეუძლიათ კიდეც.

რაც შეეხება იასიკიავიჩუსს, მსუბუქად ტრავმირებულმა ლიტველმა მოედანზე მხოლოდ 17 წუთი გაატარა, მაგრამ ამ დროში ექვსივე ჯარიმა ზუსტად შეასრულა და შეხვედრა ერთადერთი შეცდომით დაასრულა. შარასს მატჩის წინა დღეს გამართულ ვარჯიშზე მარჯვენა საჩვენებელი თითი უტკენია, თუმცა მის თამაშს ეს არანაირად არ დაეტყო.

■ ■ ■

ასევე ძლივს გარდატეხა სათავისოდ საშინაო მატჩის მსვლელობა თელ-ავივის "მაკაბიმ", ვისაც ფრანგული "ლე მანის" წინააღმდეგ თამაში უწევდა.

ებრაელთა ვარსკვლავმა, უნივერსალმა **იოთამ ჰალპერინმა** ბოლო 15 წამში სამიანიც ჩააგდო, ჩაჭრაც გააკეთა და ერთი ლამაზი პასიც უძღვნა **ნიკოლა ვუიჩიჩს**, საბოლოოდ კი "მაკაბიმ" 3 ქულით აჯობა "ლე მანს".

ამერიკაში გასამგზავრებლად შემზადებულ ახალგაზრდა ფრანგ **ნიკოლა ბატუმსაც** არა უშავდა, თუმცა მერე და მერე, ამ ყმაწვილმა დაცვაში რამდენიმე შეცდომა დაუშვა და "ჩიკაგო ბულზის" თავკაცის, **სკოტ სქაილზის** ფავორიტიც სკამზე დასვეს.

ძირითადის დასრულებამდე 36 წამით ადრე სტუმრებმა ბურთის ფლობა მოიპოვეს, მაგრამ ჰალპერინმა ჩაჭრა გააკეთა (ბურთი **ნებოიშა ბოგავაცს** აართვა), ორიდან ერთი ჯარიმა გამოიყენა და შეხვედრის საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

**ზურაბ თალაკვაძე**


არისი-უნიკახა

### A ჯგუფი

**პროკომი-ცსკა 69:88**

16:13, 16:32, 18:24, 19:19

**პროკომი:** გუროვიჩი (25 ქ. 4 მ), ვაგნერი (10 ქ), სლანინა (10 ქ), ვან დენ სპიგელი (6 ქ. 4 მ).

**ცსკა:** სმოდიში (18 ქ. 7 მ), ზისისი (15 ქ), შიშკაუსკასი (13 ქ), ანდერსენი (10 ქ. 5 მ), პაპალუკასი (8 ქ. 8 პ).

**ვირტუსი-ჟალგირისი 81:75**

19:21, 18:18, 20:22, 24:14

**ვირტუსი:** ანდერსონი (28 ქ. 3 მ), კონროი (11 ქ), ჯოვანიონი ( ქ. 5 მ. 4 ჩ).

**ჟალგირისი:** იანკუნასი (15 ქ), მაციულისი (12 ქ. 4 მ), კოლინზი (11 ქ. 9 მ. 3 პ), მ. პოპოვიჩი (9 ქ).

**მონტეპასკი-ოლიმპია 80:52**

20:18, 30:8, 9:15, 21:11

**მონტეპასკი:** კაუკენასი (22 ქ. 5 მ. 3 პ. 3 ჩ), კ. ლავრინოვიჩი (21 ქ. 6 მ. 2 დ), მაკინტაირი (12 ქ. 7 პ. 6 ჩ).

**ოლიმპია:** მილიჩი (16 ქ. 6 მ), უკიჩი (14 ქ. 6 მ. 4 ჩ), დრაგიჩი (6 ქ. 5 მ. 4 პ. 3 ჩ).

**ოლიმპიაკოსი-ტაუ 95:90**

26:20, 29:17, 15:28, 25:25

**ოლიმპიაკოსი:** მაციაუსკასი (21 ქ. 7 ჩ), მ. ჯექსონი (21 ქ), ლ. გრირი (20 ქ), კ. ვუდსი (19 ქ), ბურუსისი (10 ქ. 11 მ).

**ტაუ:** პლანინიჩი (19 ქ. 4 მ. 3 პ), ტელეტოვიჩი (19 ქ. 17 მ), სპლიტერი (11 ქ. 7 მ. 3 პ), რაკოჩევიჩი (10 ქ. 3 მ. 3 პ), პრიჯონი (8 ქ. 5 მ. 5 პ).

### B ჯგუფი

**არისი-უნიკახა 87:83**

24:23, 16:16, 19:26, 28:18

**არისი:** მასეი (20 ქ. 8 მ), ტერი (18 ქ. 3 მ. 3 ჩ), რაიტი (13 ქ), ცალდარისი (11 ქ), მოტოლა (9 ქ. 3 მ).

**უნიკახა:** კუსი (17 ქ), ნდონგი (16 ქ. 9 მ), ჰეისლიპი (12 ქ), კაბეზასი (10 ქ), ბ. როდრიგესი (7 ქ).

**არმანი-ლიეტუვოს რიტასი 76:83**

16:26, 13:18, 22:17, 25:22

**არმანი:** გეინსი (22 ქ), ბულერი (13 ქ. 3 მ. 3 პ), სესეი (11 ქ. 4 მ. 2 პ), ვუკჩევიჩი (11 ქ), უოტსონი (8 ქ. 8 მ).

**ლიტუვოს რიტასი:** პეტრავიჩუსი (28 ქ. 8 მ. 3 ჩ), პრაისე (15 ქ), ლუკაუსკისი (13 ქ), ბაირამოვიჩი (9 ქ. 6 მ).

**მაკაბი-ლე მანი 74:71**

25:23, 16:19, 15:20, 18:9

**მაკაბი:** ჰალპერინი (18 ქ. 9 პ. 6 მ. 3 ჩ), ვუიჩიჩი (14 ქ. 6 მ. 6 პ. 2 ჩ), ბლუტენტალი (12 ქ), შარპი (11 ქ. 3 ჩ).

**ლე მანი:** კლენსი (20 ქ. 8 მ. 3 ჩ), ბოგავაცი (12 ქ. 3 ჩ), ბოგდანოვიჩი (10 ქ), ბატუმი (9 ქ. 6 ჩ. 5 პ), კოფი (8 ქ. 11 მ).

**ბამბერგი-რუანი 61:64**

10:19, 15:10, 14:21, 22:14

**ბამბერგი:** ოკულაჯა (17 ქ. 7 მ. 2 ჩ), დ. გრინი (13 ქ), ჰამანი (11 ქ).

**რუანი:** ბ. რაში (21 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ), სალიერსი (14 ქ. 7 მ), ბადიანე (9 ქ. 11 მ).

### C ჯგუფი

**ციბონა-ეფესი 93:85**

21:28, 26:26, 28:16, 18:15

**ციბონა:** ანდრიჩი (19 ქ. 4 მ), აიუსო (17 ქ. 4 მ. 3 პ. 3 ჩ), უორენი (14 ქ. 5 მ), კელი (14 ქ. 5 პ), როჟიჩი (11 ქ).

**ეფესი:** ჰატსონი (18 ქ. 7 მ), ერდოგანი (14 ქ), გრეგორი (13 ქ), ნიკოლასი (13 ქ), ვუდსი (9 ქ. 5 მ. 3 პ. 3 ჩ).

**პანათინაიკოსი-რომა 86:83**

20:26, 15:19, 27:13, 24:25

**პანათინაიკოსი:** სპანულისი (15 ქ. 6 მ. 3 პ), დიამანტიდისი (14 ქ. 3 მ. 3 პ), იასიკიავიჩუსი (11 ქ), ბატისტე (10 ქ), ბეჩიროვიჩი (9 ქ).

**რომა:** სტეფანსონი (25 ქ. 3 მ. 3 ჩ), ე. ლორბეკი (18 ქ. 5 მ. 3 დ), ჰოკინსი (14 ქ. 5 მ), ფუჩკა (6 ქ. 5 მ).

**პარტიზანი-ბარსელონა 81:78**

15:20, 27:21, 20:13, 19:24

**პარტიზანი:** პეკოვიჩი (29 ქ. 8 მ), ტეპიჩი (14 ქ. 4 მ), პალასიო (13 ქ. 4 პ), ვიტკოვაჩი (12 ქ. 7 მ).

**ბარსელონა:** ლაკოვიჩი (21 ქ. 4 პ), კასუნი (13 ქ), ვასკესი (10 ქ), პ. სანჩესი (7 ქ. 9 პ. 4 მ. 3 ჩ).

**ფენერბახჩე-რეალი 72:80**

10:30, 21:18, 26:20, 15:12

**ფენერბახჩე:** თურქჯანი (18 ქ. 10 მ. 3 პ), კაანი (17 ქ), ქუთლუაი (14 ქ), ვიდმარი (9 ქ).

**რეალი:** ჰერველი (23 ქ. 8 მ. 3 პ), ჩ. სმიტი (17 ქ), მუმბრუ (10 ქ. 4 მ. 4 პ), პაპადოპულოსი (6 ქ. 4 ჩ).

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ტამპა ბეი-ფილადელფია 5:2**

2:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ჯ. უორდი-2 (კუბა-4, ჰლავაჩი-1), 2:0 ბ. რიჩარდსი-4 (გრეტონი-2, ჰლავაჩი-2), 2:1 ჯ. კარტერი-6, 3:1 პროსპალი-8 (ბ. რიჩარდსი-6, ლეკავალიე-5), 3:2 ნუბლი-3, 4:2 ულეტი-1, 5:2 ბ. რიჩარდსი-5 (ჰლავაჩი-3, რეინჯერი-8).

**ბოსტონი-ჩიკაგო 3:1**

0:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 კესელი-4, 1:1 ტოევზი-4 (ლანგი-4, ჯეისონ უილიამსი-5), 2:1 კესელი-5 (ფერენსი-3), 3:1 მეტროპოლიტი-1 (აქსელსონი-3, ა. უორდი-1).

**ლოს ანჯელესი-დალასი 2:1**

0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ი. ლეჰტინენი-2 (მოროუ-3, რიბეირო-5), 1:1 უილსი-1 (კამალერი-3, კალდერი-2), 2:1 ფროლოვი-3 (დ. არმსტრონგი-5, რ. ბლეიკი-4).

**კოლამბუსი-სენტ ლუისი 3:0**

0:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ბოლი-2 (ნოვოტნი-3), 2:0 ნეში-8 (ჰეინსი-4, ვიბორნი-4), 3:0 ნოვოტნი-4.

**პიტსბურგი-ტორონტო 2:5**

1:0, 0:1, 1:4

**გოლები:** 1:0 კროსბი-3 (მალკინი-6, რეკი-6), 1:1 ა. სტინი-2 (ანტროპოვი-6, სტაიანი-5), 1:2 ტლუშტი-1 (ა. სტინი-6, კუბინა-6), 1:3 ტლუშტი-2 (კუბინა-7, ტოსკალა-1), 1:4 ტ. კაბერლე-4 (ა. სტინი-7, სუნდინი-12), 1:5 დევერო-1 (ანტროპოვი-7), 2:5 გონჩარი-2 (კროსბი-9, მალკინი-7).

**ნეშვილი-ატლანტა 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 სმიტსონი-1 (ლეგვანდი-3, ზენონი-1), 2:0 ტუტუ-2 (კლაინი-1, ორტმაიერი-2), 3:0 ნიკოლი-1 (ლეგვანდი-4, ტუტუ-2).

**ედმონტონი-მინესოტა 5:4 (ბ)**

2:0, 1:2, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 პორკოფი-3 (შმიდი-1, ტორესი-1), 2:0 ჰემსკი-1 (ტორესი-2, პორკოფი-5), 2:1 შეპარდი-1 (რადივოევიჩი-4, სკოულა-1), 3:1 პორკოფი-4 (გრებეშკოვი-1, ტორესი-3), 3:2 ბუშარი-3 (მულტცი-3, მ. კოივუ-4), 3:3 როლსტონი-5 (ბელანჟე-5, ბუშარი-7), 4:3 ჰემსკი-2 (პორკოფი-6, პენერი-3), 4:4 პერიში-4 (ვალცი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** ნუმელინი (მინესოტა), სემ განიე (ედმონტონი), ჰემსკი (ედმონტონი)

**რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 დაევსი-1 (შენეჰანი-2), 2:0 დაევსი-2 (პრუხა-1, დუბინსკი-1).

**ანაჰაიმი-ფინიქსი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ველერი-1 (ნ. კაპანენი-4)

მსოფლიო თასი

# სეზონი გიგანტური სლალომით გაიხსნება

დღეს, ავსტრიის სამთო კურორტ ზოლდენში სტარტს აიღებს სამთო თხილამურობაში მსოფლიო თასის გათამაშება - ქალი სამთო მოთხილამურეები ერთმანეთს გიგანტურ სლალომში შეეჯიბრებიან, ხვალ კი იქვე მამაკაცები იმავე დისციპლინაში იასპარეზებენ.

სეზონის დაწყებამდე, მასმედიის მთავარი თემა აშშ-ის ნაკრებიდან საუკეთესო ამერიკელის, **ბოდე მილერის** გამოსვლაა, რომელმაც ვერ აიტანა ქვეყნის ნაკრების მძიმე რეჟიმი და თავისუფლება ითხოვა, რაზეც ნაკრების ხელმძღვანელობისგან თანხმობა მიიღო.

მთავარი ფაქტორი, რის გამოც მილერისა და აშშ-ის ნაკრების გზები გაიყარა, მოთხილამურის აკვიატებაა - ევროპულ ეტაპებზე ის ყოველთვის საკუთარ მობილურ ბინაში ცხოვრობს, რომელსაც ეტაპიდან ეტაპამდე ავტომობილით გადააადგილებს. ნაკრების ხელმძღვანელობამ მას ნაკრების წევრებთან ერთად, სასტუმროებში ცხოვრება მოსთხოვა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. გარდა ამისა, ნაკრებში არც მილერის ღამეული ორგიები მოსდიოდათ თვალში.

გასული სეზონი მილერმა ნაკრების რეჟიმში გაატარა, მაგრამ მეტად უკმაყოფილო დარჩა. ის შანსს არ უშვებდა ხელიდან, რომ აშშ-ის ნაკრები ამ აკვიატების გამო გაეკრიტიკებინა. თანაც, თავის არასტაბილურობასაც ამ აკვიატებას აბრალებდა. ახლა ის კვლავ თავის, ბორბლებზე განლაგებულ საცხოვრებელში გადავა და საინტერესოა, იმოქმედებს თუ არა ეს მის შედეგებზე.

*"ახლა უკვე 30 წლის ვარ და ძალიან მინდა, სეზონი საკუთარი გეგმის მიხედვით გავატარო და არა ვინმეს კარნახით. მინდა, რბოლებს შორის დრო ისე გამოვიყენო, რომ რომ შემდეგ რბოლების მოგება შევძლო. სხვებზე უკეთ ვიცი, დასვენების დროს რისი კეთება გამომადგება ყველაზე მეტად"*, - შვეიცარიულ "ტაგეს-ანცაიგერთან" საუბრისას განაცხადა მილერმა, ვისაც მსოფლიო თასზე მონაწილეობისთვის, ხუთკაციანი გუნდის შენახვის გარდა, სამგზავრო და სხვა ხარჯების საკუთარი ჯიბიდან გაღება მოუწევს.

მიუხედავად იმისა, რომ არასტაბილური იყო, შარშან მილერმა ოთხი რბოლის მოგება მაინც მოახერხა და მსოფლიო თასის აბსოლუტურ ჩათვლაში მეოთხე ადგილი დაიკავა. მაგრამ ამჯერად, ის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი იქნება. ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნია ბროლის დიდი გლობუსის შარშანდელ მფლობელს, ნორვეგიელ **აქსელ ლუნდ სვინდალს**.

*"როგორც ჩანს, ბოდე ძალიან მონდომებულია. სეზონისთვის ის თავდაუზოგავად ემზადებოდა. ასეც რომ არ იყოს, მისი ჩამოწერა არანაირად არ შეიძლება, რადგან ის არნახულად ნიჭიერი მოთხილამურეა და თუ სმასაც უკლებს, გარწმუნებთ, ადრინდელზე ბევრად უკეთესი გახდება"*, - ამბობს 24 წლის სვინდალი.

რა თქმა უნდა, თავად ნორვეგიელიც ფავორიტთა სიაშია. მით უმეტეს, რომ ახალი სეზონისთვის ისიც ენთუზიაზმით ემზადებოდა და იმედოვნებს, რომ დიდი გლობუსის შენარჩუნებას შეძლებს. თუმცა, მილერის გარდა, ამისთვის მას ავსტრიელი **ბენიამინ რაიხისგანაც** მოუწევს კონკურენციის გაძლება. ეს სვინდალამდე ფლობდა დიდ გლობუსს, შარშან კი აბსოლუტურ ჩათვლაში მეორე ადგილს დასჯერდა. თუმცა, ახლა იმედოვნებს, რომ ტიტულს დაიბრუნებს. იგივე ამბიციები აქვს შარშან მესამეზე (აბსოლუტურში) გასულ შვეიცარიელ **დიდიე კუშეს**.

თუ კაცებში ფავორიტებს შორის ერთი ავსტრიელია, ქალებში ჯერაც ავსტრიელები დომინირებენ. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო გასულ სეზონში, როცა ასტრიელებმა 38-დან 23 ეტაპი მოიგეს და კვარცხლბეკზე 54 ადგილი დაიკავეს. რაც მთავარია, ავსტრიელებმა ხუთივე ინდივიდუალურ დისციპლინაში ბროლის მცირე გლობუსები მოიპოვეს. აბსოლუტურში კი გამარჯვება **ნიკოლ ჰოსპმა** მოიპოვა.

ჰოსპი ამჯერადაც მთავარი ფავორიტი იქნება. ავსტრიელთაგან მასთან კონკურენცია ყველაზე მეტად **მარლის შილდს** გამოუვა. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი შვედი **ანია პერსონიც** უნდა იყოს, ვისაც შარშანდელი სეზონის პირველი ნაწილი იმის გამო გაუცდა, რომ სეზონის წინ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და სეზონისთვის კარგად მომზადება ვერ მოასწრო.

მართალია, პერსონმა მსოფლიო თასზე გლობუსებისთვის ვერ იბრძოლა, მაგრამ სამაგიეროდ, მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს სამ მედალს დაეუფლა და ყველას დაანახა, რომ როცა სრულფასოვნად დაბრუნდება (ეს კი ახალ სეზონში უნდა მოხდეს), აბსოლუტურში გამარჯვებისთვის აუცილებლად იბრძოლებს.

ზემოთ ნახსენები ორი ავსტრიელისა და ერთი შვედის გარდა, კარგ შედეგებს უნდა ველოდოთ ორი ამერიკელის - **ჯულია მანკუზოსა და ლინდსი ვონისგანაც**. სამთო თხილამურობის მოყვარულთათვის მანკუზო ახალი სახელი არაა, ვონი კი ბევრისთვის ახალი ხილია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ გვარს გათხოვების შემდეგ **ლინდსი კილდოუ** ატარებს, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

კილდოუმ გასულ სეზონში კვარცხლბეკზე ადგილი რვაჯერ დაიკავა, კარიერაში კი მსოფლიო თასის შვიდი ეტაპი აქვს მოგებული. შვედეთის ორეში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე კი მან ვერცხლის ორი მედალი მოიპოვა. ახალი სეზონის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ის ყოფილ თანაგუნდელ **თომას ვონზე** გათხოვილა და გვარიც შეუცვლია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



აქსელ ლუნდ სვინდალი და ნიკოლ ჰოსპი

## 27 ოქტომბერი. შაბათი

### იმედი

13:00 იმედის ფსონი.

### I არხი

15:05 რაგბი. საქართველოს თასი. ფინალი (LIVE).

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

11:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მონაკო.
14:50 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
15:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. III ტური. მილანი-შახტარი.
17:25 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
19:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-მიდლსბრო.
21:55 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ფეიენოორდი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

07:30 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩეხეთი.
08:27 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
08:58 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:11 რეტრო-ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. 1978 წელი. ინგლისი-ბრაზილია.
11:00 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი. ფლეი ოფი.
12:48 ფეხბურთი. Barca TV.
12:57 სპორტის სამყარო.
13:30 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. სინგაპური (LIVE).
15:33 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
15:55 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩეხეთი.
16:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
17:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი (LIVE).
19:42 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-ვესტ ჰემი (LIVE).
22:13 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო (LIVE).
01:00 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
01:29 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
01:56 ფეხბურთი. MLS. აშშ-ის ჩემპიონატი. ფლეი ოფი.
03:44 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
04:11 სპორტის სამყარო.
04:40 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. სინგაპური.

### EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
14:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
14:30 რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ლინცი. ავსტრია.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. ATP-ს ტური. 1/2 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
19:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. სპრინტი. დიუსელდორფი. გერმანია.
20:45 მულტისპორტი.
22:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
22:30 რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია (LIVE).
22:45 პროფესიული კრივი. უკრაინა (LIVE).
01:00 ბრძოლა წესების გარეშე. მსოფლიო გრან-პრი. ფინალი.
02:33 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია (LIVE).
14:00 ახალი ამბები.
14:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური. იზმირი (თურქეთი)-მალიორკა (ესპანეთი).
15:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
16:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. კლასიკური სპრინტი. კაცები და მამაკაცები. დიუსელდორფი. გერმანია (LIVE).
17:30 ტიმბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. გერმანია.
18:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).
18:45 რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია (LIVE).
19:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/2 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).
19:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
20:30 მულტისპორტი.
21:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ნიურნბერგი (გერმანია)-ზვეზდა (რუსეთი) (LIVE).
22:30 დარტსი. მსოფლიო თასი. ფინალი. პოლანდია.
00:00 ექსტრემალური სპორტი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 რალი. IRC-ს სერია. შვეიცარია.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.

## 28 ოქტომბერი. კვირა

### I არხი

15:15 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

### რუსთავი 2

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

11:15 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-მანჩესტერ სიტი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო.
15:15 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვერდერი.
17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ასტონ ვილა (LIVE).
19:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:55 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი (LIVE).
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ალმერია (LIVE).
23:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლიონი (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:10 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.

### SPORT 1 (უკრაინა)

10:38 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ლევერკუზენი.
08:00 სპორტდოსიე. კრიკეტი.
08:27 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. კალგარი-კოლორადო.
10:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
10:38 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ლევერკუზენი.
12:23 ფეხბურთი. Barca TV.
12:31 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
13:30 ცურვა. მსოფლიო თასი. ფინალები. სინგაპური (LIVE).
15:36 ფეხბურთი. ტოტალური კალჩო. სერია A-ს ჟურნალი.
16:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. [illegible] არი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. [illegible] (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ალმერია (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია (LIVE).
02:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ფიორენტინა.
03:49 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ლევერკუზენი.
05:38 სპორტდოსიე. კრიკეტი.
06:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტორინო-კალიარი.

### EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:30 ჩოგბურთი. ATP-ს ტური. 1/2 ფინალი. ბაზელი. შვეიცარია.
13:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. სპრინტი. დიუსელდორფი. გერმანია.
14:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
15:30 ავტოსპორტი. ტურიზმის კლასი. ევროპის თასი. I რბოლა. იტალია (LIVE).
16:30 ჩოგბურთი. ტატიანა გოლოვინი.
16:45 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. ATP-ს ტური. ფინალი. ბაზელი. შვეიცარია (LIVE).
20:30 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. გუნდური სპრინტი. დიუსელდორფი. გერმანია.
22:00 ავტოსპორტი. ტურიზმის კლასი. ევროპის თასი. II რბოლა. იტალია.
22:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
23:15 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
23:30 სუმო.
01:30 პროფესიული კრივი. სუპერმძიმე წონა. ე. პოლიფილდი (აშშ)-ლ. სავარეზე. აშშ.
02:15 პროფესიული კრივი. WBC-ის ვერსია. მჩეტა წონა. ჯ. ვიტერი (ბრიტანეთი)-ვ. პარისი (განა). ბრიტანეთი.
03:00 მულტისპორტი.
03:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
04:15 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
14:00 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ნიურნბერგი (გერმანია)-ზვეზდა (რუსეთი).
15:00 ახალი ამბები.
15:30 მულტისპორტი.
16:15 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
17:15 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
18:15 ავტოსპორტი. ტურიზმის კლასი. ევროპის თასი. II რბოლა. იტალია (LIVE).
19:00 დარტსი. მსოფლიო თასი. ფინალი. პოლანდია.
20:45 ხელბურთი. ჩემპიონთა თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. პოდვარკა (ხორვატია)-რიბაროხა (ესპანეთი) (LIVE).
22:15 ახალი ამბები.
22:30 კალათბურთი.
00:00 მულტისპორტი.
00:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ავტოსპორტი. ტურიზმის კლასი. ევროპის თასი. I რბოლა. იტალია.
02:45 ავტოსპორტი. ტურიზმის კლასი. ევროპის თასი. II რბოლა. იტალია.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ტრანმერი-ჰადერსფილდი | 3:0 |
| **გერმანია** | |
| აინტრახტი-ჰანოვერი | 0:0 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ალემანია-ჰოფენჰაიმი | 2:2 |
| ფიურტი-ბორუსია (მ) | 1:3 |
| მაინცი-აუგსბურგი | 1:1 |
| მიუნხენი-ოფენბახი | 3:0 |
| სტ. პაული-ვეენი | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ალენი-დორტმუნდი A | 1:1 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| როიტლინგენი-ელვერსბერგი | 4:0 |
| ზანდჰაუზენი-ზიგენი | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ბასტია | 1:3 |
| ამიენი-შატორუ | 1:2 |
| ანჟერსი-ჰავრი | 1:2 |
| ბულონი-გენიონი | 0:0 |
| დიჟონი-ლიბურნი | 3:1 |
| გინგამი-ბრესტი | 1:0 |
| მონპელიე-კლერმონი | 2:3 |
| სედანი-რეიმსი | 2:1 |
| ტრუა-გრენობლი | 2:2 |
| **ბელგია** | |
| გენტი-მონსი | 2:0 |
| **პორტუგალია** | |
| გიმარაეში-ლეირია | 2:1 |
| **თურქეთი** | |
| კაისერი-ტრაბზონი | 1:0 |
| **ჰოლანდია** | |
| ვიტესი-ვილემი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-მაასტრიხტი | 0:1 |
| დენ ბოში-დორდრეხტი | 2:1 |
| ეინდჰოვენი II-ტოპ ოსი | 4:2 |
| ომნივორლდი-აპელდორნი | 5:0 |
| ცვოლე-ჰელმონდი | 1:1 |
| ფორტუნა-ვაალვიკი | 1:1 |
| ჰაარლემი-იგლზი | 0:1 |
| როსენდალი-ტელსტარი | 2:0 |
| ვეენდამი-ემენი | 3:1 |
| **ავსტრია** | |
| რაპიდი-ლინცერი | 4:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია (ლ)-შვანენშტადტი | 3:2 |
| ავსტრია II-ლუსტენაუ | 0:1 |
| კერნტენი-შვადორფი | 0:2 |
| ლეობენი-გრატკორნი | 2:3 |
| ზალცბურგი II-ბად ოსი | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ვოსაუ-ვინტერტური | 2:1 |
| **ირლანდია** | |
| გალვეი-დერი | *შეწყდა* 0:0 |
| უოტერფორდი-დროგედა | 1:1 |
| **ირლანდიის თასი** | |
| ბოჰემიანსი-კორკი | 0:2 |
| **უკრაინა** | |
| ჩერნომორეცი-კარპატი | 4:0 |
| **პოლონეთი** | |
| ბელხატოვი-ლკს | 1:0 |
| ლეხი-კრაკოვია | 3:1 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| პო ორტეზი-ვილერბანი | 60:104 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| ამური-ხიმიკი | 1:8 |
| მეტალურგი (ნ)-აკ ბარსი | 4:6 |
| ავანგარდი-ლოკომოტივი | 4:2 |
| სიბირი-ნეფტეხიმიკი | 2:2 პენ. 2:3 |
| ვიტიაზი-სკა | 2:3 |
| დინამო-ტორპედო | 3:1 |
| სპარტაკი-სევერსტალი | 2:4 |
| მვდ-ცსკა | 3:3 პენ. 4:3 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-კრეფელდი | 3:2 |
| აუგსბურგი-ჰანოვერი | 3:5 |
| დუისბურგი-ვოლფსბურგი | 4:4 |
| დიუსელდორფი-შტრაუბინგი | 7:1 |
| ინგოლშტადტი-კიოლნი | 4:4 |
| ნიურნბერგი-ჰამბურგი | 1:3 |
| ფრანკფურტი-მანჰაიმი | 5:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-სლოვაკეთი (ახ) | 4:0 |
| კეჟმაროკი-მიკულაში | 3:4 |
| კოშიცე-პოპრადი | 6:1 |
| სკალიცა-ჟილინა | 3:1 |
| ტრენჩინი-მარტინი | 5:3 |
| სლოვანი-ნიტრა | 5:3 |
| **ფინეთი** | |
| იუვიასკიულა-იოკერიტი | 1:1 ო.ბ. 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ტრშინეცი-ლიტვინოვი | 2:2 პენ. 3:2 |
| ზნოიმო-ზლინი | 4:1 |
| კლადნო-პლზენი | 6:3 |
| სლოვანი-ვიტკოვიცე | 1:4 |
| კარლოვი ვარი-სლავია | 4:0 |
| ლიბერეცი-სპარტა | 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| ბაზელი-კლოტენი | 4:5 |
| ლუგანო-ციურიხი | 1:2 |
| ფრიბურგი-ტაიგერსი | 2:5 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ბაზელი** | |
| გონსალესი-ნიემინენი | 3:6, 5:7 |
| მატიო-ბალდატისი | 2:6, 6:7 |
| ფედერერი-კიფერი | 6:3, 6:2 |
| ბერდიხი-კარლოვიჩი | 7:6, 6:7, 6:7 |
| **ATP. ლიონი** | |
| ჟიკელი-ჰარტფილდი | 7:5, 6:3 |
| ცონგა-ო. როხუსი | 6:3, 6:2 |
| ლუბიჩიჩი-ფალა | 5:7, 7:6, 5:7 |
| **ATP. სტ. პეტერბურგი** | |
| ვერდასკო-სტარაჩე | 6:3, 6:4 |
| იუჟნი-კოლშრაიბერი | 6:4, 6:0 |
| მიურეი-ტურსუნოვი | 3:6, 7:6, 6:4 |
| გულბისი-ჩილიჩი | 4:6, 4:6 |
| **WTA. ლინცი** | |
| ჰანტუხოვა-ა. ბონდარენკო | 6:4, 1:6, 6:3 |
| ჩაკვეტაძე-შნიდერი | 1:6, 0:6 |
| ბარტოლი-ვაკულენკო | 6:1, 1:6, 6:4 |

## სხვადასხვა

ფრენბურთი

### გარდინიმ მწვრთნელობა დაიწყო

ცნობილი იტალიელი ფრენბურთელი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ანდრეა გარდინი** იტალიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში შეიყვანეს. "სკუადრა აძურას" ყოფილი კაპიტანი ქვეყნის პირველი გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელის, **ანდრეა ანასტაზის** თანაშემწე იქნება.

ბოლო დროს, იტალიის 90-იანი წლების ლეგენდარული ნაკრების წევრები სერიოზულ სამწვრთნელო შემოთავაზებებს იღებენ. ასე მაგალითად, **მარკო ბრაჩი** იტალიის ქალთა ნაკრებში **მასიმო ბარბოლინისთან** ერთად მუშაობს. ამ დუეტმა ეს გუნდი 2007 წელს ევროპის ჩემპიონი გახადა. წარსულში კიდევ ერთი ცნობილი ფრენბურთელი **ანდრეა ჯანი**, ამ სეზონიდან ქვეყნის ერთ-ერთ ტიტულოვან გუნდს, "მოდენას" ჩაუდგა სათავეში.

### ლიმიტი ლეგიონერებზე

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ უახლოეს ხანში მამაკაცთა და ქალთა საკლუბო ევროტურნირებში ლეგიონერებზე მკაცრი ლიმიტი დაწესდება. სხვათა შორის, ეს წესი ეროვნულ ჩემპიონატებზეც გავრცელდება.

თითოეული გუნდის განაცხადში მაქსიმუმ სამი ლეგიონერი უნდა ირიცხებოდეს, ხოლო მოედანზე, ერთდროულად ორ უცხოელ მოთამაშეს შეუძლია ყოფნა.

ეს ახალი და მკაცრი წესი, ყველაზე მეტად იტალიის სერია A-ს გუნდებს დააზარალებს. იქ, პრაქტიკულად, არ არსებობს ლეგიონერებზე ლიმიტი და იტალიურ კლუბებს მთლიანად მოუწევთ სასელექციო პოლიტიკის შეცვლა.

თხილამურებით სირბილი

### გერმანელები ფავორიტის გარეშე დარჩნენ

ამ უიქ ენდზე თხილამურებით სირბილში ახალი სეზონი იწყება. გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში მსოფლიო თასის პირველი ეტაპი გაიმართება.

შაბათს, სტარტზე გასვლას ვერ შეძლებს 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონი და 2005 წლის მსოფლიო თასის მფლობელი, გერმანელი **აქსელ ტაიხმანი**, რომელიც გრიპის გამო ტოვებს სეზონის სტარტს.

დიუსელდორფის ეტაპზე მედლები მხოლოდ სპრინტში გათამაშდება. პროგრამაშია ქალებსა და მამაკაცებს შორის პირადი რბოლა და გუნდური ესტაფეტა.

ჰოკეი

### მინესოტამ ბარნსი გაიფორმა

"მინესოტა უაილდმა" ოთხი წლით გაუგრძელა კონტრაქტი მცველ **ბრენტ ბარნსს**.

მინესოტელებმა 22 წლის ჰოკეისტი 2003 წლის დრაფტზე მე-20 ნომრად აირჩიეს. ბერნსმა წლევანდელ ჩემპიონატში 9 მატჩი ჩაატარა და 4 ქულა (3 გოლი+1 შედეგიანი პასი) დააგროვა. მცველის ნაყოფიერების კოეფიციენტი პლუს ექვსს უდრის.

### დრეიპერი დეტროიტში რჩება

გუშინ, კიდევ ერთმა ჰოკეისტმა შეძლო თავის გუნდში ადგილის შენარჩუნება. ეს გახლავთ "დეტროიტ რედ უინგზის" ვეტერანი **კრის დრეიპერი**, რომელიც "წითელი ფრთების" რიგებში 2009-10 წლების სეზონის ბოლომდე დარჩება.

36 წლის დრეიპერი დაცვითი თვისებების მქონე ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია. ის უკვე 13 სეზონია თამაშობს "რედ უინგზში" და ამ ხნის განმავლობაში სამჯერ მოიგო სტენლის თასი, ხოლო 2004 წელს "სელკე ტროფი" მიიღო, როგორც სეზონის დაცვითი სტილის საუკეთესო ფორვარდმა.

ამ სეზონში, დრეიპერს 10 მატჩში 5 გოლი აქვს გატანილი.

### სუპერმარიო 21 მილიონს მიიღებს

"პიტსბურგ პინგვინზის" თანამფლობელი მარიო ლემიე 21 მილიონი დოლარით გამდიდრდება. ეს ის თანხაა, ლეგენდარულმა ჰოკეისტმა 1998 წელს, "პინგვინების" გაკოტრების გამო რომ ვერ მიიღო.

*"როგორც იქნა, მარიო იმ ფულს მიიღებს, რომელიც მას კონტრაქტის მიხედვით ეკუთვნოდა. ის ხელშეკრულება 1992 წელს იყო გაფორმებული"*, - განაცხადა კლუბის პრეს-მდივანმა.

21 მილიონი დავალიანების ნაწილია, სულ კი, სუპერმარიოს 32 მილიონი დოლარი ერგება.

მთის თხილამურები

### მილერი სეზონის სტარტს გამოტოვებს?

სავარაუდოდ, სეზონის პირველი ეტაპის გამოტოვება მოუწევს ამერიკელ სამთო მოთხილამურეს **ბოდე მილერს**. სეზონი კვირას, ავსტრიის კურორტ ზელდენში იწყება.

2005 წლის მსოფლიო თასის მფლობელს ზურგის ტრავმა აწუხებს და როგორც ვარაუდობენ, ის კვირისთვის გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს. ამის შესახებ სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში მილერის მწვრთნელმა **ჯონ მაკბრაიდმა** გამოაცხადა.

*"ამ კვირას ბოდე საერთოდ არ გასულა ტრასაზე. ის შეეცდება შაბათს დადგეს თხილამურებზე და თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, კვირას ეტაპში მიიღებს მონაწილეობას, თუმცა ამის ალბათობა ნაკლებია"*, - ამბობს მაკბრაიდი.

ჩოგბურთი

### გასკემ ტრავმა მიიღო

ლიონის ტურნირის მეორე წრეში თანამემამულე **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან** ნაგების შემდეგ, ფრანგმა **რიშარ გასკემ** მუხლის ტრავმის გამო დაიჩივლა და განაცხადა, რომ სავარაუდოდ, ის მონაწილეობას ვერ მიიღებს პარიზის მასტერსში, რომელიც ერთი კვირის შემდეგ, "ბერსის" დარბაზში დაიწყება.

ცონგასთან ნაგების შემდეგ, ფრანგმა ჩოგბურთელმა თითქმის აღარ დაიტოვა წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოხვედრის შანსი.

### ჩოგბურთში კორუფცია ყოველთვის იქნება

ბრიტანელი ბუკმეიკერები გამოეხმაურნენ იმ სკანდალს, რომელიც ბოლო დროს ჩოგბურთში ჩაწყობილი თამაშების გარშემო აგორდა. ტოტალიზატორების თანამშრომლები ხმამაღლა აცხადებენ, რომ ასეთი მატჩები ჩოგბურთში მუდმივად იარსებებს.

*"მაყურებლის მოტყუების ხერხი ყოველთვის მოიძებნება. რა არ ვცადეთ ამ სენის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ისინი ყოველთვის რაღაც ახალს იგონებენ"*, - ამბობს ცნობილი საბუკმეიკერო კანტორის "უილიამ ჰილის" წარმომადგენელი **გრემ შარპი**.

მსოფლიოში ჩოგბურთის ოთხი მთავარი ორგანიზაცია - ATP, WTA, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია და "დიდ სლემის" ტურნირების აღმასრულებელი კომიტეტი, ბოლო პერიოდში ერთობლივი ძალებით ებრძვის ამ პრობლემას, მაგრამ დიდ ჩოგბურთში კორუფციის საკითხი კვლავაც აქტუალური რჩება.

## ჩოგბურთი



ფედერერი ნახევარფინალშია

ტურნირები

# სიზარმაცის ფასი

ევროპის ოთხ ქალაქში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირებმა ნახევარფინალებს განსაკუთრებული სენსაციების გარეშე მიაღწია. ერთადერთი მოულოდნელობა იყო სანკტ პეტერბურგის ტურნირის მეორე წრეში, რუსი **ნიკოლაი დავიდენკოს** მარცხი საკვალიფიკაციო ეტაპგამოვლილ ხორვატ **მარინ ჩილიჩთან**.

პირველი სეტის მოგების შემდეგ, რუსმა ზედიზედ ორი წააგო. თანაც, თუ მეორეში გაბრძოლება სცადა, მესამეში ხელიც არ გაუნძრევია. ჰოდა, ამის გულისთვის 2000 დოლარით დააჯარიმეს. ერთი შეხედვით, თითქოს რატომ უნდა დაეჯარიმებინათ. მაგრამ ალბათ იცით, რომ ზოგიერთი ჩოგბურთელი ტოტალიზატორებში ფსონების შეტანითაც "ერთობა". ჰოდა, ამის აღსაკვეთად, საერთაშორისო ჩოგბურთის მესვეურებმა ჯარიმები შემოიღეს. ესაოდა, ჯიბის შეთხელებით, ჩოგბურთელებს უკანონო თამაშში ხელს შეუშლითო.

ასეა თუ ისე, დავიდენკომ ბოლო ორ სეტში ათი ორმაგი შეცდომა დაუშვა. ამასთან, მეორე წრეში მას მსაჯმა აშკარად მონდომების გარეშე თამაშის გამო გაფრთხილება მისცა.

*"მესამე სეტში ორმაგი შეცდომა დავუშვი და ამის გამო, ერთი გეიმი დავთმე, რის გამოც, მსაჯმა გაფრთხილება მომცა - შეგნებულად ნუ აგებო. ამან გამაოცა. საიდან მოიტანა, რომ ასე ვფიქრობდი? კინაღამ ტირილი დავიწყე. ბუნებრივია, ამან ჩემს ფსიქოლოგიურ განწყობაზე უარყოფითად იმოქმედა და თამაშიც წავაგე. არადა, ყველაფრის მიზეზი ის იყო, რომ მეორე სეტის მიწურულს საშინელი დაღლა ვიგრძენი, ფეხები აღარ მემორჩილებოდა"*, - თავს იმართლებს დავიდენკო, ვისაც ჩილიჩთან პირველი შეხვედრაც წაგებული აქვს (ამ სეზონში, ჩინეთის ლიაზე).

შვეიცარიის ქალაქ ბაზელში მიმდინარე ტურნირზე კი ნახევარფინალის საგზური მოიპოვა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**. მეოთხედფინალში მან ორ სეტში დაამარცხა გერმანელი **ნიკოლას კიფერი**. ტურნირის შარშანდელმა ჩემპიონმა კიფერთან შეხვედრა ზედიზედ სამი გეიმის მოგებით დაიწყო. თითქოს, იოლი გამარჯვება გარანტირებული უნდა ჰქონოდა, მაგრამ კიფერმა გაიბრძოლა და მომდევნო ორი გეიმის მოგება შეძლო, რასაც მეტწილად ბადესთან ხშირი და შედეგიანი გასვლებით მიაღწია. მაგრამ ფედერერმა უმალ აულო მეტოქეს ალღო და ხაზიდან აგრესიული და ზუსტი თამაშის წყალობით, მალევე კიდევ ერთხელ შეძლო მისი სერვის-გეიმის მოგება.

მეორე სეტიც პირველის მსგავსად დაიწყო - ფედერერმა პირველივე გეიმში შეძლო ბრეიკის მოპოვება. კიფერმა, ვისაც როჯერთან ბოლო რვა თამაში წაგებული აქვს, კვლავ გაიბრძოლა და თავისი მეტოქის მომდევნო ორ სერვის-გეიმზე სამი ბრეიკ პოინტი მიიღო, მაგრამ ვერცერთი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, როცა მომდევნო გეიმშივე ფედერერმა ზედიზედ სამი ქულა აიღო და სამმაგი ბრეიკ პოინტი მოიპოვა, ის პირველივე ცდაზე ქულად აქცია და უპირატესობაც განიმტკიცა.

გამარჯვების მიუხედავად, შეხვედრის შემდეგ ფედერერი ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ჩანდა - ერთადერთი ეისის მეტი ვერ შევძელი, რაც აშკარად მეტყველებს, რომ მოწოდება დასახვეწი მაქვსო. სხვა მხრივ, ხაზიდან საკუთარი თამაში მოიწონა და იმედი გამოთქვა, რომ ტურნირის ბოლომდე ასე გააგრძელებს.

**ATP**

**შვეიცარიის დავიდოფის ჟერქვეშა**
ბაზელი (შვეიცარია). ხალიჩა
საპრიზო ფონდი: 850 250 ევრო

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 6:1, 6:4; **ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 2)**-როკო კარანუშიჩი (ხორვ) 6:4, 7:6(5); **ივო კარლოვიჩი (ხორვ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 4) 4:6, 7:6(4), 6:4; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 5)**-სტანისლას ვავრინკა (შვეი) 7:5, 6:4; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-გილერმო კანიასი (არგ 6) 6:4, 3:6, 7:5; **პოლ-ანრი მატიე (საფ, 8)**-ანდრეი გოლუბევი (რუს) 6:7(7), 6:4, 6:1; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-აგუსტინ კალერი (არგ) 6:7(1), 6:3, 6:3; **ნიკოლას კიფერი (გერ)**-შტეფან კუბეკი (ავსტ) 6:3, 6:2

**1/4 ფინალი**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:3, 6:2; **იარკო ნიემინენი (ფინ)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 2) 6:3, 7:5; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-პოლ-ანრი მატიე (საფ, 8) 6:2, 7:6(5)

**ლიონის დიდი პრიზი**
ლიონი (საფრანგეთი). ჟერქვეშა ხალიჩა
საპრიზო ფონდი: 680 250 ევრო

**მეორე წრე**

**ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ)**-რიშარ გასკე (საფ, 4) 6:4, 6:4; **ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 5)**-ტიერი აშონე (საფ) 6:3, 6:7(4), 7:6(5); **ჟულიან ბენეტიუ (საფ)**-ჟილ სიმონი (საფ, 8) 7:5, 6:4; **ოლივიე როხუსი (ბელგ)**-მერდი ფიში (აშშ) 6:7(5), 7:6(6), 7:6(15); **ალეხანდრო ფალა (კოლ)**-ოლივერ მარაში (ავსტ) 6:2, 6:1; **სებასტიან გროსჟანი (საფ)**-ფაბრის სანტორო (საფ) 4:6, 6:1, 6:2

**1/4 ფინალი**

**ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ)**-ოლივიე როხუსი (ბელგ) 6:3, 6:2; **მარკ გიშელი (საფ)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 7:5, 6:3;

**ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 5)**-ალეხანდრო ფალა (კოლ)

**სანკტ პეტერბურგის ღია**
სანკტ პეტერბურგი (რუსეთი).
ჟერქვეშა ხალიჩა
საპრიზო ფონდი: 1 000 000 დოლარი

**მეორე წრე**

**მარინ ჩილიჩი (ხორვ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 1) 1:6, 7:5, 6:1; **ენდრიუ მარეი (ბრიტ, 2)**-ლუკაშ დლუჰი (ჩეხ) 6:2, 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს, 3)**-მარიო ანჩიჩი (ხორვ) 6:4, 6:2; **პოტიტო სტარაჩე (იტა, 4)**-მიხაილ ლედოვსკიხი (რუს) 7:6(4), 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 6)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:4, 6:4

**1/4 ფინალი**

**ენდრიუ მარეი (ბრიტ, 2)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 3:6, 7:6(2), 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს, 3)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:4, კოლშრაიბერის ტრავმა; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 6)**-პოტიტო სტარაჩე (იტა, 4) 6:3, 6:4

**WTA**

**გენერალის ღია**
ლინცი (ავსტრია). მეორე კატეგორია.
ჟერქვეშა ჰარდი
საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

**მეორე წრე**

**დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 2)**-ხისელა დულკო (არგ) 6:3, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ)**-ტამირა პაშეკი (ავსტ) 6:2, 6:1; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 5)**-ვიონე მოისბურგერი (ავსტ) 6:3, 6:1; **პატი შნიდერი (შვეი, 6)**-ალისია მოლიკი (ავსტრალ) 6:4, 6:4; **ალონა ბონდარენკო (უკრ)**-ელენი დანიილიდუ (საბ) 6:4, 6:3; **იულია ვაკულენკო (უკრ)**-აი სუგიამა (იაპ) 6:0, 6:2

**1/4 ფინალი**

**პატი შნიდერი (შვეი, 6)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 1) 6:1, 6:0; **დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 2)**-ალონა ბონდარენკო (უკრ) 6:4, 1:6, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 3)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 6:1, 1:6, 6:4


სპორტული გაზეთი

განახლებულია ბადრი პატარკაციშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე



დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)



პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი



მისამართი
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი). 53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX



გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა